

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

კერძო სამართლის მიმართულება

ნინო ჭიაურელი



სამაგისტრო ნაშრომი თემაზე

**მოსამართლის აქტიურობის პრინციპის მოქმედება  
შეჯიბრებით სამოქალაქო სამართალწარმოებაში**

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია სამართლის მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი, 2019

## სარჩევი

გამოყენებული აბრევიატურის ნუსხა .....	4
შესავალი .....	5
თავი I	
შეჯიბრებითობის პრინციპის რეალიზება სამართალწარმოებაში და „ქმნა მართლისა სამართლისა“ .....	8
თავი II	
სასამართლოს პასიური როლისა და აქტიური მონაწილეობის განსაზღვრის ზოგიერთი საკითხი .....	12
2.1. სასამართლოს ინიციატივის ფარგლები საქმის სათანადოდ განხილვის მიზნით .....	12
2.1.1. მოსამართლის ინიციატივის შესაძლებლობა და მისი მნიშვნელობა სასარჩელო წარმოებისას (გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში განხორციელებული რეგულაციების მაგალითზე) .....	12
2.1.2. სასამართლოს ინიციატივა საქმისწარმოების დაჩქარების მიზნით .	19
2.1.3. მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის გადანაწილება და მისი ზუსტად განსაზღვრის სამართლებრივი მნიშვნელობა.....	23
2.2. მოსამართლის ქმედების საზღვრები .....	25
2.2.1. სამოსამართლო ინიციატივა, როგორც მოსამართლის აცილების საფუძველი .....	25
2.2.2. მიუკერძოებელი სასამართლოს უფლება ბანგალორის სამოსამართლო ქცევის პრინციპების მიხედვით .....	28
2.2.3. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების ანალიზი საქმეზე „პერუზი იტალიის წინააღმდეგ“ .....	30
თავი III	
არაჯანსაღი, დაუსაბუთებელი სარჩელების გავლენა სამართალწარმოებაზე	38
2.1. ფაქტობრივი გარემოებების, სარჩელის საფუძვლისა და საგნის განსაზღვრა .....	38
2.2. სასამართლოს მიერ საქმის განხილვაზე უარის თქმის საფუძვლები და სტატისტიკური მონაცემები .....	40
თავი IV	
სასამართლოს როლი საქმეზე ფაქტობრივი გარემოებების დადგენისას .....	44
4.1. ფაქტების მითითების ტვირთი .....	44
4.2. საქმეში წარმოდგენილი განსხვავებული ფაქტობრივი გარემოებების შეფასება.....	46
თავი V .....	48
მტკიცებულებათა გამოთხოვა და შეფასება.....	48

5.1. მოსამართლეთა დისკრეციული უფლებამოსილება გამოითხოვოს მტკიცებულება საკუთარი ინიციატივით .....	48
5.2. მხარეთა შუამდგომლობის გარეშე მტკიცებულებათა შეგროვება, როგორც სასამართლოს აცილების საფუძველი .....	50
5.3. სასამართლოს უარი მტკიცებულებების გამოთხოვის თაობაზე წარდგენილ შუამდგომლობაზე .....	51
თავი VI	
შეჯიბრებითობის პრინციპიდან კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევა .....	53
6.1. სასამართლოს აქტიურობის ფარგლები საოჯახო-სამართლებრივი დავების განხილვისას .....	53
6.2. უცხოური პრაქტიკის ანალიზი და ტენდენციები საოჯახო დავებთან მიმართებით.....	56
6.2.1. საფრანგეთის რესპუბლიკის კოლმარის სააპელაციო სასამართლოს, კოლმარის დიდი ინსტანციის ტრიბუნალის მეორე საქალაქო პალატის, საოჯახო საქმეების მოსამართლის 2016 წლის 21 მარტის განაჩენის ანალიზი.....	56
6.2.2.. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების ანალიზი საქმეზე „მანდეტი საფრანგეთის წინააღმდეგ“ .....	59
თავი VII	
სასამართლოთა ოფიციალური სტატისტიკა მორიგებით დასრულებულ დავებთან მიმართებით .....	63
თავი VIII	
ინკვიზიციური სამართალწარმოების ნიშნები უცხოურ სამართალში .....	66
8.1. ანგლოამერიკული პროცესის თავისებურებანი.....	66
8.2. კონტინენტურ-ევროპული სამართალწარმოება და მისი განსხვავება ანგლოამერიკული პროცესისაგან.....	69
დასკვნა .....	72
ბიბლიოგრაფია .....	75

## გამოყენებული აბრევიატურის ნუსხა

სსკ	საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
სსსკ	საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი
გსკ	გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი
იხ.	იხილე
მაგ.	მაგალითად
ე.ი.	ესე იგი
პარა.	პარაგრაფი
მუხ.	მუხლი
შეად.	შეადარე
გვ.	გვერდი
ე.წ.	ეგრეთ წოდებული
აშშ	ამერიკის შეერთებული შტატები
No.	Number
Para.	Paragraph
Art.	Article
Vol.	Volume
BGB	German Civil Code
(ZPO)	Zivilprozessordnung – German Code of Civil Procedure
(GIZ)	Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit

## შესავალი

ადამიანური თანაცხოვრების პრობლემების სამართლიანი გადაწყვეტისათვის, სხვადასხვა ქვეყნის მოსამართლეებს მათი კანონმდებლობის სპეციფიკის გათვალისწინებით, პროცესის სხვადასხვაგვარი წარმართვა უწევთ. ზოგიერთი მეტად ერევა დავის მიმდინარეობაში, ზოგიერთი კი ცდილობს პროცესის დასრულებამდე პასიური როლი შეინარჩუნოს. ორივე შემთხვევაში მოქმედებს სამართლის ძირითადი ფუნქცია - მიგვიყვანოს პრობლემების სამართლიან გადაწყვეტამდე. ამერიკის შეერთებულ შტატებში სასამართლოს აქტივობის მხარდამჭერები მიიჩნევენ, რომ უსამართლო კანონების გადალახვა აუცილებელი სასამართლო სისტემაში.<sup>1</sup> ადამიანის უფლებათა პრეცედენტული სამართლით დადგენილია, რომ მოსამართლეები საკუთარი სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას სხვადასხვა სფეროში უნდა ფლობდნენ ცოდნას და უნდა შეეძლოთ ორივე მხარის პოზიციიდან შეაფასონ საქმე. ამასთან, ეჭვქვეშ არ უნდა დადგეს მოსამართლის მიუკერძოებლობა. მიუკერძოებლობის მოთხოვნების დარღვევა საკმარისი საფუძველი უნდა იყოს დისციპლინური პასუხისმგებლობისათვის.<sup>2</sup> მოსამართლის როლი საქმის წარმოების პროცესში გულისხმობს, რომ საკანონმდებლო ნორმები ენობრივი და ლოგიკური შესაძლებლობების ფარგლებში, ინტერპრეტაციის წესების გამოყენებით დადგინდეს. სამართლიანობის არგუმენტები უფრო წონადი უნდა იყოს, ვიდრე კანონის სიტყვა-სიტყვითი განმარტების მკაცრად დაცვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც რაინჰოლდ ციპელიუსი აღნიშნავს, საჭიროა პოზიტიური სამართლის განვრცობა და შესწორება.<sup>3</sup>

სამართლის მეცნიერება პერმანენტულ გამოცდასა და გაუმჯობესებას ექვემდებარება. მოსამართლის პროფესია და მისი საქმიანობის მაღალი ხარისხი აუცილებელი წინაპირობაა დამოუკიდებელი და ეფექტიანი მართლმსაჯულების უზრუნველსაყოფად, რომელიც დიდ ძალისხმევასა და პიროვნულ სიმტკიცეს მოითხოვს. დღესდღეობით უამრავი ახალი გამოწვევის წინაშე დგას ქართული მართლმსაჯულება. პრაქტიკამ ცხადჰყო,

---

<sup>1</sup> Weiden D. L., Judicial Politicization, Ideology, and Activism at the High Courts of the United States, Canada, and Australia, Journal: Political Research Quarterly, Vol. 64, June, 2011, 335. <<https://booksc.xyz/book/42033093/4d8f2d>>

<sup>2</sup> OVERVIEW OF THE CASE-LAW OF THE EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS, Published by wolf Legal Publishers (WLP), Council of Europe – European Court of Human Rights, 2018, 38. <<https://www.echr.coe.int/Pages/home.aspx?p=caselaw/analysis/overview>>

<sup>3</sup> ციპელიუსი რ., იურიდიული მეთოდების მოძღვრება, თბილისი, 2009, მეათე გამოცემის წინათქმა.

რომ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს ესაჭიროებათ მექანიზმი, რომელიც გააძლიერებს მომრიგებელი მოსამართლის როლს და დაადგენს მოსამართლის საქმიანობის ხელახალ საზღვრებს შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსისეული მოწესრიგება ხარვეზებით ხასიათდება და არ შეიცავს დათქმას თუ რა მასშტაბით უნდა მოხდეს ჩარევა პროცესის მიმდინარეობისას. ამისათვის, საჭიროა შესაბამისი წინაპირობების რეგლამენტირება კანონმდებლობით, რათა თავიდან ავიცილოთ სასამართლო პრაქტიკის არაერთგვაროვნება. სასურველია, მკაფიოდ და სრულყოფილად განისაზღვროს ნორმატიული წინაპირობები. სამართლის ხარვეზების აღმოსაფხვრელად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, ასევე, სასამართლოების საქმიანობას, ვინაიდან „სწორედ მათ განკარგულებაშია რეალური შესაძლებლობები, გამოავლინონ და დასძლიონ ნორმებში არსებული ხარვეზები მათი განმარტების გზით.“<sup>4</sup> აღნიშნულიდან გამომდინარე, საკითხის კვლევა და არსებული პრაქტიკის შესწავლა აქტუალური საკითხია.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია გაიმიჯნოს სასამართლოს აქტიური და პასიური როლი, შეფასდეს მისი მოქმედების თავისუფლება შედარებითსამართლებრივი კუთხით და გაანალიზდეს თუ რა მნიშვნელობა ენიჭება მოსამართლის ინიციატივას შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით ქართულ სასამართლო პროცესში, რა დატვირთვა აქვს საქმის დამატებით შესწავლას, მხარისათვის მიცემული შეკითხვებისა და განმარტებების ფონზე. გაანალიზდება სასამართლოს როლი პრაქტიკაში წარმოჩენილი პრობლემების გადაჭრისა და სამართლის განვითარების კუთხით. საინტერესოა, რომანულ-გერმანული სამართლის სისტემის მქონე ხელისუფლების დანაწილების პრინციპის დაცვით, რამდენად შეუძლია მოსამართლეს განახორციელოს კანონშემოქმედებითი საქმიანობა.

წინამდებარე კვლევა ეფუძნება მოსამართლის აქტიურობის პრინციპის დამფუძნებელი ნორმების შედარებითსამართლებრივ ანალიზს. ნაშრომი მიზნად ისახავს მოცემული კონცეფციის ნორმატიული წინაპირობების ხარვეზების იდენტიფიცირებას და გარკვეული წინადადებების შეთავაზებას.

რაც შეეხება მითითებების გაცემისა და მომრიგებელი მოსამართლის როლს, რეგულაციები გაანალიზდება გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მაგალითზე, რადგანაც გერმანულმა იურიდიულმა დოქტრინამ და სასამართლო პრაქტიკამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ქართულ საკანონმდებლო მოწესრიგებაზე.

---

<sup>4</sup> ყიფშიძე შ., სამოსამართლო სამართალი, როგორც სამართლის წყარო, (სამართლებრივი პრობლემების გადაჭრა და სამართლის განვითარება), სამართლის ჟურნალი N1, 2018, 204.

ნაშრომში გამოყენებულია ლოგიკური ანალიზი, სასამართლო სტატისტიკა და პრაქტიკა, წარმოდგენილია საკითხის ინფორმაციულ-შემეცნებითი ასპექტები. მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო საქართველოს უზენაესი სასამართლოს, გერმანიის ფედერალური სასამართლოსა და სხვა ქვეყნების მიერ დამკვირდებულ პრაქტიკას, მიდგომებსა და განმარტებებს, შეფასდება პრობლემათა გადაჭრის ადეკვატური გზები.

## თავი I

### შეჯიბრებითობის პრინციპის რეალიზება სამართალწარმოებაში და „ქმნა მართლისა სამართლისა“

კერძოსამართლებრივ დავებში მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი პირის სასამართლოსთან ურთიერთობის ქვაკუთხედაა და მისი კანონიერი ინტერესების დაცვის შესაძლებლობის გარანტიაა. შეჯიბრებითობის სისტემა დავის გადაწყვეტისას ნეიტრალურობისა და მიუმხრობლობის პრინციპზეა დამყარებული. ზემოაღნიშნული პრინციპების განხორციელება აუცილებელია არა მხოლოდ საქმის სწორი განხილვის უზრუნველსაყოფად, არამედ საზოგადოების დასარწმუნებლად, რომ სასამართლო სისტემა ნდობას იმსახურებს.<sup>5</sup> საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია, რომ სასამართლოში სამართალწარმოება მიმდინარეობს მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე.<sup>6</sup> სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით განმტკიცებულია სამოქალაქო სამართალწარმოების ფუნდამენტური პრინციპი - დისპოზიციურობა. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, სამართალწარმოების თითოეულ ეტაპზე საქმის განხილვისათვის გადამწყვეტს წარმოადგენს მხარის ნება იმგვარად, რომ სასამართლოს უფლებამოსილება მხოლოდ და მხოლოდ საქმის გარემოებების დადგენითა და მათი სამართლებრივი შეფასებით შემოიფარგლება, რითაც სასამართლო სარჩელის საფუძვლიანობას განსაზღვრავს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის დანაწესი კი ნიშნავს იმას, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება აგებულია შეჯიბრებითობის პრინციპზე, რაც ამ სახის წარმოების ამოსავალი პრინციპია და დავის გადაწყვეტის ბედიც ამ პროცესში მონაწილე მხარეების პოზიციითაა განსაზღვრული. შესაბამისად, მხარემ, თავისი მოთხოვნის (შესაგებლის) ფაქტობრივი საფუძვლის დამტკიცების მიზნით, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებისმიერი მტკიცებულება შეიძლება წარუდგინოს სასამართლოს. თუმცა, მხარისათვის მხოლოდ მტკიცებულების წარმოდგენის უფლების მინიჭებით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განმტკიცებული შეჯიბრებითობის პრინციპი არ რეალიზდება. ამისათვის სავალდებულოა, რომ „თითოეულ მხარეს მიეცეს გონივრული შესაძლებლობა, წარმოადგინოს მისი საქმე, მტკიცებულებების ჩათვლით, ისეთ პირობებში, რომელიც მას თავის

<sup>5</sup> Landsman S., A Brief Survey of the Development of the Adversary System, Ohio State Law Journal, Vol. 44, 1983, 713.

<sup>6</sup> საქართველოს კონსტიტუცია, 62-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

მოწინააღმდეგე მხარესთან მიმართებით არსებითად არახელსაყრელ პირობებში არ მოაქცევს“<sup>7</sup>

შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, მხარეები თავად განსაზღვრავენ აღძრან თუ არა დავა სასამართლოში,<sup>8</sup> როგორ წარმართონ და დაასრულონ იგი. კანონმდებლობა ოპონენტებს უფლებამოსილებას ანიჭებს თავად გადაწყვიტონ საქმის რომელი ფაქტობრივი გარემოებები მოახსენონ და რომელი მტკიცებულებები წარუდგინონ სასამართლოს. მხარეთა მიერ წარდგენილი მოთხოვნებისა და მოხსენებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება კი მხოლოდ მოსამართლის პრეროგატივაა.<sup>9</sup> აღსანიშნავია, რომ „*iura novit curia*“<sup>10</sup> და „*da mihi factum, dabo tibi ius*“<sup>11</sup> პრინციპების თანახმად, შეჯიბრებითობის პრინციპი არ ვრცელდება დავის სამართლებრივ საფუძვლებზე, ანუ სასამართლო მხარეთა მითითებების მიუხედავად, საქმეს აფასებს სამართლებრივი თვალსაზრისით.

სამოქალაქო პროცესში სასამართლო შებოჭილია არა მარტო მხარეთა სასარჩელო მოთხოვნებისა თუ შესაგებლის ფარგლებით, არამედ მხარეთა მითითებებით, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული. თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს ამყარებს. ამ გარემოებათა დამტკიცება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებით და ექსპერტთა დასკვნებით შეიძლება. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება

<sup>7</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 30 მარტის განჩინება საქმეზე №28/6112-15.

<sup>8</sup> Glannon J., *Civil procedure*, 1987, 175. შეად. „ფედერალურ სასამართლოებში, არცერთ მხარეს არ შეუძლია აღძრას სარჩელი მეორე მხარის წინააღმდეგ, თუ დამკვიდრებული წესებიდან ერთ-ერთი არ იძლევა სარჩელის აღძვრის ნებას“.

<sup>9</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებები საქმეზე №ას-833-885-2011 და №ას-941-979-2011.

<sup>10</sup> „სასამართლომ იცის სამართალი“, პრინციპის თანახმად, სასამართლო მხარეთა მითითებების მიუხედავად საქმეს აფასებს სამართლებრივი თვალსაზრისით. <<http://gil.mylaw.ge/ka/term/55185.html>>

<sup>11</sup> „მომეცი ფაქტები, მოგცემ სამართალს“, პრინციპის თანახმად, მხარეთა მოვალეობა მხოლოდ ფაქტობრივი გარემოებების მითითებაა, ხოლო სასამართლო მხარეთა მითითებების მიუხედავად სამართლებრივი თვალსაზრისით აფასებს საქმეს, <<http://gil.mylaw.ge/ka/term/54139.html>>. იხ. ასევე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 26 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-1440-1360-2017.

დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. მხარეებს მითითებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი თანაბრად ეკისრებათ.<sup>12</sup> ამდენად, მხარეებმა არა მხოლოდ უნდა მიუთითონ ფაქტობრივ გარემოებებზე, არამედ ასევე უნდა წარადგინონ შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებსაც შეამოწმებს, შეაფასებს სასამართლო და დაადგენს მხარის მიერ მითითებული ფაქტის არსებობა-არარსებობის საკითხს.

აღსანიშნავია, რომ მხარეებმა მოსამართლეს უნდა მოახსენონ საქმის ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებზეც ამყარებენ მოთხოვნას.<sup>13</sup> თუმცა, მათი მხრიდან სავალდებულო არ არის იმ სამართლებრივ საფუძველზე - ნორმაზე მითითება, რომელსაც მოთხოვნა ან შესაგებელი ემყარება. მატერიალურ სამართლებრივ ნორმასთან შესაბამისობის დადგენა სასამართლოს სასამართლოს უფლებაცაა და ვალდებულებაც. მოსამართლისათვის სავალდებულო არ არის მხარეთა მოსაზრებები, იმასთან დაკავშირებით, თუ რა სამართლებრივი საფუძველი უნდა იქნეს გამოყენებული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. ამასთან, არც კანონის იმპერატიული დათქმაა, გამოტანილი გადაწყვეტილება დაეფუძნოს მხარეთა მიერ მითითებული მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს. მაშინაც კი, თუ მხარეები განსაზღვრულ საკითხებთან მიმართებით არასწორ ან არამყარ სამართლებრივ პოზიციას ირჩევენ, თუ საქმის მასალებზე დაყრდნობით და სხვაგვარი დასაბუთებით კანონიერი გადაწყვეტილების გამოტანა შესაძლებელია, მოსამართლეს სხვა გზის არჩევის უფლება აქვს. სწორედ აღნიშნული წარმოადგენს სამოსამართლო საქმიანობას, რაც უზრუნველყოფს კერძო სამართლის სუბიექტთა დარღვეული უფლებებისა და ინტერესების სრულყოფილად და ეფექტურად დაცვას. შესაბამისად, დავის სამართლებრივი შეფასებისას მოსამართლე სრულიად დამოუკიდებელია, განსხვავებით ფაქტობრივი საფუძველებისაგან და არ იზღუდება შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპებით.<sup>14</sup>

სამართლიანობის უძველესი პრინციპი - „ქმნა მართლისა სამართლისა“<sup>15</sup> გულისხმობს, რომ გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში. სასამართლოს გადაწყვეტილება მხარისათვის მოულოდნელი არ უნდა იყოს და ლოგიკურად უნდა გამომდინარეობდეს, როგორც სარჩელსა და

<sup>12</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 25 მაისის განჩინება საქმეზე №28/1017-18.

<sup>13</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 102.1.

<sup>14</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 1 ნოემბრის განჩინება №ას-941-979-2011.

<sup>15</sup> აკადემიური მაცნე, სამართალი N4, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2015, 65.

შესაგებელში ასახული გარემოებების შეფასებიდან, ისე მხარეთა ახსნა-განმარტებების და მტკიცებულებათა შეფასების შედეგად გაკეთებული დასკვნებიდან. მხარის მიერ არასწორი ნორმატიული საფუძვლის მითითება არ შეიძლება გახდეს სარჩელზე უარის თქმის საფუძველი, თუმცა სასამართლოს აღნიშნული დისკრეცია უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ მოპასუხეს არ შეეზღუდოს კონკრეტულ საკითხზე შესაგებლის წარდგენის კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილება. მაგალითისათვის, იმ შემთხვევაში, თუ ზემდგომი ინსტანციის სასამართლო დავის განხილვისას მიიჩნევს, რომ მოცემული საქმის მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს სარჩელში აღნიშნულისაგან განსხვავებული ნორმები და ფაქტობრივი გარემოებები სამართლებრივად განსხვავებულად უნდა შეფასდეს, მან ასევე უნდა შეაფასოს, გამოიწვევს თუ არა, ამგვარი ცვლილება მეორე მხარის ინტერესების დარღვევას და თუ წარმოიშობა დასაბუთებული ვარაუდი, რომ მოპასუხეს, შეიძლება, შეეზღუდოს შეჯიბრებითობის პრინციპით გათვალისწინებული უფლებამოსილების რეალიზაციის შესაძლებლობა, საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაბრუნდეს.<sup>16</sup> ამასთან, ერთ-ერთ საქმეზე, სასამართლომ დაადგინა შემდეგი: „საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის უკან დაბრუნება, ისევე, როგორც საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება, სააპელაციო სასამართლოს უფლებაა და არა ვალდებულება. მიუხედავად ამისა, აღნიშნული არ გულისხმობს სააპელაციო სასამართლოს შეუზღუდაობას, ნებისმიერი დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების შემთხვევაში, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნოს საქმე. ასეთი მიდგომა ეწინააღმდეგება რაციონული მართლმსაჯულებისა და პროცესუალური ეკონომიის პრინციპებს.“<sup>17</sup>

---

<sup>16</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 25 მარტის განჩინება საქმეზე №ას-1350-1275-2012.

<sup>17</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-471-450-2015.

## თავი II

### სასამართლოს პასიური როლისა და აქტიური მონაწილეობის განსაზღვრის ზოგიერთი საკითხი

#### 2.1. სასამართლოს ინიციატივის ფარგლები საქმის სათანადოდ განხილვის მიზნით

##### 2.1.1. მოსამართლის ინიციატივის შესაძლებლობა და მისი მნიშვნელობა სასარჩელო წარმოებისას (გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში განხორციელებული რეგულაციების მაგალითზე)

საქართველოს ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიღებამდე სამართალწარმოებაში გაბატონებული იყო საგამომიებო პრინციპი,<sup>18</sup> რომელიც გულისხმობდა სასამართლოს შესაძლებლობას, გამოეკვლია ფაქტები საკუთარი უფლებამოსილების საფუძველზე. ამ პრინციპის მოქმედების პერიოდში გამოიკვეთა მთელი რიგი უარყოფითი მხარეები. კერძოდ: 1) შესუსტდა მხარეთა აქტივობა და ისინი აღარ ზრუნავდნენ ფაქტების მითითებაზე, რადგანაც მათი გამოკვლევა სასამართლოს ევალებოდა; 2) საქმის განხილვა უზომოდ ჭიანურდებოდა, ვინაიდან სასამართლო ვერ უმკლავდებოდა მის მოვალეობას, მოეძია, გამოეთხოვა და შეემოწმებინა მტკიცებულებები; 3) ზემდგომი ინსტანციის სასამართლოები ხშირად აუქმებდნენ გადაწყვეტილებას იმ საფუძველით, რომ სასამართლომ ვერ დაადგინა ობიექტური ჭეშმარიტება.<sup>19</sup>

დღევანდელი სამოქალაქო სამართალწარმოება შეჯიბრებითობის პრინციპის ფონზე განსაკუთრებულ შემთხვევებში, უშვებს და აუცილებლადაც მიიჩნევს მოსამართლის ინიციატივას საქმის სათანადოდ განხილვის მიზნით. პროცესი აგებულია შეჯიბრებითობის პრინციპის ფონზე სამკებრო ელემენტების შეზავებით. შეჯიბრებითობისა და ინკვიზიციურობის სისტემათა შორის სხვაობა მე-12 საუკუნის ევროპის სამართლიდან მოდის. შეჯიბრებითობის პრინციპის ინიცირება კერძო სამართლის მხარის ინიციატივით ხდებოდა მაშინ, როდესაც

<sup>18</sup> ლათ. Officium inquisitio, იგივე ინკვიზიციურობის, მოკვლევის, ოფიციალობის პრინციპი. ციპელიუსი რ., იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მე-10 გადამუშავებული გამოცემა, მიუნხენი, 2006. (თარგმანი ქართულ ენაზე - თოთლაძე ლ., სამეცნიერო რედაქტორი ტურავა მ. (2009)), ნაშრომიდან: გაგუა ი., მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2013, 125. იხ. ასევე, ლილუაშვილი თ., სამოქალაქო პროცესუალური სამართალი, II გამოცემა, თბილისი, 2005, 58.

<sup>19</sup> ლილუაშვილი თ., სამოქალაქო პროცესუალური სამართალი, II გამოცემა, თბილისი, 2005, 59.

ინკვიზიციურობის საპროცესო წესი სასამართლოს მიერ იყო განხორციელებული.<sup>20</sup> ფრანგი მეცნიერის, გუი ბრებანის მიხედვით, ინკვიზიციური პრინციპი პროცესის მიმდინარეობისას სასამართლოს დომინირებას ნიშნავს.<sup>21</sup> სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილი ფუნდამენტია სასამართლოს ინიციატივისა საქმის გარემოებათა გასარკვევად მიმართოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ღონისძიებებს. სასამართლოს შეუძლია აღნიშნული უფლებამოსილება გამოიყენოს იმ ფარგლებში, რასაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს.<sup>22</sup> მსგავს შინაარსს შეიცავს იგივე კოდექსის 223-ე მუხლის მეორე ნაწილი, რომელიც მიუთითებს საქმის ყოველმხრივი გამოკვლევის მიზნით, გარკვეული ზომების გამოყენებაზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 222-ე მუხლის თანახმად, მოსამართლეს, რომელიც ერთპიროვნულად განიხილავს საქმეს, კოლეგიური სასამართლოს თავმჯდომარეს და მის ნებისმიერ წევრს, უფლება აქვთ მხარეებს მისცენ შეკითხვები, რომლებიც ხელს შეუწყობენ საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა სრულად და ზუსტად განსაზღვრას, ამ გარემოებების დასადასტურებლად მტკიცებულებათა გამოვლენასა და სასამართლოში წარდგენას, მათი უტყუარობის გამორკვევას. ამავე კოდექსის 128-ე მუხლის თანახმად, მოსამართლეს უფლება აქვს, შეკითხვები მისცეს მხარეებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულად და ზუსტად განსაზღვრას, მათ დასადასტურებლად მტკიცებულებების გამოვლენას და სასამართლოში წარდგენას, მათი უტყუარობის გამორკვევას.<sup>23</sup> სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადების თანახმად, სასამართლოს შეუძლია შესთავაზოს მხარეებს წარმოადგინონ დამატებითი მტკიცებულებები, ხოლო 203-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვისათვის საქმის მოსამზადებლად მოსამართლეს შეუძლია, დაავალოს მხარეებს შეავსონ,

---

<sup>20</sup> Parisi F., Rent-Seeking Through Litigation: Adversarial and Inquisitorial Systems Compared, *International Review of Law and Economics*, Vol. 22, No. 2, August 2002, 3.

<sup>21</sup> ბრებანი გ., საფრანგეთის ადმინისტრაციული სამართალი, ბრებანის მოსაზრება ვალერი ლორიას სახელმძღვანელოდან, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2002, 36. ნაშრომიდან: ბასილაია ფ., საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურებანი და დაუსწრებელი გადაწყვეტილება, მართლმსაჯულება და კანონი, N4(23)09, 31.

<sup>22</sup> ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები, მეორე გადამუშავებული და შესწორებული გამოცემა, თბილისი, 2007, 8.

<sup>23</sup> შეად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 1 ნოემბრის განჩინება №ას-941-979-2011.

ხოლო საჭიროების შემთხვევაში განმარტონ მათ მიერ წარმოდგენილი წერილობითი მასალები, წინადადება მისცეს მათ წარმოადგინონ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ნივთები თუ დოკუმენტები.

ამდენად, აღნიშნული ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ კანონმდებელი შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს, საჭიროებისამებრ დაავალოს მხარეებს, წარადგინონ მტკიცებულებანი სადავო ფაქტობრივი გარემოებების სწორად დადგენაში ხელის შეწყობის მიზნით.<sup>24</sup> მაგალითისათვის, ერთ-ერთ დავაში, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა სააპელაციო სასამართლოს, იმ გარემოებაზე მითითებით, რომ სასამართლოს მხარისათვის მიცემული შეკითხვებით უნდა გამოერკვია და დაეზუსტებინა, მოსარჩელის მოთხოვნა თანხის გადახდის დაკისრების თაობაზე, რა სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ ვალდებულებას ეფუძნებოდა.<sup>25</sup> სამოქალაქო სამართალწარმოება საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების დადგენის მიზნით, მტკიცებულებების გამოკვლევასა და კითხვების მიცემას ასევე ითვალისწინებს მაგისტრატი მოსამართლის განსჯად საქმეებზე.<sup>26</sup>

საინტერესოა, სასამართლოში საქმისწარმოების ინკვიზიციური პრინციპი სავალდებულო ხასიათს ატარებს, თუ მხოლოდ მოსამართლის უფლებამოსილებათა რიგს განეკუთვნება.<sup>27</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4(2) მუხლით, სასამართლოს *შეუძლია* თავისი ინიციატივით მიმართოს კოდექსში გათვალისწინებულ ღონისძიებებს. მსგავს უფლებამოსილებაზე საუბრობს მაგალითად, საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმებიც (184-ე, 185-ე მუხლები), თუმცა, ამავე კოდექსის მე-16 მუხლით განმტკიცებულია სასამართლოს *ვალდებულება* გამოითხოვოს მტკიცებულებები, თუ ისინი აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის. ავსტრიის საპროცესო კანონმდებლობა უფრო შორს წავიდა და სასამართლოს ავალდებულებს მიიღოს ყველა ზომა რათა მხარეებმა წარადგინონ მტკიცებულებები, არა მხოლოდ ფაქტობრივი

<sup>24</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 22 ივნისის განჩინება საქმეზე №ას-750-704-2012.

<sup>25</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 1 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას-941-979-2011.

<sup>26</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლო, პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე საერთო სასამართლოს მოსამართლეთათვის, თბილისი, 2010, 35.

<sup>27</sup> იხ. მერებაშვილი ი., სასამართლოში სამოქალაქო საქმეთა განხილვისას მხარეთა შეჯიბრებითობისა და მოსამართლეთა აქტიურობის პრინციპების მოქმედება, მართლმსაჯულება და კანონი, N4(23)'09, 20.

გარემოებების, არამედ საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად.<sup>28</sup> მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ამგვარ პირდაპირ დათქმას კოდექსი არ შეიცავს, ქვემოთ განხილული პრაქტიკა ცხადყოფს, რომ საქმის სწორად და ეფექტიანად გადაწყვეტის მიზნებისათვის, მოსამართლეები ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ცდილობენ სხვადასხვა ღონისძიების გამოყენებას.

21-ე საუკუნის დასაწყისიდან განსაკუთრებით იგრძნობა მოსამართლის როლის გაძლიერება პროცესის მიმდინარეობისას, როგორც ქართულ, ასევე გერმანულ სამართალში. გერმანიაში ცვლილება შეეხო სამოქალაქო საპროცესო კოდექსს ორი მიმართულებით: 1) მოსამართლის მიერ მითითებების გაცემის მოვალეობის და 2) მომრიგებელი მოსამართლის როლის გაძლიერების კუთხით. აღნიშნული რეგულაციით, გაიზარდა მოსამართლის უფლებამოსილება მეტი კომუნიკაცია განახორციელოს მხარეებთან და მიიყვანოს ისინი შეთანხმებამდე.<sup>29</sup> მოცემული ცვლილების საფუძველზე ხდება მოსამართლის საქმიანობის ახალი საზღვრების დადგენა, რასაც თან ახლავს როგორც უპირატესობები, ასევე გარკვეული რისკებიც.

გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 139-ე პარაგრაფის ახლებური რედაქციის თანახმად:

„1. სასამართლომ მხარეებს შორის არსებული საგნობრივი და დავასთან დაკავშირებული ურთიერთობა, რამდენადაც ეს აუცილებელია, მხარეებთან ერთად უნდა განიხილოს ფაქტობრივი და სამართლებრივი კუთხით და დასვას კითხვები. სასამართლომ ხელი უნდა შეუწყოს, რომ მხარეებმა დროულად და სრულყოფილად გამოხატონ საკუთარი პოზიცია ყველა არსებით ფაქტობრივ გარემოებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით მათ უნდა სრულყოფნა წარმოადგენილ ფაქტებთან დაკავშირებით გაკეთებული არასაკმარისი მითითებები, დაასახელონ მტკიცებულებები და წარმოადგინონ საქმესთან კავშირში მყოფი შუამდგომლობები.<sup>30</sup>

2. სასამართლოს უფლება აქვს, იმ მოსაზრებას, რომელიც მხარეს აშკარად გამორჩა მხედველობის არედან ან მან ის არაარსებითად მიიჩნია, თუ საქმე არ ეხება მხოლოდ დამატებით მოთხოვნას, საფუძველად დაუდოს საკუთარი გადაწყვეტილება, თუ მან უკვე მიუთითა ამ მოსაზრებაზე და მხარეებს მისცა ამასთან დაკავშირებით აზრის გამოხატვის შესაძლებლობა. იგივე მოქმედებს

---

<sup>28</sup> იქვე, 25.

<sup>29</sup> შმიდტი შ., გერმანიაში სამოქალაქო სამართალწარმოებისას სასამართლო კომუნიკაციის მნიშვნელობა, გერმანულიდან თ. ბერიშვილის თარგმანი, სამართლის ჟურნალი N1, 2018, 343.

<sup>30</sup> შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის 1 ნაწილი (მტკიცებულებათა შეგროვება), 128-ე (მოსამართლეთა შეკითხვები), 222-ე (მოსამართლეთა შეკითხვები) მუხლები.

იმ მოსაზრებასთან დაკავშირებითაც, რომელსაც სასამართლო მხარეებისგან განსხვავებულად აფასებს.

3. სასამართლომ ყურადღება უნდა გაამახვილოს იმ ეჭვებზე, რომლებიც არსებობს საკუთარი ინიციატივით გასათვალისწინებელ პუნქტებთან დაკავშირებით.

4. ამ მუხლის მიხედვით, მითითებები უნდა გაიცეს რაც შეიძლება ადრე და მოხდეს მათი დოკუმენტის სახით დაფიქსირება. ამ მითითებების გაცემა შეიძლება დადასტურდეს მხოლოდ საქმის მასალების შინაარსით. საქმის მასალების შინაარსი მხოლოდ მაშინ შეიძლება დადგეს კითხვის ნიშნის ქვეშ, თუ დადასტურდება მათი გაყალბება.

5. თუ მხარეს არ აქვს შესაძლებლობა დაუყოვნებლივ გამოხატოს საკუთარი პოზიცია სასამართლოს მიერ გაკეთებულ მითითებაზე, მისი განაცხადის საფუძველზე, სასამართლომ მას ამისათვის უნდა დაუწესოს ვადა, რომლის განმავლობაშიც მას შეეძლება წერილობით წარმოადგინოს ახსნა-განმარტება.”<sup>31</sup>

ამდენად, მოცემული რეგულაციით გამყარდა მოსამართლის როლი და გაიზარდა მისი ინიციატივის შესაძლებლობა სასამართლო პროცესზე. მოსამართლე ვალდებულია გასცეს მითითებები, როდესაც მხარეს გამორჩევა ესა თუ ის მნიშვნელოვანი საკითხი, ან არასწორად აღიქვამს მას. სასამართლოს აქტიური როლის მიზანია გაურკვევლობისა და შეცდომების წარმოჩენა სამართლიანი გადაწყვეტილების მისაღებად. ამასთან, სასამართლოს მითითებების შემდგომ, მხარეებს უნდა ჰქონდეთ საკუთარი აზრის გამოხატვის შესაძლებლობა, რაც შესაძლოა დიალოგის სახით წარმოვიდგინოთ.<sup>32</sup>

გერმანიაში განხორციელებული ბოლოდროინდელი რეგულაცია შეეხო ასევე, საპროცესო კოდექსის 278-ე პარაგრაფს, რაც განპირობებული იყო 2012 წლის 21 ივლისის მედიაციის კანონის მიღებით. აღნიშნული ნორმით განისაზღვრა სასამართლოს ვალდებულება ზრუნავდეს სადავო საკითხების მორიგებით დასრულებაზე და გამოიყენოს ყველა მეთოდი, მათ შორის

---

<sup>31</sup> გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, პარა. 139, German Code of Civil Procedure, para.139 - (ZPO) Zivilprozessordnung, <[https://www.gesetze-im-internet.de/englisch\\_zpo/englisch\\_zpo.html](https://www.gesetze-im-internet.de/englisch_zpo/englisch_zpo.html)>.

<sup>32</sup> Wiczorek/Schütze a.a.O. Rn 75. „გერმანიის ფედერალური უმაღლესი სასამართლო გადაწყვეტილებაში 02.10.2003, Az.: V ZB 22/03, გამოქვეყნებული BGH NJW 2004, 164, საუბრობს სასამართლოსა და მხარეებს ან ადვოკატებს შორის გახსნილ დიალოგზე”, ნაშრომიდან: შმიდტი შ., გერმანიაში სამოქალაქო სამართალწარმოებისას სასამართლო კომუნიკაციის მნიშვნელობა, გერმანულიდან თ. ბერიშვილის თარგმანი, სამართლის ჟურნალი N1, 2018, 345.

მიმართოს მედიაციასაც (მომრიგებელი მოსამართლე).<sup>33</sup> სამართლებრივ დავაზე გადაწყვეტილების მიღების სანაცვლოდ, მორიგების შეთანხმება მიზანშეწონილია დროისა და რესურსების მართვის კუთხით და ასევე, მხარეთა პირადი პასუხისმგებლობით (დაჩქარებული სამართლებრივი მშვიდობა).<sup>34</sup> გაცხადებული საიდუმლოა, რომ სასამართლოები მორიგების გზით სამუშაოსა და დროის შესაძლო დაზოგვის გარეშე ვერ შეძლებდნენ საქმეებთან გამკლავებას. შტეფან შმიდტი თავის ნაშრომში აღნიშნავს: „დავის მოგვარება არის არა მხოლოდ მოთხოვნა მოსამართლისადმი, არამედ სამართლებრივად მხოჭავი პრინციპი“.<sup>35</sup> შესაბამისად, მოსამართლეს ევალება ყველა მეთოდის გამოყენებით ეცადოს მხარეთა შორის კონფლიქტის აღმოფხვრას, მისი ამოცანაა სამართლებრივი დავის კონსესუალური მოგვარება. აღსანიშნავია, რომ მხარეებთან საუბრისას მათ მიერვე აუცილებლად გაჟღერდება პრობემები, რომელიც შესაძლოა გახდეს მათი შეთანხმების საგანი. მოსამართლემ, რომელიც ისმენს მხარეთა მონათხრობს, მიზანმიმართულად უნდა დასვას შეკითხვები თითოეული მხარის ინტერესების გამოსავლენად. ამ დროს ის აუცილებლად ჩასწვდება მხარეთა მიერ არაპირდაპირ გახმოვანებულ მორიგების პრობემებს და პერიფრაზირების მეთოდის გამოყენებით, შეცვლილი ფორმულირებით მიაწვდის მეორე მხარეს, რომელიც შემდგომ თავის პოზიციას გამოთქვამს.<sup>36</sup> თუმცა, აქაც ვხვდებით გარკვეულ პრობლემებს. კერძოდ, უნდა მოიძებნოს კონფლიქტის მხარეებთან მიდგომის ფორმები, რაც მოსამართლეთა მხრიდან დიდ ძალისხმევას და მტკიცე პრინციპულობას მოითხოვს. მათ უნდა შესწევდეთ ემპათიისა და თანაგრძნობის უნარი. მომრიგებელ მოსამართლეს შეუძლია, მიმართოს კონფლიქტის გადაწყვეტის ოთხ გზას: მას შეუძლია, უთხრას მხარეებს, თუ როგორ უნდა გადაწყდეს მათი საქმე კანონის საფუძველზე, მას შეუძლია, ჰკითხოს მხარეებს, თუ როგორ აფასებენ ისინი კონფლიქტთან დაკავშირებულ რისკებს, თუ რატომ ფიქრობენ, რომ პროცესი

<sup>33</sup> შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 205-ე, 217-ე, 218-ე, 373(2) და 187<sup>1</sup> მუხლები.

<sup>34</sup> სამართლის დასაბუთება, RegE BT-Dr. 14/14722 S.2. (შეად. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს BVerfGE NJW-RR 2007, 1073 გადაწყვეტილებით: „სამართლებრივ სახელმწიფოში სადავო პრობლემის გამოსავლით მოგვარება, ძირითადად უპირატესი უნდა იყოს სამოსამართლო დავაზე მიღებულ გადაწყვეტილებასთან მიმართებით“) ნაშრომიდან: შმიდტი შ., გერმანიაში სამოქალაქო სამართალწარმოებისას სასამართლო კომუნიკაციის მნიშვნელობა, გერმანულიდან თ. ბერიშვილის თარგმანი, სამართლის ჟურნალი N1, 2018, 346.

<sup>35</sup> იქვე, 347.

<sup>36</sup> ჩაჩანიძე ე., ზოდელავა თ., გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., კომუნიკაცია სასამართლოში, პრაქტიკული სახელმძღვანელო, თბილისი, 2013, 70.

მათთვის რისკების შემცველია. ყოველი მხარე იძულებულია, ანგარიში გაუწიოს მეორე მხარის პოზიციას.<sup>37</sup> საინტერესოა ასევე, ლიონელ ლევინის<sup>38</sup> და კეთრინ ი. სტეინჯის<sup>39</sup> სახელობის განაწილების პროცედურა, რომლის თანახმადაც, თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან ცალკეულ საგნებზე, მომრიგებელმა მოსამართლემ შეიძლება მოუწოდოს მხარეებს, შეადგინონ საგნების სია პრიორიტეტების მიხედვით. მხარეები ადგენენ პრიორიტეტების სიას, რომელიც იწყება ყველაზე დაბალი შეფასების მქონე საგნით. ის, რაც ერთი მხარისთვის ყველაზე ნაკლებად პრიორიტეტულია, შეხვდება მეორეს, და პირიქით. ეს გრძელდება იქამდე, სანამ ყველა საგანი არ განაწილდება.<sup>40</sup>

მოსამართლის აქტიური როლის გათვალისწინებით, შესაძლოა დადგეს იმის საშიშროება, რომ იგი წინასწარ მიიღებს გადაწყვეტილებას, ან ისეთ ფაქტს შეიტყობს, რომლის წარმოდგენაც მხარეებს საერთოდ არ ჰქონდათ განზრახული. კონტინენტური ევროპის სამართლის ოჯახის ქვეყნებში, მოსამართლემ გადაწყვეტილების მიღებამდე შემთხვევა ისე უნდა განიხილოს, როგორც ეს დაპირისპირებულ მხარეებს წარმოუდგენიათ. ბოლო დროს განვითარებული უახლესი ტენდენციის თანახმად, ზოგჯერ მოსამართლე დავის მორიგებით გადაწყვეტის მიზნით, საკუთარ წინასწარ აზრსაც გამოხატავს კონკრეტულ საკითხზე (განსხვავებით სისხლის სამართლის პროცესისგან). აღნიშნული მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მხარეთა მორიგების თვალსაზრისით, არამედ იმ დასაბუთებითაც, რომ მხარეები არ უნდა გაოცდნენ გადაწყვეტილების გამო, მოსამართლე არ უნდა დაეყრდნოს ისეთ სამართლებრივ მოსაზრებას, რომელიც მხარეებს წინასწარ მოსმენილი არ ჰქონდათ.<sup>41</sup> იგივე შინაარსს შეიცავს გერმანიის კონსტიტუციის 103-ე მუხლი, რომლითაც გარანტირებულია უფლება სამართლიანი სასამართლო მოსმენის შესახებ.<sup>42</sup> თუმცა, მოსამართლის ამგვარი ფართო პროცესუალური შესაძლებლობა შეიცავს ასევე რისკებსაც. მაგალითად, როდესაც მოსამართლე მხარეებს გარიგების პირობებს სთავაზობს, იმ მხარისათვის, რომელიც არ თანხმდება მორიგებას, საქმის განმხილველი მოსამართლე უარყოფით განწყობას იწვევს და მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება მისთვის არადაამაკმაყოფილებელი ხდება.

<sup>37</sup> შმიტი შ., შულცი კ., მომრიგებელი მოსამართლე, GIZ, 2019, 47.

<sup>38</sup> Lionel Levine, Massachusetts Institut of Technology Cambridge.

<sup>39</sup> Katherine E. Stange, Stanford University California.

<sup>40</sup> შმიტი შ., შულცი კ., მომრიგებელი მოსამართლე, GIZ, 2019, 48.

<sup>41</sup> ბოელინგი ჰ., სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების მიღების მეთოდოლოგია, მოსამართლეთა სემინარი, სასტუმრო „თბილისი“, ბაკურიანი, 5-8 ივლისი, 2007, 157.

<sup>42</sup> შეად. ე. წ. დაუშვებელი, მოულოდნელი გადაწყვეტილება. გერმანიაში მოსამართლეს ევალება მითითებების გაცემა, რათა გადაწყვეტილება არ დაამყაროს ისეთ გარემოებას, რომელიც მხარეებს წინასწარ გათვლილი არ ჰქონიათ.

მეორე მაგალითად შეგვიძლია განვიხილოთ ფედერალური უმაღლესი სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილება,<sup>43</sup> რომლის თანახმადაც, ვინაიდან სასამართლომ მორიგების მცდელობის შემდგომაც ვერ შეძლო მხარეთა შეთანხმება, გამოაცხადა გადაწყვეტილება და სარჩელი დააკმაყოფილა. ამის შემდგომ, მოსამართლემ მაინც გააკეთა მინიშნება მანამდე შეთავაზებულ მორიგების შეთანხმებაზე. აქ შესაძლოა ვისაუბროთ მიკერძოებულობაზე, ვინაიდან სასამართლო პირდაპირ აცხადებს, რომ თუ მხარეები ვერ მორიგდებიან, გადაწყვეტილების პროექტი გადაწყვეტილებად იქცევა.

ამდენად, ორმხრივი კომუნიკაციით და მოსამართლის მიერ საკუთარი ნეიტრალური მოსაზრების დაფიქსირებით, მხარეები შესაძლოა ახალ ალტერნატიულ შეთანხმებამდე მივიდნენ და გააანალიზონ კონკრეტული რისკები. ამ კუთხით, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ მხარეთა მეტი ჩართულობით მეტად სამართლიანი გადაწყვეტილების მიღწევა შეიძლება.

## 2.1.2. სასამართლოს ინიციატივა საქმისწარმოების დაჩქარების მიზნით

საქმეთა ნაკადის მართვა რთული პროცესია, რომელიც სასამართლოს მხრიდან დიდ ძალისხმევას მოითხოვს. საინტერესოა რამდენად შეესაბამება საქმისწარმოების დაჩქარების მიზნით მოსამართლის როლის გაძლიერება შეჯიბრებითობის პრინციპს და რა ღონისძიებებია საჭირო საქმეთა ნაკადის სამართავად? საქართველოს საპროცესო კანონმდებლობა შეიცავს გარკვეულ მექანიზმებს, რომელიც მოსამართლეს აძლევს საქმეზე აქტიური კონტროლის საშუალებას. მაგალითად, სასამართლოს შეუძლია მოხსნას პროცესის გაჭიანურებისაკენ მიმართული შუამდგომლობები (სსსკ-ის 215-ე მუხლი), გამოთხოვილი მტკიცებულებების წარმოუდგენლობისას (როდესაც წერილობითი მტკიცებულებების წარდგენის შესახებ სასამართლოს მოთხოვნა არასაპატიოდ არ შესრულდა) დააჯარიმოს შესაბამისი თანამდებობის პირი (სსსკ-ის 136-ე მუხლი) და სხვა. ამერიკის იურისტთა ასოციაციის მიხედვით, „მას შემდეგ, რაც დავაში მონაწილე მხარე მიმართავს სასამართლოს, სასამართლოს ეკისრება პასუხისმგებლობა, რომ ზეწოლა მოახდინოს ადვოკატებზე და მხარეებზე, რათა ისინი მოემზადონ საქმისათვის დაყოვნების გარეშე. სასამართლოს მიერ მხარეებზე კონტროლის დაკარგვა

---

<sup>43</sup> ფედერალური უმაღლესი სასამართლო, NJW 1966, 2399 (mit Anmerkung), ნაშრომიდან: შმიდტი შ., გერმანიაში სამოქალაქო სამართალწარმოებისას სასამართლო კომუნიკაციის მნიშვნელობა, გერმანულიდან თ. ბერიშვილის თარგმანი, სამართლის ჟურნალი N1, 2018, 356.

აუცილებლად იწვევს პროცესის ინერტულობას.”<sup>44</sup> მოსამართლის როლის გააქტიურებას ასევე აღიარებს ევროპული გამოცდილებაც, კერძოდ, ა. ცუკერმანის მიხედვით, „ფაქტები, განსაკუთრებით კი ამერიკის შეერთებული შტატების გამოცდილებიდან გამომდინარე, მოწმობენ, რომ მოსამართლის როლის გააქტიურება პოზიტიურად მოქმედებს საქმისწარმოების ვადებზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოსამართლის, როგორც მესამე მხარის როლი საქმისწარმოებაში, რომელიც უპირისპირდება მხარეთა ოპორტუნისტულ ქცევებს, თუნდაც შეჯიბრებითობით სისტემაში, წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან გარანტიას საქმისწარმოების ადექვატური ტემპის შესანარჩუნებლად.”<sup>45</sup>

სასამართლო დროის მენეჯმენტის *SATURN*-ის განახლებული სახელმძღვანელო მითითებების თანახმად, მოსამართლეს უნდა გააჩნდეს უფლებამოსილება დაადგინოს კონკრეტული დროის ლიმიტი. მოსამართლე უნდა შეეცადოს მიაღწიოს შეთანხმებას პროცესის ყველა მონაწილესთან საპროცესო კალენდართან დაკავშირებით და მისი შეცვლა დასაშვები უნდა იყოს მხოლოდ საპატიო გარემოებების არსებობისას, ყველა მხარესთან შეთანხმებით. გარდა ამისა, უნდა არსებობდეს შესაბამისი სანქციები პროცესის შეყოვნებისა და არაკეთილსინდისიერი ქცევისათვის. ყველა გადაწყვეტილების შინაარსი უნდა იყოს შემოკლებული ფორმის და შეეხებოდეს მხოლოდ არსებით საკითხებს, მიზანი უნდა იყოს გადაწყვეტილების ახსნა. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლეებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, წერილობით განჩინებასთან ერთად გამოიტანონ ზეპირი გადაწყვეტილებაც.<sup>46</sup>

ამდენად, როგორც ქართული, ასევე ამერიკული და ევროპული გამოცდილების გათვალისწინებით, სასამართლოს უნდა გააჩნდეს მექანიზმები, რომელიც საშუალებას მისცემს საქმეზე განახორციელოს აქტიური კონტროლი.

რაც შეეხება საქმის განხილვის ვადებს, საქართველოში მკაცრად განსაზღვრულია კანონმდებლობით, რომ სამოქალაქო საქმეებს

---

<sup>44</sup> ABA Standards Related to Court Delay Reduction, ციტირებულია ნაშრომიდან: საქმეთა ნაკადის მართვა და საქმისწარმოების დაჩქარება სასამართლოებში, ძირითადი პრინციპების მოკლე მიმოხილვა, თბილისი, 2010, 9.

<sup>45</sup> Marco Fabri and Philip Langbroek, „Delay in Judicial Proceedings in Europe: preliminary inquiry”, ციტირებულია ნაშრომიდან: საქმეთა ნაკადის მართვა და საქმისწარმოების დაჩქარება სასამართლოებში, ძირითადი პრინციპების მოკლე მიმოხილვა, თბილისი, 2010, 10.

<sup>46</sup> სასამართლო დროის მენეჯმენტის *SATURN*-ის განახლებული სახელმძღვანელო მითითებები (მე-2 რედაქცია), მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია (CEPEJ), სამოსამართლო დროის მენეჯმენტის *SATURN*-ის ცენტრის მმართველი ჯგუფი (CEPEJ-SATURN), CEPEJ (2014)16<sup>1</sup>, სტრასბურგი, 12 დეკემბერი, 2014, 8.

სასამართლოები განიხილავენ არა უგვიანეს 2 თვის ვადაში, ხოლო განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 5 თვის ვადით. შედარებისათვის, ამერიკის იურისტთა ასოციაციის მიერ შემუშავებული ზოგადი სტანდარტის მიხედვით, სამოქალაქო საქმეთა 90% განხილული უნდა იქნას 12 თვის ვადაში, 98% 18 თვის ვადაში, ხოლო დანარჩენის განხილვა უნდა დასრულდეს 24 თვის ვადაში. ამასთან, განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას, სასამართლოს შეუძლია დაადგინოს განსხვავებული ვადაც.<sup>47</sup> აღნიშნული სტანდარტი ზოგადია და მთლიანად სასამართლოს შეხედულებაზეა დამოკიდებული რომელ საქმეს რა ვადას მიანიჭებს განსახილველად. ვადების დადგენისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული საქმის სირთულე და განსხვავება სხვადასხვა კატეგორიის საქმეებს შორის. რაც შეეხება წარმოების ხანგრძლივობას გერმანიაში, საქართველოსაგან განსხვავებით არსებობს არა კანონმდებლობით დადგენილი ვადები, არამედ პრინციპის დონეზეა, რომ ნებისმიერმა მოსამართლემ გაჭიანურების გარეშე უნდა აწარმოოს და განიხილოს თავისი საქმე. უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ რთულია შეაფასო იყო თუ არა ეს გაჭიანურება. გერმანიის საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს არანაირ ვადას, რომელიმე ინსტანციის, რომელიმე საქმის განხილვისათვის და არც ვადას საქმისა თუ სხდომის დანიშნვისათვის. გერმანელები არ არიან საკანონმდებლო შეზღუდვის ქვეშ, როგორც ქართველი მოსამართლეები, კერძოდ კანონი მათ არანაირ ვადას არ უწესებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოში არსებული ვადები საკმაოდ მჭიდროდ შეიძლება მივიჩნიოთ, რადგან ძალიან რთულია ამ ვადებში ჩატევა და საქმის სრულად და ამომწურავად განხილვა. რაც შეეხება მოსამართლისათვის ვადებზე მითითებას, კონკრეტულ წარმოებაზე ვადასთან დაკავშირებული შენიშვნა, მითითება, კრიტიკა შემხებლობაშია მოსამართლის დამოუკიდებლობასთან და უხეშად არღვევს მას. ერთ კონკრეტულ წარმოებასთან დაკავშირებით მოსამართლეს ვერ უსაყვედურებენ და ვერ მიუთითებენ, რომ დააჩქაროს საქმე.<sup>48</sup> მაგალითად, გერმანიაში მჭიდრო ხანდაზმულობის ვადა ვრცელდება სატრანსპორტო შემთხვევებში, სატრანსპორტო დავებზე, მოძრაობის წესების დარღვევისას წარმოქმნილ სამართალდარღვევებზე. ხანდაზმულობის ვადა ჩერდება სასამართლოსადმი მიმართვასთან ერთად, მაგრამ სასამართლოსადმი მიმართვის შემდეგ

<sup>47</sup> იქვე, 15.

<sup>48</sup> იხ. დრეზდენის უმაღლესი სამხარეო სასამართლოს პრეზიდენტის, ულრიხ ჰაგენლოხის საჯარო ლექციის ტრანსკრიპტი თემაზე: მოსამართლის დამოუკიდებლობა, თბილისის სააპელაციო სასამართლო, 3 ივნისი, 2014 წ. <<http://tbappeal.court.ge/?news=234&mc=2>>

თავიდან აითვლება. თუ მოსამართლემ არ დააჩქარა ეს პროცესი, ზოგჯერ სასამართლოშივე გასდის საქმეს ხანდაზმულობის ვადა. თუ ასეთ საქმეებს მოეყარა თავი ერთი მოსამართლის ფიგურაში, ეს არის საფუძველი იმისა, რომ მოსამართლეს მიეთითოს, მიენიშნოს, ეთხოვოს გაითვალისწინოს ხანდაზმულობის მომენტი და ყურადღება მიაქციოს მას. თუმცა, ამგვარი რეკომენდაცია ვერ განხორციელდება, თუ მოსამართლის დატვირთვა არის ზედმეტად მაღალი. ამასთან, შენიშვნა უნდა განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იმავდროულად ვასაბუთებთ, რომ მოსამართლეს მართლაც შეეძლო უფრო სწრაფად საქმის დასრულება.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 6.1 მუხლი ადგენს საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას,<sup>49</sup> თუმცა არ აკონკრეტებს რა პერიოდი წარმოადგენს გონივრულ ვადას. სტრასბურგის სასამართლო პრაქტიკით დადგენილია ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპები, რომლის მიხედვითაც უნდა შეფასდეს საქმის განხილვის ვადა. ესენია: 1) საქმის სირთულე; 2) მომჩივნის ქმედებები; 3) შიდასახელმწიფოებრივი ორგანოს ქმედებები; 4) მომჩივნის სამართლებრივი ინტერესი, რომელიც სასწორზე დგას (სხვა დავებთან ერთად, ასეთია საქმეები, რომლებიც უკავშირდება საოჯახო დავებს და მშობელთა და ბავშვთა შორის ურთიერთობას). მოცემული პრინციპების გარდა, პრაქტიკით დადგენილია, რომ სამოქალაქო საქმეებზე, მარტივ დავებზე გონივრულ ვადად ითვლება: 1 წელი და 10 თვე პირველ ინსტანციაში, 1 წელი და 8 თვე აპელაციაში და კასაციაში; პრიორიტეტულ (შრომით) დავებზე - 1 წელი და 7 თვე პირველ ინსტანციაში, 1 წელი და 9 თვე აპელაციაში და კასაციაში; რთულ საქმეებზე კი სტრასბურგის სასამართლომ დარღვევა დაადგინა, როდესაც საქმის ხანგრძლივობამ გადააჭარბა 8 წელს.<sup>50</sup>

მიუხედავად კანონმდებლობით დაცული გონივრულ ვადაში საქმის განხილვის ვალდებულებისა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ეროვნულ სასამართლოებს ასევე ავალდებულებს გამოიჩინონ გულმოდგინება, რათა უზრუნველყონ კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლებით ეფექტური სარგებლობა. სტრასბურგის სასამართლომ საქმეზე ბართაია საქართველოს წინააღმდეგ, სადაც მომჩივანი ითხოვდა მის წინააღმდეგ გამოტანილი

<sup>49</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 6.1 მუხლის თანახმად, „უფლებათა და სამოქალაქო ვალდებულებათა, ან მის წინააღმდეგ მიმართული სისხლის სამართლებრივი ბრალდების საკითხის გადასაწყვეტად, ყველას აქვს უფლება საქმის სამართლიან და საჯარო განხილვაზე გონივრულ ვადაში“.

<sup>50</sup> საქმეთა ნაკადის მართვა და საქმისწარმოების დაჩქარება სასამართლოებში, ძირითადი პრინციპების მოკლე მიმოხილვა, თბილისი, 2010, 21.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას, დაასკვნა, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზებისათვის, წარმომადგენლის შუამდგომლობა პროცესის გადადებაზე იმ მიზეზით, რომ იგი სხვა დავის განხილვაში მონაწილეობდა, საკმარისი საფუძველი იყო სხდომის გადადებისათვის, ვინაიდან მხარეს ეზღუდება დაცვის უფლება და შესაძლებლობა ეფექტურად წარადგინოს საკუთარი პოზიცია. ევროპული სასამართლოს შეფასებით, სასამართლოს მხრიდან ზედმეტად ფორმალისტური და მოუქნელი მიდგომა ეწინააღმდეგება გულმოდგინების პრინციპს.<sup>51</sup>

### 2.1.3. მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის გადანაწილება და მისი ზუსტად განსაზღვრის სამართლებრივი მნიშვნელობა

მხარეებმა საქმის სადავო ფაქტობრივი გარემოებები საკმარისი სიზუსტით უნდა მოახსენონ სასამართლოს. იმ შემთხვევაში, თუ ორივე მხარის მოხსენება საკმარისია იურიდიული კვალიფიკაციისათვის, მაშინ მოსამართლემ შეძლებისდაგვარად ზუსტად უნდა დაამუშაოს ის ფაქტობრივი საკითხები, რომლებზედაც დამოკიდებულია გადაწყვეტილების გამოტანა. მოსამართლეს ევალება გაარკვიოს, რამდენად დაზუსტებით გადმოსცა მხარემ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები. თუ აღნიშნული საკითხი მას მხედველობიდან გამორჩა, მოწინააღმდეგე მხარის მიერ მოხსენებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ჩაითვლება. აქ უკვე ვხვდებით მტკიცებასთან დაკავშირებულ საკითხებს. მტკიცების ტვირთის ზუსტად განაწილებისას 1) მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, თუ რომელმა მხარემ უნდა იტვირთოს სადავო ფაქტის დამტკიცება, ანუ რომელმა მხარემ უნდა წარადგინოს მტკიცებულება. სხვადასხვა ფაქტების დამტკიცების აუცილებლობის შემთხვევაში, სასამართლომ არა მხოლოდ მხარეებს უნდა მიუთითოს მტკიცებულებათა წარდგენის შესაძლებლობაზე, არამედ უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით შეაგროვოს ისინი. თუმცა, 2) სასამართლო არ არის უფლებამოსილი საკუთარი ინიციატივით მოითხოვოს მოწმის დაკითხვა მტკიცების მოვალეობის მქონე მხარის მიერ შესაბამისი შუამდგომლობის წარდგენის გარეშე. 3) მტკიცების ტვირთის საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც მტკიცებულებათა შეგროვების მიუხედავად სადავო ფაქტები ვერ დადასტურდა, სასამართლო

<sup>51</sup> BARTAIA V. GEORGIA, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე ბართაია საქართველოს წინააღმდეგ, სტრასბურგი, 2018 წლის 26 ივლისი, საჩივარი N10978/06.

ვერ დარწმუნდა მათ არსებობა-არარსებობაში. იგულისხმება, რომ მტკიცების საკითხი ვერ გაირკვა და სახეზეა ე.წ. „ნონ-ლიქუეტ“. ამ დროს, ძირითადად მოქმედებს სსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესი, რომელიც გულისხმობს, რომ მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს მოთხოვნის წარმომშობი ყველა გარემოება, ხოლო მოპასუხემ მისი გაქარწყლების დამადასტურებელი ყველა გარემოება.<sup>52</sup>

საქართველოს სამოქალაქო სამართალსა და საპროცესო სამართალში არსებობს მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტურის განაწილების სტანდარტი. აღნიშნული სტანდარტის თანახმად, მტკიცების ტვირთი განაწილებულ უნდა იქნეს იმგვარად, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს უნდა დაეკისროთ იმ ფაქტების დამტკიცება, რომელთა მტკიცება მათთვის ობიექტურად შესაძლებელია. მტკიცების ტვირთი ეკისრება მას, ვინც ამტკიცებს და არა მას, ვინც უარყოფს. მართალია, ფაქტების დამტკიცების ტვირთი ფაქტების მიმთითებელ მხარეებს ეკისრებათ, თუმცა გამონაკლისს წარმოადგენს მატერიალური სამართლით გათვალისწინებული შემთხვევა, როდესაც ფაქტების დამტკიცების ტვირთი ამა თუ იმ ნორმით განსხვავებულადაა მოწესრიგებული.<sup>53</sup> კერძოდ, სამართალწარმოებაში მოქმედებს მტკიცების ტვირთის განაწილების ორი ძირითადი წესი: ზოგადი წესი, რომელიც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად ეკისრება თითოეულ მხარეს, და სპეციალური წესი, რომელსაც თავად გამოსაყენებელი მატერიალური ნორმა აწესებს. მაგალითისთვის, შრომით-სამართლებრივი დავები მტკიცების ტვირთის განაწილების გარკვეული თავისებურებით ხასიათდება, რასაც მტკიცებულებების წარმოდგენის თვალსაზრისით, დამსაქმებლისა და დასაქმებულის არათანაბარი შესაძლებლობები განაპირობებს და ამდენად, უნდა ვიხელმძღვანელოთ მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციალური სტანდარტით, რომლის თანახმად, სწორედ დამსაქმებელია ვალდებული ადასტუროს დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერი და საკმარისი საფუძვლის არსებობა. ამგვარი სტანდარტის გამოყენების ნორმატიულ საფუძველს ქმნის ის, რომ დამსაქმებელს გააჩნია მტკიცებითი უპირატესობა, სასამართლოს წარუდგინოს მისთვის ხელსაყრელი მტკიცებულებები“.<sup>54</sup>

<sup>52</sup> ბოელინგი ჰ., სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების მიღების მეთოდოლოგია, მოსამართლეთა სემინარი, სასტუმრო „თბილისი“, ბაკურიანი, 5-8 ივლისი, 2007, 114.

<sup>53</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 20 ივნისის განჩინება საქმეზე №28/6856-17.

<sup>54</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 07 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-483-457-2015.

მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის სწორად გადანაწილებას არა მარტო საპროცესო სამართლებრივი, არამედ არსებითი მატერიალურ სამართლებრივი მნიშვნელობაც გააჩნია, ვინაიდან მხარის მიერ ამ მოვალეობის შეუსრულებლობას ან არაჯეროვნად განხორციელებას, შედეგად მოჰყვება ამავე მხარისათვის უარყოფითი, არახელსაყრელი შედეგი. სასამართლოს მიერ მტკიცების მატარებელი მხარის განსაზღვრის შემთხვევაში, თუ მტკიცება იმ მხარემ წარმართა, რომელსაც დაკისრებული ჰქონდა აღნიშნული მოვალეობა, ეს მხარე მოიგებს პროცესს, თუ სამართლებრივი დავის გადაწყვეტა მხოლოდ ამ საკითხზეა დამოკიდებული. თუ მხარემ არ წარმართა მტკიცება, მაშინ დადგება საპირისპირო შედეგი. მტკიცების ტვირთის დაკისრების საკითხი მტკიცებულების გამოთხოვის შესახებ განჩინების ფორმულირებისას უნდა აისახოს, ამ შემთხვევაში, მოსამართლე აშკარად გამოხატავს საკუთარ პოზიციას.

ამასთან, მოქმედებს წესი, რომ მტკიცების ტვირთის განაწილების საკითხი სამოტივაციო ნაწილშიც უნდა აისახოს. გასათვალისწინებელია, რომ თუ ვერ დამტკიცდა ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც გადაწყვეტილებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, მაშინ მოსამართლე არ უნდა შეეცადოს არგუმენტების მოყვანას, რომ შესაძლებელია საპირისპიროს დამტკიცებაც. ამით, პროცესის მონაწილეებს შესაძლოა შეექმნათ შთაბეჭდილება, რომ მტკიცების ტვირთის თაობაზე მცდარი გადაწყვეტილება იქნა მიღებული. აღნიშნული მიუთითებს იმის აუცილებლობაზე, რომ გადაწყვეტილების ფორმულირებისას მტკიცების ტვირთის საკითხი ზუსტად განისაზღვროს.<sup>55</sup> ამდენად, თუ სასამართლო დაადგენს, რომ სადავო გარემოება ითხოვს დამატებით შესწავლას, მხარისათვის მიცემული შეკითხვებისა და განმარტებების მოთხოვნის საფუძველზე უნდა დაზუსტდეს შესაბამისი ფაქტი.

## 2.2. მოსამართლის ქმედების საზღვრები

### 2.2.1. სამოსამართლო ინიციატივა, როგორც მოსამართლის აცილების საფუძველი

მოსამართლეთა მხრიდან გარემოებათა დადგენის მიზნით მხარეებთან კომუნიკაცია გარკვეულ რისკებს შეიცავს. უპირველეს ყოვლისა, პროცესის მონაწილეებს უქმნის ვარაუდის საფუძველს, რომ საქმის განმხილველი

---

<sup>55</sup> ბოელინგი ჰ., სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების მიღების მეთოდოლოგია, მოსამართლეთა სემინარი, სასტუმრო „თბილისი“, ბაკურიანი, 5-8 ივლისი, 2007, 116.

მოსამართლე შესაძლოა მიკერძოებული იყოს.<sup>56</sup> რასაკვირველია, აცილების საფუძველი ვერ გახდება ისეთი შემთხვევა, როდესაც მოსამართლე პროცესის მსვლელობისას აკეთებს განმარტებებს, რომლებიც შეეხება შინაარსობრივ, თუ სამართლებრივ მხარეს. იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი განმარტების მიზანი დავის სწორად და სამართლიანად გადაწყვეტაა, მოსამართლის მხრიდან მიკერძოება სახეზე არ გვექნება. ინიციატივები, როგორცაა: მითითება, მოთხოვნა, რჩევა, ახსნა-განმარტება, რეკომენდაცია არ უნდა ჩაითვალოს მისი აცილების საფუძველად, რადგან ამ ინიციატივების მიზანი არა რომელიმე მხარისადმი მიკერძოებული დამოკიდებულება, არამედ, დავის სწორად გადაწყვეტაა. მაგალითად, თუ მხარე შეცდომაში იმყოფება, ან გამოკვეთილად არ აყენებს შუამდგომლობას, მოსამართლე ვალდებულია გააკეთოს სამართლებრივი განმარტება. მითითების მიცემა ასეთ დროს აუცილებელი პრინციპია და კრიტიკას არ იმსახურებს.

პრაქტიკული კუთხით, მოსამართლე ხაზს უნდა უსვამდეს მისი გადაწყვეტილების წინასწარ ხასიათს.<sup>57</sup> მხარეებმა არ უნდა ივარაუდონ, რომ მოსამართლემ წინასწარი მოსაზრებით უკვე მიიღო გადაწყვეტილება რომელიმე მხარის სასარგებლოდ და პროცესის მსვლელობისას ამ გადაწყვეტილების შეცვლა დაუშვებელია. „დემოკრატიული საზოგადოებისათვის არსებითად მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებას ჰქონდეს ნდობა სასამართლო სისტემისადმი.“<sup>58</sup> ამასთან, „მართლმსაჯულება არა მხოლოდ უნდა განხორციელდეს, არამედ უნდა ჩანდეს, რომ განხორციელდა.“<sup>59</sup>

სხვა შემთხვევასთან გვაქვს საქმე, თუ მოსამართლე პირდაპირ მიუთითებს მხარეს რომელიმე თავდაცვის საშუალების გამოყენებაზე, მოთხოვნის შეცვლაზე, გაფართოებაზე, სხვა პირის წინააღმდეგ ან სხვა პირთან ერთად პროცესის გაგრძელებაზე, ან ისეთ საპირისპირო უფლებაზე, როგორცაა ხანდაზმულობა. ერთ-ერთ საქმეზე, ფედერალურმა უზენაესმა

<sup>56</sup> გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 42-ე პარაგრაფის თანახმად, მოსამართლის მიკერძოებულობა მისი აცილების საფუძველია. German Code of Civil Procedure – (ZPO) Zivilprozessordnung <[https://www.gesetze-im-internet.de/englisch\\_zpo/englisch\\_zpo.html](https://www.gesetze-im-internet.de/englisch_zpo/englisch_zpo.html)>.

<sup>57</sup> მიწის უზენაესი სასამართლო, მიუნხენი, MDR 2004, 52. (შეად. გერმანიის უზენაესი სასამართლოების პრაქტიკით, წინასწარი ხასიათის მითითება სავალდებულო არ არის), ნაშრომიდან: შმიდტი შ., გერმანიაში სამოქალაქო სამართალწარმოებისას სასამართლო კომუნიკაციის მნიშვნელობა, გერმანულიდან თ. ბერიშვილის თარგმანი, სამართლის ჟურნალი N1, 2018, 351.

<sup>58</sup> CASE OF DRIZA v. ALBANIA, EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS, Application no. 33771/02, 13 November 2007, § 74.

<sup>59</sup> CASE OF MICALLEF v. MALTA, EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS, Application no. 17056/06, 15 october, 2009, § 98.

სასამართლომ აცილება დასაბუთებულად მიიჩნია შემდეგი საფუძვლით: „მოსამართლეს არა აქვს უფლება მიუთითოს დამოუკიდებელი, ცალკე კანონიერი საფუძვლის მქონე შეტევის და თავდაცვის საშუალებების გამოყენებაზე”, ხოლო ფრანკფურტის მიწის უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილებით, მოსამართლე მიკერძოებულად იქნა მიჩნეული შემდეგი საფუძვლით: „სასამართლოს არ აქვს უფლება მხარეს მისი მოთხოვნის არსებითი დასაბუთება ხელთ მისცეს და ამით შეჯიბრებითობის პრინციპი დაარღვიოს”<sup>60</sup>

შტეფან შმიდტს თავის ნაშრომში<sup>61</sup> მოხმობილი აქვს მიწის უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, ზეპირ განხილვამდე ერთი დღით ადრე მოსამართლე ტელეფონით დაუკავშირდა მოპასუხის ადვოკატს, აცნობა საკუთარი სამართლებრივი მოსაზრება და განუმარტა, რომ ფაქტობრივი გარემოებები მოპასუხის საწინააღმდეგოდ მეტყველებდა. ამასთან, შეატყობინა, რომ დეტალებს და მორიგების შეთავაზებას სხდომაზე გააცნობდა. ამ საუბრის შესახებ მოსამართლემ მოსარჩელის ადვოკატსაც აცნობა. ნაშრომში მითითებულია, რომ აღნიშნულ შემთხვევაში მიკერძოებულობას ადგილი არ ჰქონია.

მიწის ფედერალური სასამართლოს ზემოხსენებული დასკვნა გამომდინარეობდა გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 139-ე პარაგრაფის მე-4 აბზაცისა და 278-ე პარაგრაფის საფუძველზე, რომლის თანახმადაც, სასამართლო ვალდებულია მითითებები გასცეს რაც შეიძლება ადრე და ყველა ვითარებაში მიმართული იყოს დავის მორიგებით დასრულებისაკენ. გერმანიის 2001 წლის რეფორმა (მითითებების გაცემის ვალდებულება და მომრიგებელი მოსამართლის როლის გაძლიერება) მოცემულ გადაწყვეტილებაში განმარტებულია, ისე, რომ მითითებების გაცემა გარდა ზეპირი განხილვისა, შესაძლებელია განხორციელდეს როგორც წერილობით, ისე ტელეფონით. აღსანიშნავია, რომ მოცემული რეგულაციით იმდენად გაიზარდა მოსამართლის აქტიურობის პრინციპის მოქმედება, რომ შესაძლოა ადგილი ჰქონდეს შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევასაც. გამომდინარე იქიდან, რომ ქართული სამოქალაქო სამართალწარმოება შეჯიბრებით ხასიათს ატარებს, მოსამართლეები განსაკუთრებით ფრთხილობენ (როგორც წესი, სატელეფონო კომუნიკაციას მხარეებთან არ ახორციელებენ) და ცდილობენ დავის მონაწილეებს მისცენ უფლება მათი

<sup>60</sup> ფედერალური უმაღლესი სასამართლო NJW 2004, 164; ასევე, მიწის უზენაესი სასამართლო ფრანკფურტი NJW 1970, 1884, ნაშრომიდან: შმიდტი შ., გერმანიაში სამოქალაქო სამართალწარმოებისას სასამართლო კომუნიკაციის მნიშვნელობა, გერმანულიდან თ. ბერიშვილის თარგმანი, სამართლის ჟურნალი N1, 2018, 353.

<sup>61</sup> იქვე, 355.

საქმე განიხილოს დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ. აღნიშნული პრინციპი გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კონვენციიდან (სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება)<sup>62</sup>. შეჯიბრებითობის, მხარეთა თანასწორობისა და სამართლიანი სასამართლო უფლების განხორციელების ინტერესი ასევე მოითხოვს, რომ სამართალწარმოების მონაწილეებმა მიიღონ ინფორმაცია მოწინააღმდეგე მხარის ფაქტებისა და არგუმენტების შესახებ და წარმოადგინონ საკუთარი პოზიცია. ამასთან, მოსამართლე ყველა გზას მიმართავს მორიგების მიზნით, თუმცა, აღნიშნული მაქსიმალურად ნეიტრალურად, ზეპირი მოსმენისას უნდა განხორციელდეს. მხარეებს არ უნდა შეექმნათ შთაბეჭდილება, რომ მოსამართლე რომელიმე მათგანის პოზიციას მეტად ემხრობა.

ამასთან, სამოსამართლო ეთიკის კოდექსის თანახმად, მოსამართლემ თავი უნდა შეიკავოს რომ არ გაამჟღავნოს თავისი განწყობა საქმეში მონაწილე რომელიმე მხარის მიმართ. <sup>63</sup> ეთიკურად გაუმართლებელია, თუ ის სხვა მოსამართლეებთან, კოლეგებთან ან ოჯახის წევრებთან ისაუბრებს მის მიერ განსახილველ საქმეში მონაწილე ადვოკატის დაბალპროფესიონალიზმზე, ვინაიდან მოსამართლის უარყოფით განწყობას უთუოდ იგრძნობს მხარე და ამან შეიძლება გამოიწვიოს არა მარტო ამ მოსამართლის, არამედ მთელი სასამართლო სისტემის მიმართ უნდობლობა და უარყოფითი დამოკიდებულება. მოსამართლე საქმეში მონაწილე ყველა მხარის მიმართ თანაბრად მიუკერძოებელი და ობიექტური მსაჯული უნდა იყოს. გამორიცხულია რომელიმე მხარისათვის რაიმე უპირატესობის მინიჭება ან მისი უფლებების რაიმე ფორმით შელახვა.

### 2.2.2. მიუკერძოებელი სასამართლოს უფლება ბანგალორის სამოსამართლო ქცევის პრინციპების მიხედვით

ბანგალორის ქცევის პრინციპები მიზნად ისახავს მოსამართლეთა ეთიკური ქცევის სტანდარტებისა და სასამართლო უფლებამოსილების ჯეროვნად განხორციელებას. აღნიშნული პრინციპები მოიაზრებენ, რომ მოსამართლეები საკუთარი ქმედებებისათვის ანგარიშვალდებული არიან შესაბამისი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოების წინაშე.

პრინციპების მიხედვით, მოსამართლეს ევალება საკუთარი უფლებამოსილება განხორციელოს ფავორიტიზმის, მიკერძოების, ან წინასწარი განწყობის გარეშე. მან უნდა უზრუნველყოს, რომ მინიმუმამდე

<sup>62</sup> ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, მუხლი 6.

<sup>63</sup> საქართველოს სამოსამართლო ეთიკის კოდექსი, მუხლი 21.

დაიყვანოს იმ შემთხვევათა რიცხვი, როდესაც საჭირო ხდება მისი ჩამოცილება საქმის განხილვისაგან. მოსამართლის ქცევის კონტროლი ვრცელდება როგორც სასამართლოში, ასევე მის გარეთ. პრინციპების ამოსავალი ღირებულებაა მიუკერძოებლობა, რომელიც მნიშვნელოვანია სასამართლო უფლებამოსილების ჯეროვნად განსახორციელებლად და ვრცელდება არა მხოლოდ გადაწყვეტილებაზე, არამედ პროცესზეც, რომლის შედეგადაც მიიღება გადაწყვეტილება.<sup>64</sup> აღსანიშნავია, რომ ბანგალორის ქცევის პრინციპებს ქართველი მოსამართლეებიც აქტიურად იყენებენ. მაგალითისათვის, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ერთ-ერთი განჩინებით, მოსამართლემ თვითაცილება განაცხადა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის პირველი ნაწილით, იმ გარემოებაზე მითითებით, რომ იგი მონაწილეობდა საქმის პირველი ინსტანციით განხილვაში და ვერ მიიღებდა მონაწილეობას ამ საქმის განხილვაში სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში. განჩინებაში განმარტებულია, რომ მიუკერძოებელი სასამართლოს უფლება გარდა საქართველოს საპროცესო კანონმდებლობისა, განმტკიცებულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით,<sup>65</sup> ხოლო „სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების მიხედვით, მოსამართლემ თვითაცილება უნდა მოითხოვოს ნებისმიერი საპროცესო მოქმედების განხორციელებისაგან, რომელში შეიძლება გონიერ დამკვირვებელს მოეჩვენოს, რომ მოსამართლეს საკითხის გადაწყვეტა მიუკერძოებლად არ შეუძლია.“<sup>66</sup>

აღსანიშნავია, რომ პრინციპები უკრძალავს მოსამართლეს მის განხილვაში მყოფ საქმეზე, ან მომავალში მის განსახილველ დავაზე კომენტარის გაკეთებას, რათა არ დააზიანოს პროცესის აშკარა სამართლიანობა. მოსამართლემ თავისი ქცევით ან სიტყვებით არ უნდა გამოავლინოს წინასწარი განწყობა რომელიმე პიროვნებისადმი და მისი ქცევა უნდა შეესაბამებოდეს სამოსამართლო თანამდებობის ღირსებას.

---

<sup>64</sup> „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები“ და მისი კომენტარები, GIZ, თბილისი, 2015. <<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/mosamartleta.qcevis-wes2.pdf>>

<sup>65</sup> კონვენციის 6.1 მუხლის მიზნებისათვის, სასამართლოს მიუკერძოებლობის დადგენისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არა მარტო აღნიშნულ საქმეზე კონკრეტული მოსამართლის შინაგანი რწმენა და მოქმედება, არამედ ისიც, მოსამართლე უზრუნველყოფს თუ არა საკმარის გარანტიებს იმისათვის, რომ გამოირიცხოს ყოველგვარი ეჭვი. მიუკერძოებელი სასამართლოს უფლება გულისხმობს უფლებას ობიექტურ, მიუკერძოებელ და ნდობით აღჭურვილ სასამართლოზე.

<sup>66</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 7 ივნისის მოსამართლის თვითაცილების შესახებ განჩინება საქმეზე №38/270-19.

2.2.3. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების ანალიზი საქმეზე „პერუზი იტალიის წინააღმდეგ“<sup>67</sup>

**ფაქტობრივი გარემოებები**

მომჩივანი ეწეოდა იურიდიულ საქმიანობას. 2001 წლის სექტემბერში მან წერილი (“circular letter”) გაუგზავნა იტალიის ეროვნული სამართლებრივი სერვისების მონიტორინგის კომისიას, რომლითაც იგი ასაჩივრებდა ლუკას რაიონული სასამართლოს მოსამართლის მოქმედებებს. მოგვიანებით იმავე შინაარსის წერილი მან გაუგზავნა იმავე სასამართლოს რამდენიმე მოსამართლეს, თუმცა არ მიუთითებია იმ მოსამართლის ვინაობა, რომლის ქმედებებსაც ასაჩივრებდა.

წერილის შესაბამის ნაწილებში პერუზი განმარტავდა ლუკას რაიონული სასამართლოს მოსამართლის ქცევასთან დაკავშირებით ეროვნული სამართლებრივი სერვისების მონიტორინგის კომისიაში, იუსტიციის სამინისტროში, ნოტარიუსთა პალატასა და ეროვნულ ადვოკატთა ასოციაციაში მის მიერ წერილების გაგზავნის მაპროვოცირებელ მიზეზებს. კერძოდ, ლუკას რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების წინააღმდეგ წარდგენილ იქნა საჩივარი. აღნიშნული გადაწყვეტილება ეხებოდა მემკვიდრეობის განაწილების საკითხს. სასამართლომ არ დააკმაყოფილა ქალი პარტნიორის მოთხოვნები და გამომძიებელ მოსამართლეს სთხოვა იმ ბინის გაყიდვა, რომელიც მემკვიდრეებს უნდა გაეყოთ. თუმცა, აღნიშნული ბინა უკანონოდ იყო დაკავებული პარტნიორისა და მისი ქალიშვილის მიერ. ბავშვი პარტნიორთა თანაცხოვრების პერიოდში იყო დაბადებული. ვინაიდან რაიონული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ იყო საბოლოო, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 791-ე მუხლის თანახმად, შეუძლებელი იყო ბინის გაყიდვა ან შესაბამისი პროცედურის დაწყება. მიუხედავად აღნიშნულისა, მეორე მემკვიდრემ მოითხოვა ბინის გაყიდვა. გამომძიებლმა მოსამართლემ, მიუხედავად მომჩივანის მიერ ქონების გაყიდვის პროცედურების შეჩერების არაერთი წარუმატებელი მოთხოვნისა, მესამე აუქციონზე გაასხვისა ქონება. პირველი ორი აუქციონი მყიდველის არარსებობის გამო ჩაიშალა.

პერუზი წერილში აღნიშნავს, რომ სასამართლო სისტემისა და ზოგადად, მოსამართლეთა მიმართ მტრულად არ არის განწყობილი, პირიქით, მიაჩნია, რომ მოსამართლის როლი სამოქალაქო საზოგადოებისთვის უმნიშვნელოვანესი და ჩაუნაცვლებელია. დიდ

<sup>67</sup> CASE OF PERUZZI v. ITALY, EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS, Application no. 39294/09, 30 June 2015.

პატივისცემას გამოხატავს იმ დამსახურებული მოსამართლეებისადმი, რომლებიც შვებულების პერიოდშიც კი მუშაობენ, ესაუბრებიან ადვოკატებს და რომლებთანაც შეიძლება ურთიერთობისა და დიალოგის დამყარება. მისთვის გასაგებია, რომ მართლმსაჯულებას ადამიანები ახორციელებენ, შესაბამისად გადაწყვეტილებები შეიძლება იყოს მცდარი და არასრული, თუმცა, მათ ეს გამიზნულად, ბოროტი განზრახვით არ უნდა გააკეთონ. ვერ წარმოუდგენია, რომ როდესაც ინდივიდის უფლებები და მისი დამცველების ღირსება საფრთხის ქვეშაა, მათი საქმე შეიძლება გადაწყდეს მიკერძოებული პირის მიერ, რომელმაც შეიძლება გამოავლინოს მედიდურობა ან გულმოდგინების ნაკლებობა და გადაწყვეტილება ინდიფერენტულად მიიღოს.

პერუში მიუთითებს, რომ შურს კიდევ მოსამართლეების, რადგან მათ ალბათ, უფრო მეტი დრო აქვთ საქმის შესასწავლად, ასევე, შეუძლიათ დაესწრონ სხვადასხვა კულტურულ და სოციალურ ღონისძიებებს, მაშინ როდესაც, ადვოკატებს, საქმის სპეციფიკიდან გამომდინარე, ყოველთვის არ შეუძლიათ იმავს გაკეთება. მას ასევე ესმის, რომ სასამართლო გადატვირთულია საქმეთა სიმრავლითა და სხვადასხვა პრობლემით, იცის, რომ არ ყავთ საკმარისი კადრები, სწორედ ამიტომ, მიაჩნია, რომ პროტესტი ვერ დაეხმარება საქმის უკეთ მოგვარებაში, საჭიროა მეტი კოლაბორაცია და დიალოგი, რომელიც უკეთეს შედეგს მისცემს, ვიდრე პროტესტი. უამრავი ფიქრის შედეგად, მან გადაწყვიტა, რომ მიემართა სწორედ ამ კონკრეტული პროტესტის ფორმისთვის (წერილების გაგზავნა).

მომჩივანი მიუთითებს, რომ თუ ნებისმიერ კანონიერ საქმიანობას აქვს დაცვის მექანიზმები, მოსამართლეც ვალდებულია პატივი სცეს სხვების საქმიანობას, ადვოკატის საქმიანობის ჩათვლით. მოქალაქეების მოთხოვნები უნდა დაკმაყოფილდეს, როდესაც ისინი საქმის წარმოების საწყისი ეტაპიდანვე დასაბუთებულია. რა ახსნა შეიძლება ჰქონდეს ადვოკატს კლიენტისთვის, რომელსაც მან, სიფრთხილის ყველა ზომის დაცვით, საქმის გადაწყვეტის სავარაუდო შედეგი აცნობა, თუმცა მოსამართლემ იმგვარი გადაწყვეტილება მიიღო, რომელიც აბსოლუტურად ეწინააღმდეგება ადვოკატის მიერ ნავარაუდებ შედეგს? როდესაც მოსამართლე კანონის გამოყენების მაგივრად, წარმოადგენს საკუთარ განმარტებას და ამასთანავე, არც კი ხსნის ამგვარი განმარტების მოტივს. თუ ეს ადვოკატის შეცდომის, უცოდინრობის ან უპასუხისმგებლობის ბრალია, მან პასუხიც უნდა აგოს. თუმცა, როდესაც პასუხისმგებლობა მოსამართლეზეა, აღნიშნული მაინც ადვოკატს აზიანებს, რადგან კლიენტს უარყოფითი წარმოდგენა ექმნება მის მიერ შესრულებულ სამუშაოზე. ამდენად, წერილის შინაარსიდან

გამომდინარე, მომჩივანი ცდილობს საკუთარი პროფესიული ღირსების დაცვას.

### საქმის განხილვა ეროვნულ სასამართლოებში

მოსამართლემ, რომელსაც მიემართებოდა მოცემული წერილი მომჩივნის წინააღმდეგ ცილისწამების გამო სისხლისსამართლებრივი საჩივარი წარადგინა. მოსამართლე სისხლის სამართლის საქმისწარმოებას შეუერთდა, როგორც სამოქალაქო პირი. ბრალდების თანახმად, განმცხადებლის მიერ დაწერილი წერილი ხვდებოდა დასაშვები კრიტიკის ფარგლებში, თუმცა, მოგვიანებით მან დაარღვია გამოხატვის თავისუფლების ფარგლები, რაც გამოიხატა წერილის ზოგიერთ ფრაზაში.

გენოას სასამართლოს 2005 წლის 3 თებერვლის განაჩენით მომჩივანი დამნაშავედ იქნა ცნობილი, მას მსჯავრი დაედო ცილისწამებასა და შეურაცხყოფის წახალისებაში. მომჩივანს სასჯელის სახედ და ზომად შეეფარდა ოთხი თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა, სასამართლო ხარჯების ანაზღაურება (2,000 ევროს ოდენობით) და მოსამართლის მიერ განცდილი ზიანის ანაზღაურება, რომლის გამოთვლაც ცალკე სამოქალაქო სამართალწარმოებით მოხდებოდა. თუმცა, მომჩივანს ავანსის სახით 15,000 ევროს გადახდის ვალდებულება დაეკისრა. რაიონულმა სასამართლომ დაადგინა წერილის შეურაცხმყოფელი შინაარსი, რასაც ამძიმებდა ის ფაქტიც, რომ წერილი პროფესიით იურისტის მიერ იყო დაწერილი. მომჩივანმა გადააჭარბა დასაშვები კრიტიკის ფარგლებს, რადგან მან მოსამართლე დადანაშაულა გამიზნული შეცდომების დაშვებაში, შესაბამისად სერიოზულად შეურაცხყო მოსამართლის ღირსება.

მომჩივანმა წარადგინა სააპელაციო საჩივარი, სადაც უთითებდა, რომ ის დანაშაული, რომლის ჩადენაც მას ბრალად ედებოდა დასჯადი იყო მხოლოდ ჯარიმით, ამიტომ მისთვის დაკისრებული სასჯელი იყო არაპროპორციული და სამართლოს მიერ დაკისრებული ავანსი იყო გადაჭარბებული. მომჩივანი ასევე დავობდა, რომ წერილის შინაარსიდან არ ირკვეოდა, რომ კრიტიკა სწორედ ამ მოსამართლისადმი იყო მიმართული, არამედ იგი წარმოადგენდა სასამართლო სისტემის მუშაობის მიმართ ზოგად პროტესტს. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ მემკვიდრეობის შესახებ დავის განხილვისას მოსამართლემ არაერთხელ უთხრა უარი იმ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, რომლითაც იგი სადავო ქონების გაყიდვის შეჩერებას ითხოვდა, მოგვიანებით კი აღნიშნული გადაწყვეტილება შეიცვალა ზემდგომი მოსამართლის მიერ.

იმავე დღის გადაწყვეტილებით გენოას სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივანს ბრალად არ უნდა დაედებოდა შეურაცხყოფის

წახალისება, რადგან საჩივარი არ შეიცავდა პრეტენზიას ამგვარ დანაშაულზე. სააპელაციო სასამართლომ სასჯელი შეამსუბუქა და ცილისწამებისთვის მომჩივანს ჯარიმის სახით 400 ევრო დააკისრა. განაჩენის თანახმად, ბრალდებულს სასჯელი მოხდილად ჩაეთვალა და მას დაეკისრა მოსამართლისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება 15,000 ევროს ოდენობით.

საკასაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მომჩივნის საკასაციო საჩივარი და დაადგინა, რომ სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებულ საკითხებთან დაკავშირებით მიიღო სწორი და ლოგიკური გადაწყვეტილება.

### ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სავარაუდო დარღვევა

პერუზმა წარადგინა საჩივარი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში და იგი დასაშვებად იქნა მიჩნეული. მომჩივანი დავობდა, რომ ცილისწამებისთვის მისი მსჯავრდება არღვევდა კონვენციის მე-10 მუხლს.

სტრასბურგის სასამართლომ დარღვევა შეაფასა სამი კრიტერიუმით:

1. არსებობდა თუ არა ჩარევა - მხარეთა შორის სადავო არ იყო, რომ მომჩივნის მსჯავრდება წარმოადგენდა ჩარევას კონვენციის მე-10 მუხლის 1-ლი ნაწილით გარანტირებულ გამოხატვის თავისუფლებაში.<sup>68</sup>
2. იყო თუ არა ჩარევა გამართლებული: „კანონით განსაზღვრული“ და „ლეგიტიმური მიზანი“ - ჩარევა კონვენციას დაარღვევს, თუ არ აკმაყოფილებს კონვენციის 10.2 მუხლის მოთხოვნებს.<sup>69</sup> სადავო გარემოებას არ წარმოადგენდა, რომ ჩარევა განსაზღვრული იყო კანონით, კერძოდ სისხლის სამართლის კოდექსითა და სამართლებრივი დეკრეტის 595-ე

<sup>68</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 10.1 მუხლის თანახმად, „ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებისა. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. ეს მუხლი ხელს არ უშლის სახელმწიფოებს, განახორციელონ რადიომალწიფობის, სატელევიზიო ან კინემატოგრაფიულ საწარმოთა ლიცენზირება“.

<sup>69</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 10.2 მუხლის თანახმად, „ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც ის განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უწყსრიგობისა თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.“

მუხლის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილით. მომჩივნის მსჯავრდება ემსახურებოდა ლეგიტიმური მიზნის მიღწევას, კერძოდ მოსამართლის უფლებებისა და რეპუტაციის დაცვას, ჩარევის მიზანს, ასევე, წარმოადგენდა სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დაცვა.

„აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ - სასამართლოს განმარტებით, იმისათვის, რათა მოხდეს წარმოთქმული სიტყვების გამართლება, თავდაპირველად ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს ფაქტები და შეფასებითი მსჯელობა. ფაქტების არსებობა შეიძლება დამტკიცდეს, თუმცა შეფასებითი მსჯელობის დამტკიცება შეუძლებელია. თუმცა, მაშინაც კი, როდესაც გამონათქვამი წარმოადგენს შეფასებით მსჯელობას, მას უნდა გააჩნდეს საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი, სხვაგვარად იგი შეიძლება გადაჭარბებულად იქნეს მიჩნეული.

განსახილველ საქმეში მნიშვნელოვანია ის, რომ დავის განხილვისას მომჩივანი იყო იურისტი, რომელსაც მოსამართლესთან უთანხმოება წარმოეშვა პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას. სხვა საქმეებზე<sup>70</sup> სტრასბურგის სასამართლომ ჩამოაყალიბა იურიდიულ პროფესიასთან დაკავშირებული სპეციფიური პრინციპები. კერძოდ:

„იურისტის, როგორც სასამართლოსა და კერძო პირებს შორის შუამავლის, სპეციფიკური სტატუსი, მათ მართლმსაჯულების განხორციელებაში ცენტრალურ პოზიციას ანიჭებს. მათი ამგვარი პოზიციით აიხსნება ადვოკატთა კორპუსის წევრების მიმართ არსებული შეზღუდვებიც. გარდა ამისა, სასამართლოები, როგორც მართლმსაჯულების განხორციელების გარანტები, რომელთა როლიც უმნიშვნელოვანესია კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული სახელმწიფოსთვის, უნდა სარგებლობდნენ საზოგადოების ნდობით. იურისტების განსაკუთრებული როლის გათვალისწინებით, სამართლიანია მათ მიმართ არსებობდეს მოლოდინი, რომ ხელს შეუწყობენ მართლმსაჯულების სათანადო ადმინისტრირებასა და საზოგადოების ნდობის შენარჩუნებას (იხ: საქმე: „შოპფერი შვეიცარიის წინააღმდეგ)“.

ასევე, მორისის საქმეზე<sup>71</sup> სასამართლომ ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებებზე: „(ა) ადვოკატებს უფლება აქვთ, საჯაროდ გააკეთონ კომენტარები მართლმსაჯულების ადმინისტრირების შესახებ, თუმცა მათმა კრიტიკამ არ უნდა გადალახოს გარკვეული საზღვრები, რათა სასამართლო სისტემა დაცული იყოს უსაფუძვლო თავდასხმებისგან; (ბ) ადვოკატებმა არ

<sup>70</sup> მაგ. ფუქსი გერმანიის წინააღმდეგ (Fuchs v. Germany), (განჩინება), №29222/11.

<sup>71</sup> CASE OF STEEL AND MORRIS v. THE UNITED KINGDOM, EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS, მორისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, Application no. [68416/01](#), 15 February 2005.

უნდა გააკეთონ ისეთი კომენტარები, რომლებიც ისეთი სერიოზულია, რომ სცდება დასაშვებ კრიტიკას და არ გააჩნია ფაქტობრივი საფუძვლები; (გ) ადვოკატების მიერ გამოთქმული კომენტარები განხილულ უნდა იქნეს ზოგად კონტექსტში, რათა შემოწმდეს კავშირი გამონათქვამებსა და საქმის ფაქტობრივ გარემოებებს შორის, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც უნდა დადგინდეს წარმოადგენდა თუ არა გამონათქვამი უსაფუძვლო, პირად ანგარიშსწორებას”.

მომჩივანი, როგორც ეროვნული, ასევე ევროპული სასამართლოს წინაშე აცხადებდა, რომ სადავო წერილის მიზანს წამოადგენდა არა კონკრეტული მოსამართლის დისკრედიტაცია, არამედ ზოგადად სასამართლო სისტემის კრიტიკა. სასამართლომ არ გაიზიარა აღნიშნული არგუმენტი, რადგან სადავო წერილში მომჩივანი მიუთითებდა სხვა სახელმწიფო სტრუქტურებში გაგზავნილ წერილზე, რომლითაც იგი პირდაპირ საუბრობდა მოსამართლეზე, რომლის ქმედებებსაც აკრიტიკებდა. ამასთან, ამგვარი შინაარსის წერილის გავრცელება ისეთ ვიწრო წრეში, როგორც რაიონული სასამართლოა, აუცილებლად შელახავდა მოსამართლის რეპუტაციას.

შემდეგი საკითხია, გაცდა თუ არა მომჩივნის მიერ გამოთქმული მოსაზრებები დემოკრატიულ საზოგადოებაში დასაშვებ კრიტიკის ფარგლებს. მომჩივანს ძირითადად ორი სახის პრეტენზია ჰქონდა: (ა) იგი მოსამართლეს ადანაშაულებდა, თვითნებური და არასამართლიანი გადაწყვეტილებების მიღებაში და ასევე, (ბ) ბრალად სდებდა მიკერძოებულობას და წინასწარი შეცნობით, განზრახ შეცდომების დაშვებას. კრიტიკის პირველი ნაწილი სასამართლომ შეფასებით მსჯელობად მიიჩნია. შეფასებითი მსჯელობა პრეცედენტული სამართლის მიხედვით მტკიცების საგანი ვერ გახდება. მომჩივანს ამისათვის გააჩნდა საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი, კერძოდ, მომჩივანი იყო სასამართლო პროცესის ერთ-ერთი მხარის წარმომადგენელი. საქმის განხილვისას კი მან მრავალჯერ სცადა სადავო ქონების რეალიზაციის შეჩერება, ეს მოთხოვნები მოსამართლემ არ დააკმაყოფილა, მომჩივნის სუბიექტური მოსაზრებით კი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი იყო დაუსაბუთებელი და უკანონო.

კრიტიკის მეორე ნაწილში მომჩივანი საუბრობდა მოსამართლის მიკერძოებულობაზე. იგულისხმებოდა, რომ მან უგულვებელყო მოსამართლის პროფესიული ეთიკა ან უფრო მეტიც, ჩაიდინა სისხლისსამართლებრივი დანაშაული. მოსამართლის მიერ განზრახ არასწორი გადაწყვეტილების მიღება შეიძლება წარმოადგენდეს უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას. ნებისმიერ შემთხვევაში, სადავო წერილში საუბარი იყო, რომ ამ მოსამართლეს არ გააჩნდა ის თვისებები, რომლებიც აუცილებელი იყო სამოსამართლო საქმიანობის

განსახორციელებლად, კერძოდ, მიუკერძოებლობა, დამოუკიდებლობა და ობიექტურობა. თუმცა, საყურადღებოა, რომ მომჩივანს არ უცდია დაემტკიცებინა მის მიერ გაჟღერებული ბრალდებების ჭეშმარიტება. მას არ წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება, რომელიც დაამტკიცებდა მოსამართლის განზრახვას. სასამართლოს მოსაზრებით, მომჩივნის ბრალდებების ერთადერთ საფუძველს წარმოადგენდა მოსამართლის მიერ მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ამასთან, სასამართლოს შეფასებით, გასათვალისწინებელია, რომ ცილისწამების მსხვერპლი იყო მოქმედი მოსამართლე. სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, დასაშვები კრიტიკის ფარგლები შეიძლება უფრო ფართო იყოს იმ მოსამართლეების მიმართ, რომლებიც ახორციელებენ უფლებამოსილებას, ვიდრე კერძო პირების მიმართ. თუმცა, არ შეიძლება ითქვას, რომ საჯარო მოხელეები გამიზნულად ხდიან საკუთარ ქმედებებს კრიტიკის ობიექტად, როგორც ამას პოლიტიკოსები აკეთებენ, შესაბამისად, როდესაც საქმე ეხება საჯარო მოხელეების ქმედებების კრიტიკას, მათი გათანაბრება ამ უკანასკნელთან (პოლიტიკოსთან) დაუშვებელია. იმისათვის, რათა საჯარო მოხელეებმა წარმატებით შეასრულონ მათზე დაკისრებული მოვალეობა, საჭიროა საზოგადოება მათ მიმართ ნდობით იყოს აღჭურვილი. შესაბამისად, უფლებამოსილების განხორციელებისას, შეიძლება საჭირო გახდეს მათი შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი ვერბალური შეტევებისგან დაცვა. ამდენად, სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა „აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში“, რათა უზრუნველყოფილიყო მოსამართლის რეპუტაციის და სასამართლო სისტემის ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დაცვა, შესაბამისად, ადგილი არ ჰქონდა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას.

შედარებისათვის, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ დავაში, რომელიც შეეხებოდა გაზეთში კერძო პირის წინააღმდეგ გამოთქმული კრიტიკისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებას,<sup>72</sup> გამოიყენა რა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა დაადგინა, რომ კერძო პირთა მიმართ „დასაშვები კრიტიკის“ ფარგლები უფრო ვიწროა (განსხვავებით მოსამართლისაგან). თუმცა, ამის მიუხედავად უმრავლეს შემთხვევაში სასწორი გამოხატვის თავისუფლებისაკენ იხრება. როდესაც კერძო პირები მოღვაწეობენ საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხების სფეროში (მოსარჩელე მონაწილეობდა საჯარო დისკუსიებში), მათ მიმართ „დასაშვები კრიტიკის“ ფარგლები ფართოვდება და მიჩნეულია, რომ ასეთ

<sup>72</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 თებერვლის განჩინება საქმეზე №ას-1278-1298-2011.

დროს მათ კრიტიკისადმი მეტი მოთმინება მოეთხოვებათ. პრესის ფუნქციაა, გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები საზოგადოების საჭირობოტო საკითხებზე. შეიძლება ითქვას, რომ პრესის საშუალებით ინფორმაციებისა თუ იდეების გავრცელების თავისუფლება, თავისი არსით, გაცილებით უფრო მეტადაა საჯარო ინტერესის საგანი, ვიდრე ცალკეული ინდივიდის უფლებების დაცვა. ამდენად, პრესის თავისუფლებას მაღალი ღირებულება გააჩნია და ამიტომაც არის, რომ მისი შეზღუდვა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით „უჩვეულოდ წონად გამართლებას მოითხოვს“. ყველა შემთხვევაში პრესის თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი უნდა იყოს „წონადი“ და „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“.

ამდენად, როგორც ვხედავთ, პირველ შემთხვევაში გამოხატვის თავისუფლება მოსამართლის სასარგებლოდ, ხოლო მეორე შემთხვევაში პრესის სასარგებლოდ მოქმედებს. მოცემულის გათვალისწინებით, შესაძლოა ვიმსჯელოთ არათანაბარ მიდგომაზე, რადგანაც თუ ერთ შემთხვევაში ევროპულმა სასამართლომ დაუშვა ფართო კრიტიკის ფარგლების შეზღუდვა, მოსამართლის რეპუტაციის და სასამართლო სისტემის ავტორიტეტის დაცვის მიზნით, მეორე შემთხვევაში პირიქით, გააფართოვა დასაშვები კრიტიკის ფარგლები და უპირატესობა მიანიჭა პრესის ფუნქციებს, კერძო ინდივიდის უფლებებთან შედარებით. შესაბამისად, ორივე შემთხვევაში შეზღუდულია კერძო პირის ინტერესები.

დამატებით შეიძლება ითქვას, რომ მსგავს დავებში, სადაც სამართლიანი ბალანსი უნდა იქნეს დაცული მომჩივნის პირადი ცხოვრების დაცულობას და სხვა პირის გამოხატვის თავისუფლებას შორის, პრინციპული მნიშვნელობა არ ენიჭება იმას, სასამართლოში საჩივარი შეტანილია კრიტიკის ობიექტის მიერ და შესაბამისად ემყარება კონვენციის მე-8 მუხლს, თუ საჩივარი შეტანილია კრიტიკის ავტორის მიერ და შესაბამისად ემყარება კონვენციის მე-10 მუხლს. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გარანტირებული ორივე არსებითი უფლება თანაბარ დაცვას იმსახურებს.

### თავი III

## არაჯანსაღი, დაუსაბუთებელი სარჩელების გავლენა სამართალწარმოებაზე

### 2.1. ფაქტობრივი გარემოებების, სარჩელის საფუძვლისა და საგნის განსაზღვრა

სასამართლოში წერილობითი შეჯიბრი საქმისწარმოების საწყისი და ერთ-ერთი უმთავრესი ეტაპია, რომელიც დიდწილად განაპირობებს მთლიანად პროცესის შედეგებს. პირველი ინსტანციის სასამართლოში აღნიშნული ხორციელდება მოსარჩელის მიერ სარჩელის და მოპასუხის მიერ შესაგებლის წარდგენის გზით.

სარჩელის მომზადებას, მისი საფუძვლისა და საგნის განსაზღვრას სამართალწარმოებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება. პირი სარჩელის მეშვეობით ახორციელებს თავისი უფლების პროცესუალურ დაცვას. სარჩელის საგანი (იგივე „დავის საგანი“) არის მოსარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა მოპასუხისადმი, რომელიც უნდა განიხილოს სასამართლომ და გამოიტანოს გადაწყვეტილება. საფუძველი კი ის გარემოებებია, რომლებზეც მოსარჩელე ამყარებს საკუთარ მოთხოვნას. საფუძვლისა და საგნის განსაზღვრა მნიშვნელოვანია იმ დასაბუთებითაც, რომ როდესაც სარჩელთან ერთად შესაგებელი, შეგებებული სარჩელია წარმოდგენილი, ან როდესაც სახეზეა რამდენიმე პირის სარჩელი, რასაკვირველია, სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება თითოეული მხარის სასარგებლოდ ვერ იქნება მიღებული, თუმცა მკაფიოდ უნდა გამოიკვეთოს მიზეზები, რომლებიც საფუძვლად დაედო გადაწყვეტილების მიღებას და ის, რომ სასამართლო გადაწყვეტილება ლეგიტიმური მიზნის მისაღწევადაა მიღებული.<sup>73</sup>

პრაქტიკის გათვალისწინებით, როდესაც მხარეები ცუდად არიან მომზადებული პროცესისთვის, მეტადაა შესაძლებელი სასამართლოს მხრიდან შეცდომის დაშვება გადაწყვეტილების გამოტანისას. ხოლო, თუ ერთი მხარე მაინც ჩამოყალიბებული პოზიციით წარსდგება, მოწინააღმდეგე მხარეს ეძლევა სტიმული, რომ თავი დაიცვას. ამ პროცესით ვლინდება ჭეშმარიტება. რუსი მეცნიერი ე. ვასკოვსკის აზრით, შეჯიბრებითობის პრინციპი სასარგებლოა იმ შემთხვევაში, როდესაც ორივე დაპირისპირებული მხარე თანაბარი ძალებისაა, მაგრამ, თუ ერთი განათლებულია და მეორე არა,

<sup>73</sup> Steven Baicker-McKee, William M. Janssen, John B. Corr, A student's guide to the Federal Rules of Civil Procedure, St. Paul, Minn, West Publishing Co, 1997, 528.

ან ერთი მეორისგან განსხვავებით წარმოდგენილია კვალიფიციური ადვოკატით, მაშინ შეჯიბრებითობის პრინციპი მიგვიყვანს მხოლოდ ძლიერის სუსტზე გამარჯვებამდე, მდიდარი ადამიანის ღარიბზე გამარჯვებამდე, ეს კი ეწინააღმდეგება სამართლიანობას. როგორც მეცნიერი აღნიშნავს, ამ გარემოების აღმოსაფხვრელად ორი გზა არსებობს: 1) უნდა შემოვიღოთ პროცესში იურისტების სავალდებულო მონაწილეობა, 2) ან სასამართლოს უნდა დაეკისროს ვალდებულება დაეხმაროს მხარეებს ფაქტობრივი გარემოებების დადგენაში. პირველი მეთოდი გამოიყენეს საფრანგეთში, გერმანიაში, ავსტრიაში, თუმცა, როგორც პრაქტიკამ აჩვენა, იგი მიზანშეწოლილი არ არის, რადგან ადვოკატების სავალდებულო მონაწილეობა პროცესში მაინც არ გამორიცხავს სასამართლოს ჩარევის აუცილებლობას. ამასთან, კანონმა თავს არ უნდა მოახვიოს ადამიანებს იურისტების დახმარება, მითუმეტეს თუ ამისათვის საზღაურის გადახდა უწევთ. ამ მიზნით, სახელმწიფომ უნდა განახორციელოს გარკვეული ღონისძიებები, უფასო იურიდიული დახმარების უზრუნველსაყოფად.<sup>74</sup> ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ სასამართლო არ არის მარტოხელა, ერთმნიშვნელოვანი ქმედების სუბიექტი. იგი არის მოსამართლეთა, ადვოკატთა და სხვა გავლენიან სამართლის სფეროში მოღვაწე პერსონალთა ერთობლიობა.<sup>75</sup> ადვოკატების მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის გათვალისწინებით ქართულ რეალობაში ბევრი მოქმედი ადვოკატი ეწევა უფასო იურიდიულ დახმარებას. შექმნილია ასევე, უფასო იურიდიული დახმარების (*pro bono*) ცნობარი, რომლის გამოყენებით მოქალაქეებს აქვთ საშუალება ჰქონდეთ სრული ინფორმაცია მსგავსი სერვისის მიღების საშუალებებზე. ადვოკატების ამგვარ საქმიანობაში ჩართვა მართლაც მისასალმებელია. თუმცა, რიგ განვითარებულ ევროპულ ქვეყნებში ადვოკატების მხრიდან მსგავსი საქმიანობა მხარდაჭერილია სახელმწიფოს მხრიდან.<sup>76</sup>

ერთ-ერთ საქმეზე, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ყოველი კონკრეტული საქმის გადაწყვეტა სასამართლოში დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა

<sup>74</sup> Е.В. Васьковский, Учебник Гражданского процесса, М., 19146 стр. 155-156, ნაშრომიდან: მერებაშვილი ი., სასამართლოში სამოქალაქო საქმეთა განხილვისას მხარეთა შეჯიბრებითობისა და მოსამართლეთა აქტიურობის პრინციპების მოქმედება, მართლმსაჯულება და კანონი, N4(23)'09, 24.

<sup>75</sup> P. Craig and G. de Burca, *European Union Law (Oxford University Press, 2003)*, at 87. from: Solanke I., „Stop The ECJ?: An Empirical Analysis of Activism at the Court”, *European Law Journal*, Vol 17, No 6, November 2011, p. 764.

<sup>76</sup> ყანდაშვილი ი., ტურაზაშვილი გ., სახელმძღვანელო პროფესია ადვოკატის შესახებ, GIZ, თბილისი, 2018, 24.

განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოქმნილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. ე.ი ისეთი ფაქტების საფუძველზე, რომლებსაც სამართლის ნორმა უკავშირებს გარკვეულ იურიდიულ შედეგს. საქმის გარემოებების გამორკვევა და ფაქტების დადგენა მართლმსაჯულების უპირველეს ამოცანას წარმოადგენს, სწორედ დადგენილი ფაქტების საფუძველზე ხდება ნორმათშეფარდება.<sup>77</sup>

სხვა საქმეზე, სასამართლომ დაადგინა, რომ სარჩელში სავალდებულოდ მისათითებელი ფაქტობრივი გარემოებები ისევ და ისევ მოსარჩელის სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვას ემსახურება. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო არასრულ სარჩელს მიიღებს და ფაქტობრივი გარემოებების მხარის მიერ არასწორად მითითებისა და მტკიცებულებების არქონის პირობებში განიხილავს საქმეს, მაშინ მხარეს სრულყოფილი სარჩელით სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა იმავე მოთხოვნით, იმავე მხარეებს შორის და იმავე საფუძველით, აღარ შეეძლება. შესაბამისად, არასრულყოფილი და გაუმართავი სარჩელის წარმოებაში მიღებით და მისი არსებითად განხილვით, მას ერთმევა საკუთარი უფლებისა და კანონიერი ინტერესის ჯეროვანი დაცვის უფლება. აღსანიშნავია, რომ მხარე სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში, უფლებამოსილია, ხელმეორედ მიმართოს სასამართლოს იმავე სარჩელით, ამასთან, აღმოფხვრას ის ხარვეზი, რაც სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის საფუძველი გახდა. უფრო მეტიც, მხარემ უნდა გაითვალისწინოს, რომ ჯეროვანი სასამართლო სამართალწარმოება მხოლოდ ჯეროვანი სარჩელის პირობებშია შესაძლებელი.<sup>78</sup>

## **2.2. სასამართლოს მიერ საქმის განხილვაზე უარის თქმის საფუძველები და სტატისტიკური მონაცემები**

განცხადების მიღებასა და საქმის განხილვაზე უარის თქმა სასამართლოს შეუძლია მხოლოდ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით

<sup>77</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 1 აპრილის განჩინება საქმეზე №ბს-612-590(კ-13).

<sup>78</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 04 ივლისის განჩინება საქმეზე №28/362-16.

დადგენილი საფუძვლებითა და წესით.<sup>79</sup> ნორმებში პირდაპირაა რეგლამენტირებული თუ რა შემთხვევა ითვლება სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის საფუძვლად. საინტერესოა, შეუძლია თუ არა სასამართლოს 1) უარი უთხრას მოსარჩელეს, თუ მან არ მიუთითა ყველა ფაქტობრივი გარემოება ან მათი ნაწილი; 2) თუ მან არ წარმოადგინა ყველა მტკიცებულება ან მათი ნაწილი; 3) თუ მოსარჩელემ არ მიუთითა მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები ან მათი ნაწილი.

აღსანიშნავია, რომ მხარეთა მიერ წარდგენილი მოთხოვნებისა და მოხსენებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება მხოლოდ მოსამართლის პრეროგატივაა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობების შესრულებასთან ერთად, მხარეებმა მოსამართლეს უნდა მოახსენონ საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებზეც მხარე თავის მოთხოვნას ამყარებს და მოთხოვნის შინაარსი. მიზანშეწონილია, მაგრამ არაა აუცილებელი, თუ მხარეები მოთხოვნის იმ სამართლებრივ საფუძველზეც – ნორმაზე მიუთითებენ, რომელსაც მათი მოთხოვნა ან შესაგებელი ემყარება, თუმცა ეს არც აუცილებელია და არც შემზღუდავი სასამართლოსათვის.<sup>80</sup> შესაბამისად, მხარეებს ევალებათ ფაქტობრივი გარემოებების მითითება, თუმცა, თუ მათ რაიმე ნაწილი გამორჩათ, ამის დაზუსტება შეუძლია სასამართლოსაც შეკითხვების მიცემის გზით. ერთ-ერთ დავაში, მოსარჩელეს დავის საგნის არსის მოკლე მიმოხილვის გრაფაში სრულყოფილად ჰქონდა ასახული, რომ იგი ვერ სარგებლობდა ავტომანქანით 4 თვე, რის გამოც ზიანმა 5000 ლარი შეადგინა. იგივე გარემოება მოსარჩელეს არ მიუთითებია ფაქტობრივი გარემოებების გრაფაში. პალატის განმარტებით, სასამართლოსათვის მიმართვის კონსტიტუციური უფლების დაცვის მიზნებიდან გამომდინარე, ის ფაქტი, რომ მოსარჩელე არ უთითებს ფაქტობრივ გარემოებებს სრულყოფილად სარჩელის ფაქტობრივი გარემოებების გრაფაში, არ შეიძლება გახდეს სარჩელის მიღებაზე უარის თქმის უპირობო საფუძველი.<sup>81</sup>

რაც შეეხება მტკიცებულებებს, მოსარჩელე სარჩელის ფორმის შესაბამის გრაფაში ასახავს საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც საფუძვლად დაედო სასარჩელო მოთხოვნას, ასევე, მიუთითებს მტკიცებულებებზე,

<sup>79</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 15 თებერვლის განჩინება საქმეზე №28/5970-15. ასევე, სსსკ-ის შემდეგი მუხლები: 177-ე (სარჩელის აღძვრა), 178-ე (სარჩელის შინაარსი), 183-ე (სარჩელის რეგისტრაცია), 186-ე (სარჩელის მიღებაზე უარის თქმა).

<sup>80</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 18 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-833-885-2011.

<sup>81</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 31 დეკემბრის განჩინება საქმეზე №28/5905-13.

რომლებიც, მოსარჩელის შეფასებით, ადასტურებენ სარჩელში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს. თუ სარჩელში მითითებულ გარემოებას შესაბამისი მტკიცებულება ვერ ადასტურებს, ეს შეიძლება გახდეს არა სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, არამედ სარჩელზე უარის თქმის საფუძველი, რის შესახებაც სასამართლოს დასკვნა გამოაქვს საქმის არსებითი განხილვის შედეგად.<sup>82</sup> მაგალითად, თუ მოსარჩელე მის მიერ მითითებული რომელიმე ფაქტობრივი გარემოების დასადასტურებლად უთითებს მხოლოდ თავის ახსნა-განმარტებას, ეს არ ითვლება სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველად, რადგან ახსნა-განმარტებაც მტკიცებულებაა, თუმცა საკმარისია თუ არა ამ ფაქტის დასადასტურებლად, ეს საკითხი სარჩელის დასაშვებობის ეტაპზე არ უნდა გადაწყდეს.<sup>83</sup>

სარჩელის დასაშვებობის ეტაპზე სასამართლო არ მსჯელობს მტკიცებულებათა საკმარისობის საკითხზე, არ აფასებს მტკიცებულებებს და არ ადგენს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სადავო გარემოებებს. საპროცესო კანონმდებლობა მოსარჩელეს ანიჭებს უფლებას, საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების დამთავრებამდე შეცვალოს სარჩელის საფუძველი ან საგანი, შეავსოს სარჩელში მითითებული გარემოებები და მტკიცებულებები, გაადიდოს ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა, რის შესახებაც სასამართლომ უნდა აცნობოს მოპასუხეს (სსსკ 83-ე მუხლი).<sup>84</sup> მართალია, საქმის მომზადების ეტაპზე მხარე უფლებამოსილია შეცვალოს სარჩელის საფუძველი ან საგანი, წარადგინოს ფაქტობრივი გარემოებების სრული ჩამონათვალი მტკიცებულებების მითითებით, თუმცა, აღნიშნული უფლება არ ათავისუფლებს მოსარჩელეს იმთავითვე სრულყოფილი სარჩელის წარმოდგენის ვალდებულებისაგან. აღნიშნულთან მიმართებით მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ სარჩელი კანონის შესაბამისად იმ ფორმით და შინაარსით უნდა იყოს წარმოდგენილი, რომ საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელი იყოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 229-242-ე მუხლებით გათვალისწინებული საპროცესო ინსტიტუტის, დაუსწრებელი გადაწყვეტილების, გამოყენება, მითუმეტეს, მას შემდეგ რაც საპროცესო კანონმდებლობით დაშვებულ იქნა საქმის

<sup>82</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №28/104 -15.

<sup>83</sup> იხ. სამოქალაქო სამართალწარმოების აქტუალური საკითხები, პრაქტიკული სახელმძღვანელო, თბილისი, 2012, 17.

<sup>84</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 12 დეკემბრის განჩინება საქმეზე №28/5327-16.

მომზადების ეტაპზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა.<sup>85</sup>

მაგალითისთვის, ერთ-ერთ დავაში, პირველი ინსტანციის სასამართლომ ბუნდოვნად მიიჩნია მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნა პირგასამტეხლოს სახით - 2356 ლარის გაანგარიშებაზე და აღნიშნული საფუძვლით მოსარჩელეს უარი უთხრა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სასამართლო გასცდა სარჩელის დასაშვებობის შემოწმების ფარგლებს და იმსჯელა ისეთ ფაქტობრივ გარემოებებზე, რაც უნდა დადგინდეს და შეფასდეს დავის არსებითი განხილვის შედეგად დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპთა დაცვით. რაც შეეხება სასარჩელო მოთხოვნის იურიდიულ მართებულებას, იგი უნდა დადგინდეს სასამართლო განხილვის ეტაპზე და არა სარჩელის წარმოებაში მიღების ეტაპზე.<sup>86</sup>

სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციით, თბილისის საქალაქო სასამართლოში 2016 წელს 9 099 სამოქალაქო და 802 ადმინისტრაციულ საქმეს ეთქვა მიღებაზე უარი, 2017 წელს - 7272 სამოქალაქო და 739 ადმინისტრაციულ დავას, ხოლო 2018 წელს - 6811 სამოქალაქო და 591 ადმინისტრაციულ დავას.<sup>87</sup> როგორც ვხედავთ, წარმოებაში მიღებაზე უარი არის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული შედეგი. ამ შედეგის თავიდან აცილების მიზნით, სასამართლო უნდა ეცადოს, რომ ხელი შეუწყოს არაჯანსაღი სარჩელებით მიმართვის პრევენციის აღმოფხვრას.

---

<sup>85</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 31 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №28/4025-13.

<sup>86</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 12 დეკემბრის განჩინება საქმეზე №28/5327-16.

<sup>87</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 24 მაისის წერილი N2-04103/3007324.

## თავი IV

### სასამართლოს როლი საქმეზე ფაქტობრივი გარემოებების დადგენისას

#### 4.1. ფაქტების მითითების ტვირთი

მტკიცების საგანს, როგორც წესი, მხოლოდ მხარეების მიერ მოხსენებული ფაქტები შეადგენს (გამონაკლისს წარმოადგენს სსკ-ის 106-ე მუხლი, რომელიც უშუალოდ შეეხება ფაქტებს, რომლებიც მტკიცებას არ საჭიროებენ. სასამართლო უფლებამოსილია ამ გზით დადგენილი გარემოებები საფუძვლად დაუდოს გადაწყვეტილებას). სასამართლომ მხარეებს უნდა მისცეს შესაძლებლობა გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები. როგორც წესი, მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები ისეთ კავშირში უნდა იყოს დასადგენ გარემოებასთან, რომ შეიძლებოდეს მისი არსებობა-არარსებობის შესახებ უტყუარი დასკვნის გაკეთება.<sup>88</sup> მხარეთა სიმრავლე, მტკიცებულებათა აღმოჩენის სტანდარტები, გამოსაყენებელი სამართლის შერჩევის სირთულე, კომბინაციურად მოქმედებს მოსამართლის დარწმუნებაში, რომ დავა, რომელიც უნდა იქნეს განხილული, სამართლებრივად მნიშვნელოვან დეტალებს შეიცავს.<sup>89</sup> იმ შემთხვევაში, თუ მხარეები განსაზღვრავენ სამართლებრივი დავის ფაქტობრივ შინაარსს, საქმის მასალების წარმოდგენის უფლებასთან ერთად, მხარეებს დაეკისრებათ მოვალეობაც, რომ გამოთქვან საკუთარი აზრი საქმისათვის მნიშვნელოვან ყველა ფაქტობრივ საკითხზე. აღნიშნული გულისხმობს მხარეთა მიერ *ფაქტების მითითების ტვირთს*. ამასთან, არც ერთი მხარე არ არის ვალდებული აუცილებლად გამოხატოს თავისი მოსაზრება და არც სასამართლოს აქვს უფლება აიძულოს იგი. ამგვარი ქმედება წინააღმდეგობაში მოვა შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპებთან, რომელთა შესაბამისად, თითოეულ მხარეს აქვს უფლება უარი განაცხადოს ახსნა-განმარტების მიცემაზე, ცნოს მოწინააღმდეგე მხარის მოთხოვნა და სხვა.

ამდენად, ფაქტების მითითების ტვირთი სამოქალაქო პროცესში გულისხმობს, რომ თუ მხარეს სურს საკუთარი უფლებების დაცვა, მას ენიჭება უფლებამოსილება გამოხატოს მოსაზრება კონკრეტულ ფაქტთან დაკავშირებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი იძულება დაუშვებელია, თუმცა, პროცესუალური თვალსაზრისით, ის წამგებიან მდგომარეობაში

<sup>88</sup> გაგუა ი., მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2013, 82.

<sup>89</sup> *Steinberg J. K.*, Adversary Breakdown and Judicial Role Confusion In “Small Case” Civil Justice, GWU Law School Public Law Research Paper No. 2016-13, 2016, 912.

აღმოჩნდება. აღნიშნულ მოვალეობებს, რომელთა შესრულებაც იძულებით არ ხდება, ანუ სავალდებულო არ არის, მაგრამ მათი გამოუყენებლობა ხშირად პირს არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს, ეწოდება ფაკულტატური მოვალეობები.<sup>90</sup> სწორედ ამ ფაკულტატურ მოვალეობებს განეკუთვნება მითითების ტვირთი.<sup>91</sup>

თუ მხარეების მოხსენება არ აკმაყოფილებს ფაკულტატური მოვალეობისათვის დადგენილ მოთხოვნებს, ჩაითვლება, რომ მოხსენება არ არის დეტალურად ჩამოყალიბებული, არ წარმოადგენს მოწინააღმდეგე მხარის მიერ მოხსენებული ფაქტობრივი გარემოების ნამდვილ უარყოფას და სასამართლო მას არ გაითვალისწინებს.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ რაც უფრო მეტად იქნება მხარეებისგან ახსნა-განმარტება მოთხოვნილი, მით უფრო ნაკლები სადავო საკითხი აისახება საქმეში. სასამართლო უფლებამოსილია მხარეებს მოსთხოვოს, რომ მოახსენონ მათთვის ცნობილი ყველა გარემოების შესახებ და საჭიროებისას წარადგინონ შესაბამისი ცნობებიც. თუ საქმის ფაქტობრივი გარემოებები საკმარისად არ არის შეგროვებული, ეს ხარვეზი მტკიცებულებათა გამოთხოვის საშუალების გამოყენებით ვეღარ გამოსწორდება. შესაბამისად, საქმის ფაქტობრივი გარემოებები ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მხარეებმა უნდა გადმოსცენ და შემდგომ მტკიცებულების საშუალებით დაადასტურონ. მაგალითად, მოწმის ჩვენება, ან სხვა სახის მტკიცებულებები, რომელთათვისაც მხარეებს კონკრეტული მტკიცების საგანი არ დაუსახელებიათ, წარმოადგენს სამძებრო (ინკვიზიციურ) მტკიცებულებას, რადგანაც მხოლოდ მოწმემ დაასახელა პირველად ფაქტები და ამ ფაქტების მტკიცება ამის შემდეგ გახდა შესაძლებელი, აღნიშნული კი მხარეებს თვითონ უნდა გაეკეთებინათ. ამ პრინციპიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მხარეთა გაურკვეველ მტკიცებებზე მტკიცებულებები არ უნდა შეგროვდეს.<sup>92</sup>

დასკვნის სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასამართლოს არ აქვს უფლება თვითონ დაიწყოს იმ ფაქტობრივი გარემოებების დადგენა, რომლებსაც მოთხოვნა, ან მოწინააღმდეგე მხარის უფლებები ემყარებიან. აღნიშნული ეწინააღმდეგება სსკ-ის მე-4 მუხლს, რომლითაც განსაზღვრულია შეჯიბრებითობის პრინციპი.

---

<sup>90</sup> გერმანულად *Obligenheiten*.

<sup>91</sup> ბოელინგი ჰ., სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების მიღების მეთოდოლოგია, მოსამართლეთა სემინარი, სასტუმრო „თბილისი“, ბაკურიანი, 5-8 ივლისი, 2007, 99.

<sup>92</sup> იქვე, 100.

## 4.2. საქმეში წარმოდგენილი განსხვავებული ფაქტობრივი გარემოებების შეფასება

მხარეები საქმის ფაქტობრივი გარემოებების მოხსენებით მოსამართლეს წინასწარ ბოჭავენ, თუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე უნდა იქნეს გადაწყვეტილება გამოტანილი. თუმცა, წარდგენილი საქმის მასალები ხშირად არ არის ნათლად ჩამოყალიბებული და უდავო. ისინი, როგორც წესი, რამდენიმე ურთიერთგამომრიცხავ ფაქტობრივ ვერსიებს მოიცავს. განსაკუთრებით რთულდება საქმე, თუ აღნიშნული გარემოებები მხარეთა მიერ ლოგიკური თანმიმდევრობით არ არის მოხსენებული. შეჯიბრებითობის პრინციპის გათვალისწინებით, სამართლებრივი დავის მიმდინარეობისას მხარეები ზოგჯერ ცვლიან მიცემულ ახსნა-განმარტებას, ახდენენ საკუთარი მოხსენების მოდიფიკაციას, ასწორებენ მათ. ამ დროს, მოსამართლეს უწევს წინააღმდეგობრივი, უწესრიგოდ შეგროვებული, განსხვავებული შინაარსის მქონე დოკუმენტების შესწავლა. საინტერესოა, როგორ უნდა გამოარკვიოს მოსამართლემ ორივე მხარის მიერ მოხსენებული წინააღმდეგობრივი საქმის გარემოებები, რაზეც მან გადაწყვეტილება უნდა გამოიტანოს?

იმისათვის, რომ განსხვავებული სამართლებრივი შეფასებისას მოსამართლეს მხედველობიდან არ გამორჩეს საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები, საჭიროა მხარემ ვრცელი მოხსენება გააკეთოს. მოსამართლეს ევალება განსაზღვროს საქმის უდავო ფაქტობრივი გარემოებები, ანუ დაადგინოს, თუ რომელ გარემოებაზე მიუთითებს ორივე მხარე და სადავო ფაქტობრივი გარემოებები, ანუ განსაზღვროს რომელ მათგანზე წარმოიშობა მხარეთა შორის დავა. ამასთან, განსაკუთრებით რთული საქმეების დროს, მოსამართლეები ხშირად მიმართავენ მხარეთა ერთიანი მოხსენების დაყოფისა და მისთვის სტრუქტურული სახის მიცემის ხერხს. ამ სახით განხორციელებული ჩანიშვნები სამუშაო პროცესს მნიშვნელოვნად ამარტივებს და უზრუნველყოფს საქმისათვის მნიშვნელოვანი ყველა გარემოების დადგენას. პრაქტიკის გათვალისწინებით, შესაძლოა წარმოიშვას პრობლემები იმ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლებიც მხარეებს და მოსამართლეს მხედველობიდან გამორჩათ. სწორედ ამიტომ, ისინი ზედმიწევნით უნდა იყოს შესწავლილი.<sup>93</sup>

ქართული სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით, მოსამართლეები ინიშნავენ მხარეთა მიერ წარსადგენ მტკიცებულებებს და საბოლოოდ, სამართლებრივ შეფასებას აძლევენ მათ. პროცესუალური თვალსაზრისით, მასალის შეგროვებისას ყურადღება ექცევა ზეპირი განხილვის ერთიანობის

<sup>93</sup> ბოელინგი ჰ., სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების მიღების მეთოდოლოგია, მოსამართლეთა სემინარი, სასტუმრო „თბილისი“, ბაკურიანი, 5-8 ივლისი, 2007, 87.

პრინციპს, რაც გულისხმობს, რომ მოსამართლეს ერთიანად გამოაქვს გადაწყვეტილება და ითვლება, რომ საქმის მომზადებისას წარდგენილი დოკუმენტები მოხსენიებულია საქმის ზეპირი განხილვის დროსაც.

სამოქალაქო საქმეების განმხილველ მოსამართლეს დავის სწორად გადაწყვეტა მხოლოდ მაშინ შეუძლია, თუ ის სპეციფიურ პროფესიულ თვისებებთან ერთად, ფლობს მოსამართლის სამუშაო მეთოდებს. ამ მეთოდების ერთობლიობა რელაციის ტექნიკას წარმოადგენს. იგი გულისხმობს მხარეთა მიერ წარმოდგენილი საქმის ფაქტობრივი გარემოებების სისტემატურ დალაგებას და მოწესრიგებას, მათ შემცირებასა და მხოლოდ იმ ფაქტობრივ საკითხებამდე დაყვანას, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ გადაწყვეტილების გამოტანისათვის. რელაციის ტექნიკა არ არის მოწესრიგებული კანონით. მისი ცნება გამომდინარეობს სამოქალაქო საპროცესო-სამართლებრივი ნორმების, კანონის სისტემიდან და მისი ძირითადი პრონციპებიდან. მათ მიეკუთვნება დისპოზიციურობის, შეჯიბრებითობისა და პროცესის ეკონომიის პრონციპები. სსკ-ის 104-ე მუხლით მოწესრიგებულია რელაციის ტექნიკის ელემენტარული პრინციპი - პროცესის ეკონომია, რაც გულისხმობს, რომ მტკიცებულებები უნდა შეგროვდეს მხოლოდ იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებზედაც დამოკიდებულია საქმის გადაწყვეტა.<sup>94</sup> გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს სასამართლო სისტემა ორიენტირებულია მოსამართლის მაღალ კვალიფიციურობასა და კომპეტენტურობაზე,<sup>95</sup> რელაციის მეთოდის სტადიებისა<sup>96</sup> და ტექნიკის გამოყენება მოსამართლეს სამართლებრივი დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი საკითხების ზედმიწევნით დამუშავების, ამ საკითხებზე კონცენტრაციის, მტკიცების ტვირთის გათვალისწინებით საკითხების გამოკვლევის და პროცესის ყველაზე სწრაფად და სწორად დამთავრების შესაძლებლობას აძლევს. აღნიშნული მეთოდი ეხმარება მოსამართლეს მხარეთა სადავო ჩვენებებისა, ახსნა-განმარტებების დამუშავებასა და დახარისხებაში, ხოლო სამუშაო პროცესს მეტად სტრუქტურირებულს და სისტემურს ხდის. ამგვარი მიდგომა კი მნიშვნელოვანია, რათა მოსამართლეს მხედველობიდან არ გამოორჩეს არცერთი დეტალი.

<sup>94</sup> ბოელინგი ჰ., სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების მიღების მეთოდოლოგია, მოსამართლეთა სემინარი, სასტუმრო „თბილისი“, ბაკურიანი, 5-8 ივლისი, 2007, 84.

<sup>95</sup> ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, I ნაწილი, თბილისი, 2014, 14.

<sup>96</sup> შმიტი შ., რიპტერი ჰ., მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 2013, 8.

## თავი V

### მტკიცებულებათა გამოთხოვა და შეფასება

#### 5.1. მოსამართლეთა დისკრეციული უფლებამოსილება გამოითხოვოს მტკიცებულება საკუთარი ინიციატივით

კანონმდებელი შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს საჭიროებისამებრ მიუთითოს და დაავალოს მხარეებს, წარადგინონ მტკიცებულებანი ფაქტობრივი გარემოებების სწორად დადგენის მიზნით. თუმცა, სსსკ-ის 103-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ მხარეებმა ამა თუ იმ მიზეზით ვერ შეძლეს მტკიცებულებების უშუალოდ მიღება და სასამართლოში წარდგენა, მხარეთა შუამდგომლობით სასამართლოს შეუძლია თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, ვისთანაც უნდა იყოს ისინი.

სასამართლოს როლი სამოქალაქო საპროცესო სამართალწარმოებაში მიმართულია საქმის ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად მხარეთა დახმარებაში, რომ მოიპოვონ მტკიცებულებები და სასამართლოში წარადგინონ. თუ მოსამართლე არ მიიღებს ყველა ზომას მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების დასადგენად, ზემდგომი ინსტანციის სასამართლო გააუქმებს გადაწყვეტილებას. საპროცესო კანონმდებლობით მკაცრად რეგლამენტირებულია, რომ საკუთარი ინიციატივით მტკიცებულებათა გამოთხოვის დროს, სასამართლო მოქმედებს დისპოზიციურობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპებით, ე.წ. „ოქროს შუალებში“ სასამართლოს პასიურ როლსა და მხარეთა აქტიურ როლს შორის.<sup>97</sup>

ერთ-ერთ საქმეში, სააკელაციო სასამართლომ გააუქმა საოქმო განჩინება მტკიცებულებათა გამოთხოვაზე უარის თქმის შესახებ, იმ საფუძველზე მითითებით, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ დაიჭირა პასიური პოზიცია, კერძოდ, მხარეს იმ მიზეზით უთხრა უარი მტკიცებულებათა გამოთხოვაზე, რომ მან ვერ დაადასტურა მათი მოპოვების შეუძლებლობა. პალატამ განმარტა, რომ სამართალწარმოება იმყოფებოდა საქმის მომზადების სტადიაზე, რა დროსაც სასამართლომ თავად უნდა შეუწყოს ხელი მხარეებს, წარადგინონ მტკიცებულებანი სადავო გარემოებების სწორად დადგენის მიზნით. უფრო მეტიც, კანონმდებლობით სასამართლოს თავად შეუძლია დაავალოს მხარეებს შეავსონ მნიშვნელოვანი დოკუმენტები. მოცემულ შემთხვევაში კი, სასამართლომ უგულვებლყო საკუთარი ინიციატივა. პალატამ ასევე მიუთითა, რომ როდესაც მხარე 2006 წლის 04 მარტიდან 2007

<sup>97</sup> გაგუა ი., მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2013, 46.

წლის 14 თებერვლამდე საკუთარი ძალებით ცდილობს მტკიცებულებების მოპოვებას არაერთი შუამდგომლობისა და სხვადასხვა ორგანოსთვის მიმართვის გზით და ვერ იღებს, დგება ნეგატიური ფაქტის მტკიცების წინაშე. მან უნდა ამტკიცოს, რომ არ გადასცეს დოკუმენტაცია, რაც ეწინააღმდეგება მტკიცების ტვირთის სამართლიანი განაწილების პრინციპს. ასეთ შემთხვევაში, მხარეს უმსუბუქდება მტკიცების ტვირთი და მოპასუხეა ვალდებული დაადასტუროს მოვლენათა სხვაგვარი განვითარების შესაძლებლობა.<sup>98</sup> შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლოს თუნდაც შეკითხვების გზით უნდა გამოერკვია თუ რატომ არ მოიპოვებოდა საქმეში ის მტკიცებულებები რასაც მხარეები არაერთხელ იხსენიებდნენ და უნდა მიეცა მხარისათვის შესაძლებლობა სასამართლოს მეშვეობით გამოეთხოვა მტკიცებულებები.

რაც შეეხება წარდგენილი მტკიცებულებების შეფასებას, სასამართლო მოქმედებს გერმანული საპროცესო კანონმდებლობის მსგავსად, სადაც დომინირებს მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასების პრინციპი.<sup>99</sup> ამ პრინციპის თანახმად, სასამართლო დამოუკიდებელია მხარეთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების უტყუარობის შეფასებაში. მტკიცებულებებს მოსამართლე აფასებს შინაგანი რწმენით, მათი შეფასებისას კი მხედველობაში მიიღება ზოგადად, მთელი სამართალწარმოების განხორციელების შედეგი. აღნიშნული პრინციპი მოქმედებს საქართველოშიც და განმტკიცებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლში. საქართველოს უზენაესი სასამართლო ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში მიუთითებს, რომ „მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასების პრინციპიდან გამომდინარე, სასამართლოს შეუძლია, ცალკეული მტკიცებულებები არასარწმუნოდ მიიჩნიოს და არ გაიზიაროს, მაგრამ ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილებაში აუცილებლად უნდა აისახოს სასამართლო რა მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249.4 მუხლი).“<sup>100</sup>

<sup>98</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 09 ივნისის განჩინება №28/550-14.

<sup>99</sup> ZPO, §286, Гражданское Процессуальное Уложение Германии, перевод с немецкого, М, 2006, 95, 96. ნაშრომიდან: გაგუა ი., მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2013, 46.

<sup>100</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 10 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-1651-1548-2012.

## 5.2. მხარეთა შუამდგომლობის გარეშე მტკიცებულებათა შეგროვება, როგორც სასამართლოს აცილების საფუძველი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლი განსაზღვრავს, თუ რა საფუძვლების არსებობისას არის შესაძლებელი მოსამართლის (სასამართლოს) აცილება. საინტერესოა, მხარეთა შუამდგომლობის გარეშე მტკიცებულებათა შეგროვება ითვლება თუ არა მოსამართლის აცილების საფუძვლად. მაგალითისთვის, სსსკ-ის 350-ე მუხლის მე-3 ნაწილი პირდაპირ მიუთითებს, რომ შვილად აყვანის საქმეზე სასამართლოს შეუძლია, განმცხადებლის თხოვნით ან თავისი ინიციატივით გამოითხოვოს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებები. მოცემული დანაწესი არის კანონით პირდაპირ გათვალისწინებული ერთ-ერთი შემთხვევა,<sup>101</sup> რომელიც რასაკვირველია, ვერ იქნება აცილების საფუძველი. თუმცა, სხვა შემთხვევებში, როდესაც კოდექსში არ გვაქვს მსგავსი ჩანაწერი, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს სსსკ-ის 31-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საფუძველს („პირადად, პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია საქმის შედეგით, ან თუ არის სხვა ისეთი გარემოება, რომელიც ექვს იწვევს მის მიუკერძოებლობაში“).

გერმანიის მსგავსად, პროცესის გაჭიანურების თავიდან აცილების მიზნით, საქართველოში სასამართლოს მინიჭებული აქვს უფლება წაიყვანოს საქმისწარმოება. აღნიშნული გულისხმობს, რომ სასამართლო არსებით გავლენას ახდენს როგორც საქმის მიმდინარეობაზე, ასევე, მის შედეგზე.<sup>102</sup> მხარეები ვალდებულნი არიან დაარწმუნონ მოსამართლე მტკიცებულებათა გამოთხოვის შესახებ, თუმცა, თუ სასამართლო ჩათვლის, რომ გარკვეულ მტკიცებულებებს არსებითი მნიშვნელობა აქვთ საქმისათვის და მხარეებს არ წარმოუდგენიათ, მას შეუძლია თავადაც გამოითხოვოს ისინი და ეს ვერ ჩაითვლება მისი მიკერძოებულობის მოტივით აცილების საფუძვლად. იგივე შინაარსს შეიცავს საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 254-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით გადაწყვიტოს მტკიცებულებების წარმოდგენის საკითხი, თუ მათ საქმის

<sup>101</sup> იხ. ასევე, სსსკ-ის 120-ე (სასამართლოს ინიციატივით ნივთიერი და წერილობითი მტკიცებულებების ადგილზე დათვალიერება და გამოკვლევა), 149-ე (თავისი ინიციატივით მოწმის მეორედ დაკითხვის შესაძლებლობა), 158-ე (ექსპერტიზის დანიშვნა ნივთიერ მტკიცებულებათა გამოკვლევის მიზნით), 162-ე (ექსპერტიზის დანიშვნა თავისი ინიციატივით), 173-ე (დამატებითი ექსპერტიზის დანიშვნა).

<sup>102</sup> მერებაშვილი ი., სასამართლოში სამოქალაქო საქმეთა განხილვისას მხარეთა შეჯიბრებითობისა და მოსამართლეთა აქტიურობის პრინციპების მოქმედება, მართლმსაჯულება და კანონი, N4(23)'09, 21.

განხილვისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვთ.<sup>103</sup> ამასთან, გერმანული კანონმდებლობა იცნობს ე. წ. „მტკიცების ტვირთის შეზღუდვას“, რომელიც გულისხმობს სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა შეგროვების შესაძლებლობას მხარეთა შუამდგომლობის გარეშე.<sup>104</sup> როგორც ვხედავთ, გადაწყვეტია ის, თუ რა მიზნით გამოითხოვს სასამართლო მტკიცებულებებს საკუთარი ინიციატივით. თუ მიზანი საქმის სწორად გადაწყვეტა და არა რომელიმე მხარის დახმარებაა, აცილების საფუძველი არ არსებობს.

### 5.3. სასამართლოს უარი მტკიცებულებების გამოთხოვის თაობაზე წარდგენილ შუამდგომლობაზე

კანონი განსაზღვრული ფაქტების დამტკიცებას მხოლოდ მტკიცებულების განსაზღვრული სახის გამოყენებით უშვებს. მოსამართლემ უნდა განიხილოს ყველა მტკიცებულება, თუ ეს აუცილებელია გადაწყვეტილების მისაღებად. მას შეუძლია უარი თქვას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მტკიცებულება არ არის დასაშვები, არ არის არსებითი ან თუ იგი ზედმეტია.<sup>105</sup>

სსკ-ის 103-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული აკრძალული მტკიცებულებები არ შეიძლება იქნეს მიღებული. მაგალითად, დაუშვებელია სატელეფონო საუბრების მოსმენა, მოპარული წერილის ან მუქარით მიღებული მოწმის ჩვენების მტკიცებულებად გამოყენება. სსკ-ის 106-ე მუხლის შესაბამისად, შესაძლებელია არ იქნეს მიღებული მტკიცებულებები, რომლებიც სასამართლოსათვის უკვე ცნობილია, ან ძალაში შესული გადაწყვეტილებით დამტკიცებულია.

თუ მოსამართლეს სადავო ფაქტობრივ გარემოებასთან დაკავშირებით რწმენა საკმარისად ჩამოუყალიბდა, მაგალითად მოწმის ჩვენების შედეგად, მაშინ იგივე ფაქტის დასამტკიცებლად სხვა მოწმის მოწვევის შესახებ შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს. განსაკუთრებული ყურადღება

<sup>103</sup> საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 254, Code de procédure civile/Legifrance,

<<https://www.legifrance.gouv.fr/affichCode.do?cidTexte=LEGITEXT000006070716>>

<sup>104</sup> О.Н. Здрок, Гражданский процесс зарубежных стран, М., 2005, стр. 120, ნაშრომიდან: მერებაშვილი ი., სასამართლოში სამოქალაქო საქმეთა განხილვისას მხარეთა შეჯიბრებითობისა და მოსამართლეთა აქტიურობის პრინციპების მოქმედება, მართლმსაჯულება და კანონი, N4(23)'09, 22.

<sup>105</sup> ჰერმანი თ., მტკიცებულებითი სამართალი (კონსპექტი), ეთერ ჩაჩანიძის თარგმანი, GIZ, თბილისი, 2016, 13.

უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ უარი დაუშვებელია მტკიცებულების გამოთხოვის შესახებ მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობაზე. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოსამართლე დარწმუნდა მოწმის ჩვენების სისწორეში, მას მაინც არ აქვს უფლება ამ მოტივით უარი თქვას იმ მოწმეთა დაკითხვაზე, რომლებიც საპირისპირო ვერსიას მოახსენებენ. პრაქტიკის მიხედვით, შესაძლოა ერთმნიშვნელოვანი მტკიცებულებები მოწინააღმდეგე მხარის მიერ სხვა მტკიცებულებების წარმოდგენამ შეცვალოს და გავლენა მოახდინოს შედეგზეც. შესაბამისად, მოსამართლეს ევალება მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობა ასეთ შემთხვევაში, ყოველ ჯერზე დააკმაყოფილოს, რათა არ დაირღვეს მხარეთა უფლებები.<sup>106</sup>

---

<sup>106</sup> იქვე, 14.

## თავი VI

### შეჯიბრებითობის პრინციპიდან კანონმდებლობით

#### გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევა

#### 6.1. სასამართლოს აქტიურობის ფარგლები საოჯახო-სამართლებრივი დავების განხილვისას

საოჯახო საქმეთა განხილვის ინსტიტუტი განსხვავდება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართლით რეგულირებული უფლების დაცვის სხვა სასარჩელო ფორმებისაგან. საოჯახო-სამართლებრივი დავები განსაკუთრებული სენსიტიურობით ხასიათდება. ამ ტიპის დავების განხილვისას მოსამართლეები ყველა გზას მიმართავენ ობიექტური, სწორი და სამართლიანი გადაწყვეტილების მისაღებად. მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ბავშვის ინტერესს და მის უფლებას - მოუსმინონ მასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას. ინკვიზიციური სამართალწარმოების ნიშნები სწორედ ამ სახის დავებში იჩენს თავს აქტიურად, რადგან მოსამართლე ყველა გზას მიმართავს ბავშვისა და ოჯახის სასიკეთო გადაწყვეტილების მისაღებად. საოჯახო საქმეების განხილვის დროს, გაცილებით უფრო ფართოდ, ვიდრე სხვა კატეგორიის საქმეთა განხილვისას, გამოიყენება სამძებრო პრინციპი. სასამართლოს, რომელიც იხილავს საოჯახოსამართლებრივ დავას, მინიჭებული აქვს უფლება, თავისი ინიციატივით განახორციელოს ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს საქმის სწორად გადაწყვეტას, კერძოდ:

სასამართლო უფლებამოსილია თავად განსაზღვროს მტკიცების საგანი, ანუ დასადგენ გარემოებათა წრე; სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზეც მართალია მხარეებს არ მიუთითებიათ, მაგრამ მათ მნიშვნელობა აქვთ კონკრეტული ფაქტების დასადგენად.<sup>107</sup>

როგორც ვხედავთ, სასამართლოს მინიჭებული აქვს უფლება სსსკ-ის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილისა და 354-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, არ დასჯერდეს მხოლოდ მხარეთა მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს, თავისი ინიციატივით განსაზღვროს მტკიცების საგანი, ანუ იმ გარემოებათა წრე, რომელთა დადგენის გარეშე შეუძლებელია დავის სწორად გადაწყვეტა და თავად გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომელზეც მხარეებს არ მიუთითებიათ. შესაბამისად, 354-ე მუხლი სპეციალური ნორმაა და მას

<sup>107</sup> ბასილაია ფ., საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურებანი და დაუსწრებელი გადაწყვეტილება, მართლმსაჯულება და კანონი, N4(23)'09, 31.

უპირატესობა ენიჭება 103-ე მუხლით გათვალისწინებულ ზოგად ნორმასთან მიმართებით.

მაგალითისთვის, ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, განქორწინებისა და ალიმენტის გადახდევინების საქმეებზე, სასამართლომ თავისი ინიციატივით უნდა გამოარკვიოს მონაწილეობს თუ არა მოპასუხე შვილების რჩენაში. თუ მოპასუხე არ ასრულებს ამ ვალდებულებას, 355-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს შეუძლია მიიღოს დროებითი განკარგულება.

საინტერესოა, საოჯახო-სამართლებრივი დავები დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თვალსაზრისითაც. ზოგადი წესის თანახმად, სასამართლო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას არ აფასებს არც საქმეში არსებულ მტკიცებულებებს და არც საქმეს ფაქტობრივი თვალსაზრისით. ფაქტობრივი გარემოებები დადგენილად მიიჩნევა მხარის გამოუცხადებლობის გამო. პროცესზე გამოუცხადებლობისას, ივარაუდება, რომ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე, ან მოპასუხემ ცნო სარჩელი და ამით დაკარგა თავდაცვის ინტერესი. საინტერესოა, რამდენად სწორია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა საოჯახო დავების განხილვისას და ხომ არ ეწინააღმდეგება ინკვიზიციურობის პრინციპის დებულებებს.

ილონა გაგუას თავის ნაშრომში<sup>108</sup> მითითებული აქვს, რომ საოჯახო დავებში მოსარჩელის გამოუცხადებლობა არ იძლევა სარჩელზე უარის თქმის ვარაუდის საფუძველს და მოპასუხის გამოუცხადებლობა არ წარმოადგენს სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების აღიარებას. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ სასამართლოს თავად ევალება გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზეც მხარეებს არ მიუთითებიათ. ამიტომ, სასამართლომ გამოუცხადებელი მხარის გარეშე უნდა განიხილოს საქმე, გამოითხოვოს მტკიცებულებები, გადადოს საქმის განხილვა და ყველა მტკიცებულების მოპოვების შემდეგ გამოიტანოს არსებითი გადაწყვეტილება და არა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთან, სასამართლომ მოპასუხე არ უნდა გააფრთხილოს პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობის შესაძლო შედეგებზე, იმის გათვალისწინებით, რომ დასადგენ გარემოებათა წრეს სასამართლო თავისი ინიციატივით განსაზღვრავს. აღსანიშნავია, რომ ავტორის ამგვარი მსჯელობა ეწინააღმდეგება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობასა და დამკვიდრებულ პრაქტიკას. კერძოდ, დაუსწრებელი გადაწყვეტილება სამოქალაქო დავის ნებისმიერ ინსტიტუტზე ვრცელდება,

---

<sup>108</sup> გაგუა ი., მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2013, 162. იხ. ასევე, ბასილაია ფ., საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურებანი და დაუსწრებელი გადაწყვეტილება, მართლმსაჯულება და კანონი, N4(23)'09, 33.

მათ შორის საოჯახო დავებზეც. ინკვიზიციურობის პრინციპის მოქმედებით დაუსწრებლის შეზღუდვა არასწორია, რადგან არსებობს დავის გარკვეული კატეგორია, რომლის განხილვისას დაუსწრებელი გადაწყვეტილებით საქმის დამთავრება არ უშლის ხელს საქმის სწორად გადაწყვეტას. ასეთია, მაგალითად სარჩელი, რომელიც მეუღლეთა თანასაკუთრებას ეხება. თუმცა, დავებში, სადაც ბავშვის ინტერესები იკვეთება (საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა, გვარის განსაზღვრა, მშობლის უფლების შეზღუდვა) შესაძლოა ვისაუბროთ, რომ დაუსწრებლის გამოტანა არასწორია, თუ არასრულწლოვნის უფლებაზე ნეგატიურ გავლენას ახდენს ის ფაქტი, რომ რომელიმე მშობელმა, როგორც მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა, საპროცესო ვალდებულება არ შეასრულა და სხდომაზე არ გამოცხადდა. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მამობის დადგენისა და ალიმენტის დაკისრების ერთ-ერთ დავაში, მხარის გამოუცხადებლობა სასამართლო პროცესზე მიიჩნია არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობად და მის მიმართ გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილება დატოვა ძალაში.<sup>109</sup> ასევე, სხვა საქმეზე, ძალაში დატოვა შესაგებლის წარუდგენლობის გამო გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილება იმ საფუძველზე მითითებით, რომ არ არსებობდა საპატიო მიზეზი.<sup>110</sup> როგორც პრაქტიკით ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ მოცემული ტიპის დავები გარკვეული თავისებურებით ხასიათდება, სასამართლო უშვებს დაუსწრებლის ინსტიტუტის გამოყენებას, თუ მხარემ გამოიჩინა დაუდევრობა და არასაპატიოდ არ შეასრულა სხდომაზე გამოცხადების საპროცესო ვალდებულება. თუმცა, ითვალისწინებს არასრულწლოვნის ინტერესებსაც.

ამდენად, საოჯახო საქმეებში შეჯიბრებითობის პრინციპის პარალელურად, სასამართლოს მინიჭებული აქვს პროცესის მატერიალური ხელმძღვანელობის უფლებამოსილება. ამ ტიპის დავებში, რასაკვირველია, მოქმედებს შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპები, თუმცა, მათ პარალელურად, ზომიერი ბალანსის დაცვით უნდა იქნას გამოყენებული სამმებრო, ანუ ინკვიზიციური პრინციპიც.<sup>111</sup>

<sup>109</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 22 ივლისის განჩინება საქმეზე №ას-86-82-2013.

<sup>110</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 9 მარტის განჩინება საქმეზე №ას-1243-1166-2015.

<sup>111</sup> გაგუა ი., მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2013, 159.

## 6.2. უცხოური პრაქტიკის ანალიზი და ტენდენციები საოჯახო დავებთან მიმართებით

6.2.1. საფრანგეთის რესპუბლიკის კოლმარის სააპელაციო სასამართლოს, კოლმარის დიდი ინსტანციის ტრიბუნალის მეორე საქალაქო პალატის, საოჯახო საქმეების მოსამართლის 2016 წლის 21 მარტის განაჩენის ანალიზი<sup>112</sup>

### ფაქტობრივი გარემოებები

დავის ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, მეუღლეებს 2008 წელს საფრანგეთში შეეძინათ შვილი, რომელიც მამამ 2009 წელს მიატოვა და მას შემდეგ ოჯახში არ დაბრუნებულა. ამ დროს მეუღლე იყო ორსულად მეორე შვილზე. ბავშვმა მამის შესახებ არაფერი იცის, მისი საცხოვრებელი სახლის მისამართი უცნობია, როგორც ჩანს, საქართველოში დაბრუნდა. მშობლები ქორწინებაში არ იმყოფებიან. დედა მიუთითებს, რომ საქმე ეხება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული მშობლისა და ბავშვის უფლებებს და ითხოვს მშობლის უფლებების ექსკლუზიურად მისთვის მინიჭებას, არასრულწლოვნის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრას და მამისათვის ბავშვის მოვლის ხარჯებში წვლილის შეტანის დავალდებულებას. მამა საფრანგეთის კანონმდებლობით დადგენილი წესით იქნა გამოძახებული სასამართლო პროცესზე, მაგრამ არ გამოცხადებულა და არც წარმომადგენელი აუყვანია. შესაბამისად, გადაწყვეტილება მიღებული იქნა მხოლოდ მოსარჩელის საბუთებზე დაყრდნობით. ამასთან, ბავშვის მცირე ასაკისა და არასაკმარისი შეგნების გამო მისი სასამართლოზე მოსმენა არ ჩაითვალა მიზანშეწონილად. საფრანგეთის რესპუბლიკის კოლმარის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 21 მარტის განაჩენით დახურულ სხდომაზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომლითაც დადგინდა, რომ მშობლის უფლებები მიენიჭა დედას, შვილის საცხოვრებელი ადგილი განისაზღვრა დედასთან, ხოლო მამას მიეცა უფლება მიხედოს ბავშვის მოვლასა და აღზრდას. ამასთან, ვერ განისაზღვრა ბავშვის მოვლის ხარჯებში მამის წვლილი, რადგან შეუძლებელი აღმოჩნდა მასთან დაკავშირება.

<sup>112</sup> Republique francaise, Cour D'appel de Colmar, Tribunal de grande instance de Colmar, Deuxieme Chambre Civile, Jugement du juge aux affaires familiales, 21 mars, 2016, №RG: 15/02299 №IIJ : 161771; მოცემული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა მოხდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 17 აპრილის განჩინებით, საქმე №ა-1014-შ-31-2019.

## მოტივები

- მშობლის უფლებების მიზანია დაიცვას ბავშვის ინტერესები. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის <sup>113</sup> 372-373-ე მუხლების გათვალისწინებით, მამა და დედა ერთად ფლობენ მშობლის უფლებებს. ის ფაქტი, რომ მშობლები გამორებულები არიან, ზეგავლენას არ ახდენს მშობლის უფლებების დაკისრების წესებზე. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან მამამ ბავშვის დაბადებიდან პირველი წლის განმავლობაში ცნო შვილი, მას ეკუთვნის მშობლის უფლებები.
- საფრანგეთის კანონმდებლობით (მუხლი 373) სასამართლოს შეუძლია მშობლის უფლებები მიანიჭოს ერთ-ერთ მშობელს, თუკი ეს ბავშვის ინტერესებშია. <sup>114</sup>

## კრიტიკული ანალიზი

- სასამართლომ დაკითხა მოწმეები, რომელთაც დაადასტურეს, რომ 2009 წლის შემდეგ მამა აღარ გამოჩენილა. ამასთან, ჩატარდა ძებნა სასამართლოზე გამოცხადების შეტყობინების ჩასაბარებლად, თუმცა შეუძლებელი აღმოჩნდა მამის ადგილსამყოფელის გამორკვევა, სავარაუდოდ იგი თავის ქვეყანაში დაბრუნდა. სასამართლომ ჩათვალა, რომ ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, საჭირო იყო დედას მარტო ეკისრა მშობლის უფლებები. აღსანიშნავია, რომ ინკვიზიციური სამართალწარმოების არსი საოჯახო დავებთან მიმართებით გულისხმობს, რომ მოსამართლემ თავისი ინიციატივით უნდა განახორციელოს ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს საქმის სწორად გადაწყვეტას. კერძოდ, სასამართლო უფლებამოსილია თავად განსაზღვროს მტკიცების საგანი და შეუძლია თავისი ინიციატივით გამოითხოვოს მტკიცებულებები. ამასთან, გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესებიც. განსახილველ დავაში, გარდა იმისა, რომ სასამართლომ არ მოუსმინა არასრულწლოვანს, ფაქტობრივად ბავშვს მამის მხრიდან დახმარებაზე უარი უთხრა. გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ

<sup>113</sup> French Civil Code, 372,

[http://www.napoleon-series.org/research/government/code/book1/c\\_title09.html](http://www.napoleon-series.org/research/government/code/book1/c_title09.html)

<sup>114</sup> შეად. საქართველოში, სამოქალაქო კოდექსის 1205-ე მუხლი ითვალისწინებს მშობლის უფლებებისა და მოვალეობების შეზღუდვას სასამართლოს გადაწყვეტილებით, ხოლო 1206-ე მუხლით განსაზღვრულია მშობლის უფლების ჩამორთმევა, თუ იგი სისტემატურად თავს არიდებს მისი მოვალეობების შესრულებას.

ვინაიდან არ არსებობდა მამის შემოსავალსა და ძირითად ხარჯებზე ინფორმაცია და მისი ადგილსამყოფელი უცნობი იყო, ბავშვის მოვლის ხარჯებში წვლილის განსაზღვრა ვერ მოხერხდა და ეს ვალდებულება მხოლოდ დედას დაეკისრა. აქ უკვე დგას საკითხი, თუ რამდენად ემსახურება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს მის მოვლაში მხოლოდ ერთი მშობლის მონაწილეობა. სასამართლოს ევალუბოდა თავისი ინიციატივით განეხორციელებინა გარკვეული ღონისძიებები, რომლითაც დადგინდებოდა მამის ადგილსამყოფელი და დაეკისრებოდა შვილის რჩენის მოვალეობა.

ბავშვის უფლებების საერთაშორისო კონვენციის მე-12 მუხლის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბების უნარის მქონე ბავშვის უფლებას, თავისუფლად გამოთქვას თავისი შეხედულებები ნებისმიერ საკითხზე, რომელიც მას ეხება. ამასთან, ბავშვის შეხედულებებს სათანადო ყურადღება ეთმობა მისი ასაკისა და სიმწიფის შესაბამისად. ამ მიზნით, ბავშვს ეძლევა შესაძლებლობა მოუსმინონ ნებისმიერი საქმის განხილვისას, რომელიც მას ეხება. იგივე პრინციპებია განმტკიცებული ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო მითითებებში ბავშვებისადმი ადაპტირებულ სამართალთან დაკავშირებით, რაც ითვალისწინებს ბავშვთა უფლებას - მოხდეს მათი მოსმენა და გამოხატონ თავისი შეხედულებები ყველა იმ საკითხთან მიმართებით, რომელიც მათზე გავლენას ახდენს. მითითებული დებულებების ანალიზის საფუძველზე, სტრასბურგის სასამართლო საქმეზე ნ. წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, მითითებს, რომ *შვიდიდან თვრამეტ წლამდე* ასაკის არასრულწლოვნებს აქვთ უფლება პირდაპირ იყვნენ ჩართული სამართალწარმოებაში, რომელიც გავლენას ახდენს მათ უფლებებზე.<sup>115</sup> საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, ეროვნულმა სასამართლოებმა საქმე უნდა განიხილონ ბავშვის პირდაპირი ჩართვის გზით. მოცემულ შემთხვევაში, საფრანგეთის რესპუბლიკის კოლმარის სააპელაციო სასამართლომ ბავშვის სასამართლოზე მოსმენა არ ჩაითვალა მიზანშეწონილად მისი მცირე ასაკისა და არასაკმარისი შეგნების გამო. აღსანიშნავია, რომ დავის განხილვის დროისათვის, არასრულწლოვანი დაახლოებით 8 წლის იქნებოდა. შესაბამისად, მისი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, საფრანგეთის სასამართლოს უნდა მოესმინა არასრულწლოვნისთვის, რათა ყველა მნიშვნელოვანი ფაქტისათვის ადეკვატური ყურადღება მიექცია.

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-16 ოქმი, ძალაში შევიდა 2018 წლის 1 აგვისტოს,

<sup>115</sup> სტრასბურგის 2016 წლის 02 თებერვლის მეოთხე სექციის გადაწყვეტილება ნ.წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (საჩივარი N. 71776/12).

მას შემდეგ, რაც კონვენციის მონაწილე ათმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ამ ოქმს და მოახდინა მისი რატიფიცირება. საქართველო ერთ-ერთია ამ ათი სახელმწიფოდან. ოქმი ითვალისწინებს ევროპული სასამართლოს მიერ საკონსულტაციო დასკვნის გაცემას მონაწილე სახელმწიფოთა უმაღლესი სასამართლოებისა და ტრიბუნალების მიმართვის საფუძველზე.<sup>116</sup> აღნიშნული ფუნდამენტური ნაბიჯია ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით. ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ საკონსულტაციო დასკვნები უზრუნველყოფს სამართლის პრინციპების ისეთ განვითარებას, რომელიც მიმართული იქნება ყველა მონაწილე სახელმწიფოსაკენ. აქედან გამომდინარე, მათ შეიძლება ჰქონდეთ ისეთივე მნიშვნელობა, როგორც აქვთ სასამართლოს წამყვან გადაწყვეტილებებს.<sup>117</sup>

6.2.2.. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების ანალიზი საქმეზე „მანდეტი საფრანგეთის წინააღმდეგ“<sup>118</sup>

### ფაქტობრივი გარემოებები

ფლორენს და ჟაკ მანდეტი თავდაპირველად 1986 წელს დაქორწინდნენ. მათ სამი შვილი შეეძინათ. 1996 წლის ივნისში ისინი განქორწინდნენ. ფლორენს მანდეტს 1996 წლის აგვისტოში შეეძინა შვილი - ალოსი. ის დედის სახელზე დარეგისტრირდა. 1997 წლის სექტემბერში ჟაკ მანდეტმა ფორმალურად აღიარა ბავშვი. ფლორენს და ჟაკ მანდეტმა 2003 წლის ოქტომბერში ხელმოკრულად იქორწინეს, რამაც გავლენა მოახდინა ბავშვის ლეგიტიმიზაციაზე, ანუ მის კანონიერად გამოცხადებაზე.

2005 წელს ბატონმა გლუზმანმა მიმართა სასამართლოს. მან ეჭვქვეშ დააყენა ბატონი მანდეტის მიერ მამობის აღიარება და მოითხოვა, რომ თვითონ გლუზმანი ეღიარებინათ ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის მამად. 2006 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილებით სასამართლომ დაადგინა, რომ ბავშვს არ ჰქონდა კანონიერი შვილის უწყვეტი სტატუსი, ვინაიდან ბავშვი დაიბადა ფლორენს და ჟაკ მანდეტის განქორწინებიდან სამას დღეზე მეტი ხნის გასვლის შემდეგ და მხარეები სადავოდ არ ხდიდნენ

<sup>116</sup> კორკელია კ., ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საკონსულტაციო იურისდიქცია: ევროპული სასამართლოსა და ეროვნული სასამართლოების თანამშრომლობის პერსპექტივები და გამოწვევები, ადამიანის უფლებათა დაცვა: კანონმდებლობა და პრაქტიკა, სტატიათა კრებული, თბილისი, 2018, 145.

<sup>117</sup> იქვე, 148.

<sup>118</sup> CASE OF MANDET v. FRANCE, EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS, Application no. 30955/12, 14 January, 2016.

იმ გარემოებას, რომ ბავშვის ჩასახვის დროს, გლუზმანს ურთიერთობა ჰქონდა ქალბატონ მანდეტთან. ამასთან, ბავშვს იცნობდნენ როგორც მათ საერთო შვილს. შედეგად, სასამართლომ გლუზმანის საქმე დასაშვებად ცნო და ბრძანება გასცა გენეტიკური ტესტის ჩატარების თაობაზე. 2008 წლის 16 მაისს სასამართლომ შეცვალა მამობის აღიარება, დაადგინა, რომ გლუზმანი იყო მამა და ბავშვს უნდა გაეგრძელებინა დედის გვარის გამოყენება. სასამართლომ ბრძანება გასცა, რომ აღნიშნული გარემოება ასახულიყო ბავშვის დაბადების მოწმობაში. სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა ეს გადაწყვეტილება. ბატონმა და ქალბატონმა მანდეტმა ზემოთ ხსენებული გადაწყვეტილება საკასაციო ინსტანციაში გააასჩივრეს. საკასაციო სასამართლომ საჩივარი არ დააკმაყოფილა.

განმცხადებლებმა წარადგინეს საჩივარი კონვენციის მე-8 მუხლზე (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემა) დაყრდნობით. ისინი აკრიტიკებდნენ სასამართლოს ბავშვის ნების საწინააღმდეგოდ გენეტიკური ტესტის ჩატარების შესახებ ბრძანების გაცემის გამო; აგრეთვე იმ დასკვნამდე მისვლის გამო, რომ ბავშვის უარი გაეკეთებინა გენეტიკური ტესტის ანალიზი, ადასტურებდა ჟაკ მანდეტის მიერ ბავშვის აღიარების არანამდვილობას. კონვენციის 6.1 მუხლზე დაყრდნობით, განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ მათ დაერღვათ მიუკერძოებელი ტრიბუნალის მიერ სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება.

### **კონვენციის სავარაუდო დარღვევა და სამართლებრივი ანალიზი**

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მშობლისა და შვილის (ჟაკ მანდეტისა და ალოსის) კანონიერი ურთიერთობის შეწყვეტით, ეროვნულმა სასამართლოებმა სამართლებრივი თვალსაზრისით შეცვალეს ოჯახის სტრუქტურის მნიშვნელოვანი ელემენტი, რომლის გარემოცვაშიც განვითარდა ბავშვი წლების განმავლობაში. სასამართლომ დაასკვნა, რომ განმცხადებლების მიერ გასაჩივრებული ღონისძიება წარმოადგენდა ჩარევას ბავშვის პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებაში.

პრეცედენტულ სამართალზე მითითებით, ევროპულმა სასამართლომ ხაზგასმით აღიშნა, რომ საფრანგეთი სარგებლობდა „დისკრეციით“<sup>119</sup>, თუმცა, როდესაც საქმე ეხება ბავშვთან დაკავშირებულ საკითხს, სასამართლო ითვალისწინებს ძირითად პრინციპს, რომლის მიხედვითაც ბავშვის საუკეთესო ინტერესები უწინარესია. არ იყო სწორი, როდესაც ეროვნულმა

---

<sup>119</sup> იგივე „თავისუფალი შეფასების ფარგლები“ იმის შეფასებისას, იყო თუ არა ჩარევა აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში, კონვენციის მე-8 მუხლის მნიშვნელობის გათვალისწინებით.

სასამართლოებმა ბავშვის უარი, გაეკეთებინა გენეტიკური ანალიზი მიიჩნიეს მამობის ფორმალურად აღიარების სიცრუის დამადასტურებელ ფაქტორად. გლუზმანსა და ბავშვს შორის მშობლისა და შვილის ურთიერთობის დადგენა არ ეფუძნებოდა მხოლოდ ზემოხსენებულ უარს, არამედ ბავშვის ჩასახვის პერიოდის კალკულაციას და მხარეთა მიერ შეჯიბრებით პროცესში წარდგენილი მტკიცებულებების შეფასებას.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა ყველაფერი გააკეთეს, რათა უზრუნველყოთ ბავშვის ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. პირველმა ინსტანციის სასამართლომ დანიშნა დროებითი მეურვე, რათა სამართალწარმოებაში წარმოედგინა ბავშვის საუკეთესო ინტერესები, თუმცა ეს პირი ვერ შეხვდა მას, რადგან ბატონმა და ქალბატონმა მანდეტმა და ბავშვმა დატოვეს საფრანგეთი. ბავშვის მოსმენის საკითხთან მიმართებით ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ბავშვს ეცნობა სამართალწარმოების შესახებ და იცოდა, რომ მასზე მამობის უფლება სადავოდ იყო გამხდარი. ბავშვმა წერილები გაუგზავნა მოსამართლეებს, სადაც მიუთითებდა, რომ არ სურდა გვარის შეცვლა და უნდოდა შეენარჩუნებინა ჟაკ მანდეტთან მშობლისა და შვილის სამართლებრივი ურთიერთობა, სასამართლოს წინაშე გამოსვლის უფლების გამოყენების გარეშე.

საინტერესოა, რომ სტრასბურგის სასამართლომ ბავშვის საუკეთესო ინტერესებსა და მის მოსმენის უფლებას შორის კონკურენციის საკითხი ინტერესების სასარგებლოდ გადაწყვიტა. სასამართლოს განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვი ჟაკ მანდეტს მამად მიიჩნევდა, მის ინტერესებს, პირველ ყოვლისა, წარმოადგენდა სცოდნოდა სიმართლე მისი წარმომავლობის შესახებ. ეროვნულმა სასამართლოებმა საკუთარი ინტერპრეტაციით დაადგინეს, რომ ხსენებული საუკეთესო ინტერესები არ იყო ის, რასაც ბავშვი აღიქვამდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესი იყო მისი ნამდვილი მამის დადგენა. ამასთან, ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებები გლუზმანის ინტერესებს არ ანიჭებდა არაჯეროვან უპირატესობას ბავშვის ინტერესებთან მიმართებით. თუმცა, მიღებული გადაწყვეტილებით ზემოხსენებულმა ინტერესებმა ნაწილობრივ ერთმანეთი გადაფარა. ამგვარი მოქმედებით, ეროვნულმა სასამართლოებმა არ გადააბიჯეს მათთვის მინიჭებული დისკრეციის (თავისუფალი შეფასების) ფარგლებს. გარდა ამისა, გადაწყვეტილება ბავშვს ხელს არ უშლიდა, მისი სურვილის შესაბამისად, გაეგრძელებინა ცხოვრება, როგორც მანდეტის ოჯახის წევრს.

მოცემული მსჯელობის საფუძველზე, ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა არ დაადგინა. რაც შეეხება მე-6 მუხლს,

სამართლიანი განხილვის უფლებას, წინამდებარე საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ განმცხადებლები იყვნენ შეჯიბრებითი სამართალწარმოების მონაწილეები და მათ ჰქონდათ შესაძლებლობა წარედგინათ რელევანტური არგუმენტები და მტკიცებულებები. თუმცა, სასამართლომ ვერ აღმოაჩინა რაიმე მტკიცებულება, რაც ცხადყოფდა, რომ დაირღვა სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება.

როგორც ვხედავთ, საფრანგეთის კანონმდებლობით მკაცრად რეგლამენტირებულია წმინდა შეჯიბრებითი პროცესი, თუმცა საოჯახო-სამართლებრივი დავების განხილვისას სასამართლო პროცესის მიმდინარეობაში ერევა იმ მასშტაბით, რაც აუცილებელი და სასარგებლოა ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. ამ ინტერესებს კი უპირატესობა ენიჭება ყველა სხვა პრინციპთან შედარებით, თუნდაც არასრულწლოვანი წინააღმდეგი იყოს ეროვნული სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებისა.

## თავი VII

### სასამართლოთა ოფიციალური სტატისტიკა მორიგებით დასრულებულ დავებთან მიმართებით

თბილისის საქალაქო სასამართლოში საქმეთა წარმოების განსაკუთრებული ინტენსიურობისა და მოსამართლეთა რაოდენობის გათვალისწინებით, დავები განიხილება ვიწრო სპეციალიზაციით. თბილისის სააპელაციო სასამართლო საქმეთა კატეგორიების მიხედვით განხილვას აწარმოებს 2018 წლის 4 მაისიდან.<sup>120</sup> თუ გავითვალისწინებთ სასამართლოთა ოფიციალურ სტატისტიკას, თბილისის საქალაქო სასამართლოში ბოლო წლების განმავლობაში შემოსული და მორიგებით დასრულებული დავების მონაცემები შემდეგია: 2016 წელს სულ შემოსული 11 667 სამოქალაქო საქმიდან<sup>121</sup> მორიგებით დასრულდა 2450 (მათ შორის 238 საოჯახო) დავა.<sup>122</sup> 2017 წელს შემოსული 21 837 სამოქალაქო საქმიდან მორიგებით დასრულდა 3 266 (მათ შორის 294 საოჯახო) დავა, ხოლო 2018 წელს შემოსული 33 152 სამოქალაქო საქმიდან<sup>123</sup> მორიგებით დასრულდა 3 587 (მათ შორის 221 საოჯახო) დავა. როგორც ვხედავთ, ბოლო სამი წლის განმავლობაში შემოსული საქმეთა რიცხოვნობა ყოველ წელს თბილისის საქალაქო სასამართლოში, დაახლოებით 10 000-ით იზრდება, ხოლო მორიგებით დასრულებული დავების რაოდენობა საგრძნობლად დაბალია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოში საოჯახო-სამართლებრივი დავების<sup>124</sup> ჯამური რაოდენობა და თითოეულ წელს მორიგებით დასრულებული საქმეების რიცხოვნობა მდგომარეობს შემდეგში: 2016 წელს შემოსული 1 647 საქმიდან (სააპელაციო საჩივარი) საოჯახო-სამართლებრივი დავა იყო 145, საიდანაც მორიგებით დასრულდა 18 საქმე. 2017 წელს შემოსული 2 113 საქმიდან (სააპელაციო საჩივარი) საოჯახო-სამართლებრივი

---

<sup>120</sup> საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს N1/175 გადაწყვეტილება, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა, ადმინისტრაციულ საქმეთა და სისხლის სამართლის საქმეთა პალატებში მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციის განსაზღვრის შესახებ.

<sup>121</sup> <<http://oldtcc.court.ge/index.php?m=534&newsid=179>>

<sup>122</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 24 მაისის ოფიციალური წერილი N2-04103/3007324.

<sup>123</sup> <<http://tcc.gov.ge/ka/Statistics>>

<sup>124</sup> საოჯახო-სამართლებრივი დავები თბილისის სააპელაციო სასამართლოში განიხილება შემდეგი კატეგორიების მიხედვით: 1) მეუღლეთა განქორწინების თაობაზე; 2) ქორწინების ბათილად ცნობის შესახებ; 3) ბავშვის შესანახად ალიმენტის გადახდევინების შესახებ; 4) მამობის დადგენის შესახებ; 5) მშობლის უფლების ჩამორთმევის შესახებ; 6) სხვა სახის დავები.

დავა იყო 154, საიდანაც მორიგებით დასრულდა 20 საქმე, ხოლო 2018 წელს შემოსული 2 915 საქმიდან (სააპელაციო საჩივარი) საოჯახო-სამართლებრივი დავა იყო 183, საიდანაც მორიგებით დასრულდა 22 საქმე.<sup>125</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოსთან შედარებით, დაბალია სააპელაციო სასამართლოში შემოსული საქმეების რაოდენობა, თუმცა, ასევე დაბალია შეთანხმებით დასრულებული დავების რიცხობრიობაც და როგორც ვხედავთ, სასამართლოს უმეტესად უწევს არსებითი გადაწყვეტილების გამოტანა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალური სტატისტიკით:<sup>126</sup> 2016 წელს მორიგებით დასრულდა 9 სამოქალაქო საქმე (მათ შორის 1 საოჯახო-სამართლებრივი დავა) და 1 ადმინისტრაციული დავა. 2017 წელს მორიგებით დასრულდა 9 სამოქალაქო საქმე (მათ შორის 2 საოჯახო-სამართლებრივი დავა) და 2 ადმინისტრაციული დავა, ხოლო 2018 წელს მორიგებით დასრულდა 20 სამოქალაქო საქმე (მათ შორის 2 საოჯახო-სამართლებრივი დავა) და 2 ადმინისტრაციული დავა. მოცემული მონაცემებით ჩანს, რომ საქართველოს უზენაეს სასამართლოში, ბოლო წელს განსაკუთრებით იგრძნობა მოსამართლეთა მცდელობა დავის მორიგებით დასრულების მიზნით.

როგორც ზემოთ განხილული სტატისტიკური მონაცემებით ჩანს, მორიგებით დასრულებული დავების რაოდენობა ბოლო წლების განმავლობაში როგორც პირველ ინსტანციაში, ასევე სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში საკმაოდ დაბალია. მოსამართლეთა როლის გაძლიერება დავის მორიგებით დასრულების თვალსაზრისითაც გარკვეულ ცვლილებებს საჭიროებს. შედარებისთვის, გერმანიაში (განხორციელებული რეგულაციების გათვალისწინებით<sup>127</sup>) მნიშვნელოვანი ფაქტორია ზეპირი განხილვა, ვინაიდან სწორედ ამ გზით მიიღწევა მხარეთა შორის მორიგების შეთანხმება. ყოფილი ფედერალური მოსამართლის - რაინჰარდ გრეგორის მიხედვით, გერმანიის ფედერაციის მასშტაბით სამოქალაქო სამართალწარმოებიდან მხოლოდ 40% დასრულდა გადაწყვეტილებით, ხოლო 60% მორიგების, სარჩელის უკან გამოთხოვის, აღიარების ან საქმის თავად მოგვარების გზით.<sup>128</sup> როგორც ვხედავთ, საქართველოში დავის კონსესუალურად მოგვარების მაჩვენებელი საგრძნობლად დაბალია. მოცემული პრობლემის გამოსწორების მიზნით, მოსამართლეები უნდა

<sup>125</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს ოფიციალური სტატისტიკა.

<sup>126</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 28 მაისის ოფიციალური წერილი №-864-19.

<sup>127</sup> იხ. სქოლიო 13.

<sup>128</sup> შმიდტი შ., გერმანიაში სამოქალაქო სამართალწარმოებისას სასამართლო კომუნიკაციის მნიშვნელობა, გერმანულიდან თ. ბერიშვილის თარგმანი, სამართლის ჟურნალი N1, 2018, 350.

შეეცადონ ჩანიშნონ ზეპირი განხილვა, რადგან ამ დროს მორიგებისათვის მხარეთა მხრიდან მზაობა წერილობით პროცესთან შედარებით 27%-ით მაღალია.<sup>129</sup> ამასთან, საჭიროა გაანალიზდეს, რომ სამშვიდობო გარიგება ყოველთვის სასურველ გამოსავალს წარმოადგენს დროის, შედეგის, რესურსებისა და პასუხისმგებლობის კუთხით.

---

<sup>129</sup> იქვე, 350.

## თავი VIII

### ინკვიზიციური სამართალწარმოების ნიშნები უცხოურ სამართალში

#### 8.1. ანგლოამერიკული პროცესის თავისებურებანი

ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნებში სამართლის წყაროს წარმოადგენს სამოსამართლო სამართალი, ე.ი. პრეცედენტული სამართალი. „პრეცედენტი“, იურიდიულ სისტემებში საქმეზე ადრე მიღებულ გადაწყვეტილებას აღნიშნავს. სხვადასხვა სამართლებრივი სისტემა პრეცედენტს სხვადასხვაგვრად განიხილავს.<sup>130</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ საერთო სამართლის პრეცედენტული პრაქტიკა მეტად კომპლექსურია. პრეცედენტის სავალდებულო ძალა, საუკეთესო პრაქტიკა მოითხოვს, რომ სასამართლომ მსგავსი პრიორიტეტულობის მქონე საქმეზე ადრე მიღებულ გადაწყვეტილებას უნდა მისდიოს, მაშინაც კი, როდესაც მას ამ გადაწყვეტილების სისწორეში გარკვეული ეჭვი ეპარება. პრეცედენტული პრაქტიკა დაკავშირებულ საქმეთა ერობლიობას აღნიშნავს.<sup>131</sup> სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ მაშინ ითვლება პრეცედენტად, როდესაც კონკრეტული შემთხვევის გამო მიღებული გადაწყვეტილება საფუძვლად უდევს მომავალში ანალოგიური შემთხვევის გადაწყვეტას. ამ პრეცედენტებს აქვთ მბოჭავი ძალა - ზემდგომ პრეიუდიციებს უპირატესობა ენიჭებათ ქვემდგომი პრეიუდიციების მიმართ. ისინი დაცულნი უნდა იყვნენ იმისდამიუხედავად, ეს გადაწყვეტილებები სწორად მიაჩნია თუ არა ქვემდგომ სასამართლოს. ამ გადაწყვეტილებებში მოცემული წესები მანამდეა მბოჭავი, ვიდრე ისინი არ გაუქმდება. გაუქმება კი შეიძლება ზომდგომი სასამართლოს ახალი გადაწყვეტილებით ან კანონით. სასამართლოს შეუძლია გათავისუფლდეს ადრე მიღებული გადაწყვეტილებისგან, როდესაც ადგენს ახალ სამოსამართლო სამართალს.

სამოქალაქო სამართლის სისტემებში, არც ერთ სასამართლო გადაწყვეტილებას „წინასწარ განსაზღვრული ავტორიტეტი არ აქვს“. თუმცა, ეს სისტემები, თავის მხრივ, პრეცედენტულ პრაქტიკასაც ავითარებენ, რომელიც სახელმძღვანელოდ გადაწყვეტილებათა საკმარის ოდენობას იძლევა. ეს პრეცედენტული პრაქტიკა საერთო სამართლის სისტემის

<sup>130</sup> *Sanchirico C. W.*, Procedural Law and Economics, Encyclopedia of law and Economics, second edition, Vol. 8, Published by *Edward Elgar*, Cheltenham, UK, Northampton, MA, USA, 2012, 21, (keep to what has been decided previously).

<sup>131</sup> *Sanchirico C. W.*, Procedural Law and Economics, Encyclopedia of law and Economics, second edition, Vol. 8, Published by *Edward Elgar*, Cheltenham, UK, Northampton, MA, USA, 2012, 21.

ქვეყნების მასშტაბით მნიშვნელოვნად განსხვავდება.<sup>132</sup> ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემისთვის დამახასიათებელია კაზუისტიკა, რომელიც ორიენტირებულია ზემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილებებზე (პრეცედენტებზე).

ანგლო-ამერიკული სამართლის ოჯახის სასამართლო პროცესში, ოპონენტები ერთმანეთის წინააღმდეგ გამოდიან მკვეთრი საკამათო პროცესის გამოყენებით. გავრცელებული მოსაზრებით, შეჯიბრებითობის პრინციპის განცხორციელება სასამართლოს წინასწარ, ან საბოლოო გადაწყვეტილებას „აღმოჩენად“ ტოვებს, ასევე წინასწარ განუჭვრეტადია მხარეთა მიერ შეჯიბრებითობის პრინციპის განხორციელების ფარგლებში მოსამართლის მიერ ადვოკატთა მხრიდან წარმოდგენილ მტკიცებულებათა შერჩევის სტანდარტი.<sup>133</sup> ამ სახის დავებში, სასამართლოს მონაწილეობის შესაძლებლობა სტრუქტურულად შესაძლოა ასე წარმოვადგინოთ:

- სასამართლო არის ნეიტრალური და პასიური, პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ იმისათვის, რომ საქმე გადაწყვეტილებამდე მიიყვანოს;
- მხარეები წარმოადგენენ საქმეს, მტკიცებულებებს და მათთვის სასარგებლო არგუმენტებს;
- ორივე მხარეს აქვს თანაბარი შესაძლებლობა, საქმე წარუდგინოს სასამართლოს და საკუთარი არგუმენტები ჩამოაყალიბოს;
- უწყვეტ ზეპირსიტყვიერ მოლაპარაკებებში თავს იჩენს ერთმანეთის საპირისპირო მტკიცებულებები.

ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნებში მიაჩნიათ, რომ ოპონენტებს საუკეთესო საშუალება აქვთ, სასამართლოს ჩარევის გარეშე წარმოადგინონ თავიანთი საქმე და მათი პოზიცია მტკიცებულებებით გაამყარონ, ვინაიდან პროცესის გადაწყვეტაში ყველაზე დიდი ინტერესი სწორედ მხარეებს გააჩნიათ. „სასამართლომ უნდა დაუშვას, უტყუარად უნდა ცნოს ყველა მტკიცებულება, რომელიც მხარეთა პოზიციას ამტკიცებს“.<sup>134</sup> ამ ტიპის დავების მართებულობის დასასაბუთებლად ხშირად მიუთითებენ, რომ სასამართლო უნდა იყოს დამოუკიდებელი და თუ იგი აქტიურად ღებულობს მონაწილეობას ფაქტების გამოკვლევაში, შეუძლებელია თავი აარიდოს გარკვეული დასკვნების გამო წინასწარ მიკერძოებას. სასამართლოს პასიური როლი მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ მან წინასწარ არ შეიქმნას აზრი და გადაწყვეტილების მიღებამდე მზად იყოს საქმის სხვაგვარი

<sup>132</sup> *Sanchirico C. W.*, Procedural Law and Economics, Encyclopedia of law and Economics, second edition, Vol. 8, Published by *Edward Elgar*, Cheltenham, UK, Northampton, MA, USA, 2012, 26.

<sup>133</sup> *Asimow M.*, Popular Culture and the Adversary System, 40 Loy. L.A. L. Rev, 2007, 653.

<sup>134</sup> *Levin A.*, Shuchman P., Yablon Ch., cases and materials on civil procedure, New York, 1997, VIII-237.

განმარტებისათვისაც. აღნიშნული ტიპის პროცესი განსაკუთრებულ მნიშვნელობას მოსამართლის მიუკერძოებლობას ანიჭებს და კონტინენტური ევროპის პროცესის უარყოფით მხარედ მოიხსენიებს იმ გარემოებას, რომ მოსამართლე, რომელიც თვითონ უძღვება ფაქტების დადგენას, როგორც წესი, ვერ მალავს, რომ საქმესთან დაკავშირებით გარკვეული მოსაზრება უკვე ჩამოუყალიბდა. ანგლო-ამერიკული პროცესის ამოსავალ დებულებას წარმოადგენს შემდეგი: დგინდება არა ობიექტური სიმართლე, არამედ სიმართლე, რომელიც სამართლიანი პროცესის შედეგს წარმოადგენს.

სამართალწარმოება მკაცრად მოითხოვს, რომ ნებისმიერი მტკიცებულების შემთხვევაში, მხარემ მათ წარმოდგენამდე აცნობოს ამის შესახებ მოწინააღმდეგე მხარეს და სასამართლოს. მხარეები სასამართლო სხდომამდე ერთმანეთს წერილობით უგზავნიან შეკითხვებს და სხვადასხვა დოკუმენტების წარდგენის მოთხოვნის უფლებაც ენიჭებათ. შეუძლიათ მოწმეთა წერილობითი ჩვენებების მოთხოვნა, ან მათი დაკითხვა. ვინაიდან საქმის ზეპირი განხილვის დიდი ხნით შეწყვეტა მიზანშეწონილი არ არის, მხარეებს უწევთ პროცესისათვის განსაკუთრებულად მომზადება და საქმის განხილვაზე ყველა დამამტკიცებელი საბუთის წარმოდგენა. თუ სასამართლო პროცესამდე სადავო საკითხები არ წამოიჭრა, მხარეებს შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს ზეპირი განხილვის გარეშე გადაწყვეტილების გამოტანისათვის (*summary judgement*).<sup>135</sup> გამოთქმულია მოსაზრება, რომ ინგლისის სასამართლო სისტემა გააგრძელებს პროცესის მკაცრ ზედამხედველობას კონტროლს, იმისათვის, რომ მხარეებმა განახორციელონ პროცესისთვის სათანადო მომზადება. მითითებების, ჯარიმების და სხვა საშუალებების გამოყენებით უნდა დადგინდეს დროის კონტროლი. შეჯიბრებითი სასამართლო დავის წინასწარი წარმოება, „*Notice Pleading*” შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ მაშინ, თუ მხარეები მეტად მოემზადებიან პროცესისთვის, მოიძიებენ ინფორმაციას და მტკიცებულებებს სხვა ან მესამე პირებისაგან.<sup>136</sup>

2008 წლის ლორდთა პალატის გადაწყვეტილების (*Re B (A Child)*) შემდგომ, ბრიტანულ საპროცესო სამართალში ჩამოყალიბდა ერთგვაროვანი პრაქტიკა. ამჟამად მოქმედებს მტკიცების სტანდარტი, რომელსაც „ალბათობათა ბალანსს” უწოდებენ. ამ პრინციპს ბრიტანელი მოსამართლეები გადაწყვეტილებებში იყენებენ „უფრო დიახ, ვიდრე არა“-ს

<sup>135</sup> იხ. <<https://legal-dictionary.thefreedictionary.com/summary+judgment>>

<sup>136</sup> Glasser C., *Civil Procedure and the Lawyers – The Adversary System and the Decline of the Orality Principle*, May, 1993, p. 324.

(*more likely, than not*) სახით.<sup>137</sup> ხსენებული პრინციპი გულისხმობს, რომ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები მოსამართლისათვის უფრო სავარაუდოა, ვიდრე უმართლობა.

განსხვავებით ბრიტანული სამართლისაგან, აშშ-ში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა „სხვისი სიტყვებით ჩვენებას“. აღნიშნული გულისხმობს, რომ აშშ-ს მტკიცებითი სამართალი აღიარებს არა მხოლოდ სასამართლოში გაკეთებულ განცხადებებს, არამედ სასამართლოს გარეთაც, ანუ იმ წყაროებს, რომლებიც დარბაზში არაა გაკეთებული. იგი შეიძლება იყოს გამოხატული აღიარების, ანდერძის, დღიურის, სხვადასხვა ხასიათის პირადი ჩანაწერების სახით. ამასთან, ბრიტანულ სამართალში შევხვდებით ასევე, „ორმაგი სხვისი სიტყვებით ჩვენებასაც“ რაც გულისხმობს, რომ სასამართლოს გარეთ გაკეთებული განცხადების შინაარსი ეფუძნება სხვა სასამართლოს გარეთ გაკეთებულ განცხადებას.<sup>138</sup>

## 8.2. კონტინენტურ-ევროპული სამართალწარმოება და მისი განსხვავება ანგლოამერიკული პროცესისაგან

კონტინენტური ევროპის სამართლის ოჯახის ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა იუსტინიანე I-ის *corpus Juris Civilis*-მა.<sup>139</sup> ამ ტიპის დავებში სასამართლო აქტიურ როლს თამაშობს და მოსამართლე პროცესს სარჩელის შეტანიდან უძღვება. ანგლო-ამერიკული პროცესისაგან განსხვავებით, საკითხს იმის შესახებ თუ რომელი მოწმე უნდა იყოს მოწვეული წყვეტს მოსამართლე და ეს უკანასკნელი კითხავს მას პირველ რიგში. მხარეები ადგენენ საქმის ვითარებას, რაც სასამართლო გადაწყვეტილებას უნდა დაედოს საფუძვლად. თუ სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს გარკვეული საკითხების გარკვევას გადაწყვეტილების მისაღებად, ხდება მტკიცებულებების მოძიება მხარეთა შორის სადავო საკითხებზე. არ იმიჯნება წინასწარი წერილობითი განხილვა და საქმის ზეპირი გახილვა. ყველა მტკიცებულება, რაც წერილობით არის წარმოდგენილი, ითვლება ზეპირად მოწოდებულად, თუ საქმის განხილვისას რაიმე შესწორება არ მოხდება. მოსამართლემ ყურადღება უნდა გაამახვილოს წარმოდგენენ თუ არა საკითხს მხარეები სრულყოფილად. ის აძლევს

<sup>137</sup> The balance of probabilities, ნაშრომიდან: ამილახვარი თ., მტკიცების ტვირთი საერთო სამართლის ქვეყნებში, სტატიათა კრებული, მტკიცებითი სამართლის აქტუალური საკითხები, ნუნუ კვანტალიანის რედაქტორობით, თბილისი, 2016, 8.

<sup>138</sup> იქვე, 11.

<sup>139</sup> ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2015, 268.

სამართლებრივ მითითებას გამორჩენილი და წინასწარი წერილობითი განხილვისას დამუშავებული ფაქტების შესახებ.<sup>140</sup>

მაგალითისთვის, გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება ფრანგული საპროცესო სამართალი, სადაც მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების წესი, მატერიალურ-სამართლებრივ ნორმებშია თავმოყრილი. სამოქალაქო სამართალწარმოებაში პროცესუალური ინიციატივა მხარეებს აქვთ მინიჭებული. საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლით განმტკიცებულია ზოგადი წესი, რომლის თანახმადაც, ყოველი მხარე ამტკიცებს ფაქტებს, რომელზედაც ამყარებს თავის მოთხოვნას მოწინააღმდეგე მხარის მიმართ. ამასთან, მე-11 მუხლი მიუთითებს, რომ სასამართლომ და დავის მონაწილე მხარეებმა უნდა ითანამშრომლონ მტკიცებულებათა შეგროვებისა და მტკიცების პროცესში. ამასთან, სასამართლო უფლებამოსილია მხარის შუამდგომლობის საფუძველზე მოითხოვოს მხარისაგან ან მესამე პირისაგან მტკიცებულებათა წარმოდგენა. საფრანგეთის კანონმდებლობა ასევე, შეიცავს ნორმას, რომლის თანახმადაც ყოველი მხარე ვალდებულია გადასცეს მტკიცებულებები მეორე მხარეს გასაცნობად, ამ ვალდებულებების შეუსრულებლობა კი ითვალისწინებს ჯარიმას. როგორც ვხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთის კანონმდებლობით მკაცრად რეგლამენტირებულია წმინდა შეჯიბრებითი პროცესი, მოსამართლე მაინც ერევა მტკიცებულებათა შეგროვების კუთხით და გარკვეული სანქციების სახით, უზრუნველყოფს სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას.<sup>141</sup>

კონტინენტური ევროპის სამართალსა და ანგლო-ამერიკულ სამართალს შორის არსებული განსხვავება უკავშირდება პოზიტიურ (დაწერილ) კანონმდებლობას, როგორც სამართლის წყაროს. კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებში პოზიტიური კანონმდებლობა სამართლის ძირითადი წყაროა. ანგლო-ამერიკული სამართლის წყაროებს კი წარმოადგენს სამოსამართლო სამართალი და კანონის სამართალი. ამრიგად, კონტინენტური ევროპის სამართლისგან განსხვავებით, ანგლო-ამერიკული სამართლის ძირითადი წყაროა პრეცედენტული სამართალი. ანგლო-ამერიკული სამართლისთვის უცხოა ისეთი კოდიფიცირებული აქტები, როგორც სამოქალაქო კოდექსების სახით კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებს აქვთ.<sup>142</sup>

<sup>140</sup> ბოელინგი ჰ., სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების მიღების მეთოდოლოგია, მოსამართლეთა სემინარი, სასტუმრო „თბილისი“, ბაკურიანი, 5-8 ივლისი, 2007, 156.

<sup>141</sup> გაგუა ი., მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2013, 130.

<sup>142</sup> ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2015, 271.

კონტინენტურ ევროპასა და ანგლო-ამერიკული სამართლის ოჯახებს შორის მეორე დიდი განსხვავება ეფუძნება იურიდიული აზროვნების წესსა და მეთოდებს. რომის სამართალზე ორიენტირებულმა მეცნიერებმა დიდი როლი შესრულეს კონტინენტური ევროპის სამართლის ფორმირების პროცესზე. სწორედ ამიტომ, კონტინენტური ევროპის იურიდიულ აზროვნებას ახასიათებს მეცნიერული სტილი. „სამართალი არის მართლწესრიგისა და სამართლიანობის ხელოვნება“<sup>143</sup> - ამ სიტყვებით იწყება რომაული სამოქალაქო სამართლის კრებული. ანგლო-ამერიკულ სამართალს კი ახასიათებს აზროვნების სამოსამართლო სტილი. დიდ ბრიტანეთში სამოსამართლო პრეცედენტული სამართლის უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს ლონდონის ცენტრალური სასამართლოების გადაწყვეტილებები და იზრდება ადგილობრივი სასამართლოების მნიშვნელობაც (*country court*).<sup>144</sup>

---

<sup>143</sup> რომში „*ius est ars boni et aequi*“, დიგესტები, 1,1,1. – რომაული სამოქალაქო სამართლის კრებული (*corpus juris civilis*), გამოცემული 533 წ. იმპერატორ იუსტინიანეს დროს, წიგნიდან: ციპელიუსი, რ., იურიდიული მეთოდების მოძღვრება, თბილისი, 2009, 11.

<sup>144</sup> ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2015, 270.

## დასკვნა

მიუხედავად საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული და დაცული მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპისა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა შეიცავს ე.წ. ინკვიზიციური სამართალწარმოების ნიშნებსაც. მოსამართლის ინიციატივის შესაძლებლობის ქართული მართლმსაჯულებით მოწესრიგებული მოდელი დიდწილად, ეფუძნება გერმანიის საპროცესო კანონმდებლობაში ჩამოყალიბებულ რეგულირებას. თუმცა, სისტემური და შინაარსობრივი თვალსაზრისით, იკვეთება მნიშვნელოვანი ხარვეზები. გარკვეულწილად, მოსამართლის როლი საქმის წარმოების პროცესში სცილდება პასიური არბიტრის ჩარჩოს და გადადის აქტიურ პოზიციაში. აქ უკვე დგება ორი პრინციპის - მხარეთა შეჯიბრებითობისა და სასამართლოს აქტიურობის პროპორციის საკითხი - რა დოზით უნდა მოხდეს მათი შერწყმა და გამოყენება საქმის განხილვისას.

წინამდებარე ნაშრომი იკვლევს გერმანიაში განხორციელებული უახლესი რეგულაციის მნიშვნელობას და მის საფუძველზე მოსამართლის საქმიანობის საზღვრების ხელახალი დადგენის მიზანშეწონილობას. კვლევის საფუძველზე დადგინდა სასამართლოს აქტიურობისა და მხარეთა შეჯიბრებითობის ინსტიტუტთა დამფუძნებელი ნორმების პრობლემური ასპექტები და შემოთავაზებული იქნა გარკვეული წინადადებები. კვლევის შედეგები შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

პროცესი უნდა აიგოს შეჯიბრებითობის პრინციპზე, თუმცა, სასამართლოს ჩარევა დასაშვები უნდა იყოს იმ მასშტაბით, რითაც არ დაირღვევა დისპოზიციურობის პრინციპი. საკითხი, უნდა გადაწყდეს შეჯიბრებითობისა და სასამართლოს აქტიურობის პრინციპს შორის ზომიერი ბალანსის დაცვით, რომლის შესაბამისადაც, მხარეები არც შეზღუდული იქნებიან სასამართლოს აქტიურობით და არც დაიჩაგრებიან იმის გამო, რომ სასამართლოს ნეიტრალური და ნომინალური როლი ექნება საქმის გარემოებების გამოკვლევაში.<sup>145</sup>

საკანონმდებლო რეგულირების სრულყოფის მიზნით, სასურველია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 128-ე (მოქცეულია სასამართლო მტკიცებულებების, კერძოდ მხარეთა ახსნა-განმარტების თავში) და 222-ე (სასარჩელო წარმოებისას სასამართლოს მთავარი სხდომის ერთ-ერთი მარეგულირებელი ნორმა) მუხლებს ნაცვლად „მოსამართლეთა შეკითხვები“

---

<sup>145</sup> იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 09 ივნისის განჩინება საქმეზე №2ბ/550-14; ასევე, გუჯაბიძე ნ., მოსამართლის როლი შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპის კონტექსტში, მტკიცების ტვირთის გადანაწილება, პრეზენტაცია, თბილისი, 2017.

განესაზღვროთ სხვადასხვა სახელწოდება და მათი შინაარსი მიესადაგოს შესაბამის თავს. ერთი და იგივე შინაარსის ნორმები კოდექსში გადატვირთულობას ქმნის და დაზუსტებას საჭიროებს. ამასთან, მართლმსაჯულების ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მოწინავე ადგილი უნდა დაიკავოს პრაქტიკამ და არა კანონებმა, ანუ კანონები ამ მხრივ არ არის გამოსავალი, გამოსავალი არის სწორი, მართებული პრაქტიკა და ამ კანონების სწორი გამოყენება. „აუცილებელია კანონმდებლობა იყოს ცხადი, მარტივი, გასაგები ენით განსაზღვრული და დასანერგად არ იყოს ძალიან რთული. აუცილებელია მატერიალურ კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებები კარგად მომზადდეს.“<sup>146</sup>

სასამართლო კომუნიკაციის საფრთხეების თავიდან აცილების მიზნით, სასურველია გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 278-ე პარაგრაფის მე-5 აბზაცის ფორმულირება ქართულ კანონმდებლობაშიც აისახოს. კერძოდ, ვინაიდან წარუმატებელი მორიგების შემთხვევაში, მიკერძოებულობისა და არაობიექტურობის გამოვლინება სასამართლოს მხრიდან რთულად აცილებადია, უკეთესი იქნება თუ ხანგრძლივ მორიგებებს განიხილავს სპეციალური მოსამართლე, რომელიც სხვა სამართლებრივი დავების განხილვაში არ მონაწილეობს.

საქმისწარმოების დაჩქარების მიზნით, ნაშრომში განხილული როგორც ქართული, ასევე ამერიკული და ევროპული გამოცდილების გათვალისწინებით, სასამართლოს უნდა გააჩნდეს მექანიზმები, რომელიც საშუალებას მისცემს საქმეზე განახორციელოს აქტიური კონტროლი, ვინაიდან „სასამართლოს მიერ მხარეებზე კონტროლის დაკარგვა აუცილებლად იწვევს პროცესის ინერტულობას.“<sup>147</sup> ამასთან, საქართველოში კანონმდებლობით გათვალისწინებული საქმის განხილვის ვადები საკმაოდ მჭიდროდ შეიძლება მივიჩნიოთ, რადგან რთულია ამ ვადებში ჩატევა და საქმის სრულად და ამომწურავად განხილვა. რაც შეეხება მოსამართლისათვის ვადებზე მითითებას, კონკრეტულ წარმოებაზე ვადასთან დაკავშირებული შენიშვნა, მითითება, კრიტიკა შემხებლობაშია მოსამართლის დამოუკიდებლობასთან და უხეშად არღვევს მას. ერთ კონკრეტულ წარმოებასთან დაკავშირებით მოსამართლეს ვერ უსაყვედურებენ და ვერ მიუთითებენ, რომ დააჩქაროს საქმე.

<sup>146</sup> სასამართლო დროის მენეჯმენტის SATURN-ის განახლებული სახელმძღვანელო მითითებები (მე-2 რედაქცია), მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია (CEPEJ), სამოსამართლო დროის მენეჯმენტის SATURN-ის ცენტრის მმართველი ჯგუფი (CEPEJ-SATURN), CEPEJ (2014)16<sup>1</sup>, სტრასბურგი, 12 დეკემბერი, 2014, 5.

<sup>147</sup> ABA Standards Related to Court Delay Reduction, ციტირებულია ნაშრომიდან: საქმეთა ნაკადის მართვა და საქმისწარმოების დაჩქარება სასამართლოებში, ძირითადი პრინციპების მოკლე მიმოხილვა, თბილისი, 2010, 9.

მოსამართლეთა ეთიკური ქცევის სტანდარტების დამკვიდრების მიზნით, სასურველია, სასამართლოებმა გადადგან გონივრული ნაბიჯები და შექმნან გარკვეული მექანიზმები სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების განსახორციელებლად.

დასკვნის სახით, შესაძლოა ითქვას, რომ შეჯიბრებითობის პრინციპის მკაცრი დაცვა გააძნელებს საქმეზე სწორი გადაწყვეტილების გამოტანას და შესაბამისად, მართლმსაჯულების განხორციელებას. თუ სასამართლომ დაიკავა მხოლოდ არბიტრის როლი და აქტიურად არ ჩაერთო გარემოებების გამოკვლევაში ყოველგვარი მიკერძოებისა და სუბიექტური დამოკიდებულების გარეშე, ბევრი საკითხი შესაძლოა დარჩეს აუხსნელი და არ გამოვლინდეს ჭეშმარიტება, რაც ეწინააღმდეგება სამართლიანობის არსს. ამასთან, სასამართლომ ისე უნდა დაიცვას პირის ინტერესები, რომ არ გასცდეს დაინტერესებული მხარის ნება-სურვილს, არ უნდა სცადოს იმ უფლების რეალიზაცია, რაც არ ყოფილა მოთხოვნილი.

## ბიბლიოგრაფია

### სამეცნიერო ლიტერატურა

ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები, მეორე გადამუშავებული და შესწორებული გამოცემა, თბილისი, 2007.

ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, I ნაწილი, თბილისი, 2014.

გაგუა ი., მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2013.

ბოელინგი ჰ., სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების მიღების მეთოდოლოგია, მოსამართლეთა სემინარი, სასტუმრო „თბილისი“, ბაკურიანი, 5-8 ივლისი, 2007.

ჰერმანი თ., მტკიცებულებითი სამართალი (კონსპექტი), ეთერ ჩაჩანიძის თარგმანი, GIZ, თბილისი, 2016.

ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2015.

ლილუაშვილი თ., სამოქალაქო პროცესუალური სამართალი, II გამოცემა, თბილისი, 2005.

საქართველოს უზენაესი სასამართლო, პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე საერთო სასამართლოს მოსამართლეთათვის, თბილისი, 2010.

ჩაჩანიძე ე., ზოდელავა თ., გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., კომუნიკაცია სასამართლოში, პრაქტიკული სახელმძღვანელო, თბილისი, 2013.

ციპელიუსი რ., იურიდიული მეთოდების მოძღვრება, თბილისი, 2009, მეათე გამოცემა.

აკადემიური მაცნე, სამართალი N4, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2015.

„მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები“ და მისი კომენტარები, GIZ, თბილისი, 2015. <<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/mosamartleta.qcevis-wes2.pdf>>

შმიტი შ., რიჰტერი ჰ., მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 2013.

შმიტი შ., შულცი კ., მომრიგებელი მოსამართლე, GIZ, 2019.

სამოქალაქო სამართალწარმოების აქტუალური საკითხები, პრაქტიკული სახელმძღვანელო, თბილისი, 2012.

საქმეთა ნაკადის მართვა და საქმისწარმოების დაჩქარება სასამართლოებში, ძირითადი პრინციპების მოკლე მიმოხილვა, თბილისი, 2010.

ყანდაშვილი ი., ტურაზაშვილი გ., სახელმძღვანელო პროფესია ადვოკატის შესახებ, GIZ, თბილისი, 2018.

კორკელია კ., ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საკონსულტაციო იურისდიქცია: ევროპული სასამართლოსა და ეროვნული სასამართლოების თანამშრომლობის პერსპექტივები და გამოწვევები, ადამიანის უფლებათა დაცვა: კანონმდებლობა და პრაქტიკა, სტატიათა კრებული, თბილისი, 2018.

სასამართლო დროის მენეჯმენტის SATURN-ის განახლებული სახელმძღვანელო მითითებები (მე-2 რედაქცია), მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია (CEPEJ), სამოსამართლო დროის მენეჯმენტის SATURN-ის ცენტრის მმართველი ჯგუფი (CEPEJ-SATURN), CEPEJ (2014)16<sup>1</sup>, სტრასბურგი, 12 დეკემბერი, 2014.

### **სტატიები**

შმიდტი შ., გერმანიაში სამოქალაქო სამართალწარმოებისას სასამართლო კომუნიკაციის მნიშვნელობა, გერმანულიდან თ. ბერიშვილის თარგმანი, სამართლის ჟურნალი N1, 2018.

ბასილაია ფ., საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურებანი და დაუსწრებელი გადაწყვეტილება, მართლმსაჯულება და კანონი, N4(23)'09.

მერებაშვილი ი., სასამართლოში სამოქალაქო საქმეთა განხილვისას მხარეთა შეჯიბრებითობისა და მოსამართლეთა აქტიურობის პრინციპების მოქმედება, მართლმსაჯულება და კანონი, N4(23)'09.

ამილახვარი თ., მტკიცების ტვირთი საერთო სამართლის ქვეყნებში, სტატიათა კრებული, მტკიცებითი სამართლის აქტუალური საკითხები, ნუნუ კვანტალიანის რედაქტორობით, თბილისი, 2016.

ყიფშიძე შ., სამოსამართლო სამართალი, როგორც სამართლის წყარო, (სამართლებრივი პრობლემების გადაჭრა და სამართლის განვითარება), სამართლის ჟურნალი N1, 2018.

### **უცხოენოვანი ლიტერატურა**

Landsman S., A Brief Survey of the Development of the Adversary System, Ohio State Law Journal, Vol. 44, 1983.

Glannon J., Civil procedure, 1987

Glasser C., Civil Procedure and the Lawyers – The Adversary System and the Decline of the Orality Principle, May, 1993.

Levin A., Shuchman P., Yablon Ch., cases and materials on civil procedure, New York, 1997.

Steven Baicker-McKee, William M. Janssen, John B.Corr, A student's guide to the Federal Rules of Civil Procedure, St, Paul, Minn, West Publishing Co, 1997.

Parisi F., Rent-Seeking Through Litigation: Adversarial and Inquisitorial Systems Compared, *International Review of Law and Economics*, Vol. 22, No. 2, August 2002.

Asimow M., Popular Culture and the Adversary System, 40 *Loy. L.A. L. Rev.*, 2007.

Weiden D. L., Judicial Politicization, Ideology, and Activism at the High Courts of the United States, Canada, and Australia, *Journal: Political Research Quarterly*, Vol. 64, June, 2011. <<https://booksc.xyz/book/42033093/4d8f2d>>

Solanke I., „Stop The ECJ?: An Empirical Analysis of Activism at the Court”, *European Law Journal*, Vol 17, No 6, November 2011.

Sanchirico C. W., *Procedural Law and Economics*, Encyclopedia of law and Economics, second edition, Vol. 8, Published by Edward Elgar, Cheltenham, UK, Northampton, MA, USA, 2012.

Steinberg J. K., Adversary Breakdown and Judicial Role Confusion In “Small Case” Civil Justice, GWU Law School Public Law Research Paper No. 2016-13, 2016.

OVERVIEW OF THE CASE-LAW OF THE EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS, Published by wolf Legal Publishers (WLP), Council of Europe – European Court of Human Rights, 2018.

<<https://www.echr.coe.int/Pages/home.aspx?p=caselaw/analysis/overview>>

### **უცხოენოვანი გადაწყვეტილებები**

Republique francaise, Cour D’appel de Colmar, Tribunal de grande instance de Colmar, Deuxieme Chambre Civile, Jugement du juge aux affaires familiales, 21 mars, 2016, N°RG: 15/02299 N°IIJ : 161771.

CASE OF MANDET v. FRANCE, EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS, Application no. 30955/12, 14 January, 2016.

CASE OF PERUZZI v. ITALY, EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS, Application no. 39294/09, 30 June 2015.

CASE OF MICALLEF v. MALTA, EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS, Application no. 17056/06, 15 october, 2009.

CASE OF DRIZA v. ALBANIA, EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS, Application no. 33771/02, 13 November 2007.

CASE OF STEEL AND MORRIS v. THE UNITED KINGDOM, EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS, Application no. 68416/01, 15 February 2005.

## გადაწყვეტილებები

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 07 ივნისის მოსამართლის თვითაცილების შესახებ განჩინება, საქმეზე №3ბ/270-19

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 25 მაისის განჩინება საქმეზე №2ბ/1017-18.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 20 ივნისის განჩინება საქმეზე №2ბ/6856-17.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 04 ივლისის განჩინება საქმეზე №2ბ/362-16.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 15 თებერვლის განჩინება საქმეზე №2ბ/5970-15.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 30 მარტის განჩინება საქმეზე №2ბ/6112-15.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 12 დეკემბრის განჩინება საქმეზე №2ბ/5327-16.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №2ბ/104 -15.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 09 ივნისის განჩინება საქმეზე №2ბ/550-14.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 31 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №2ბ/4025-13.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 31 დეკემბრის განჩინება საქმეზე №2ბ/5905-13.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 17 აპრილის განჩინება საქმეზე №ა-1014-შ-31-2019.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 26 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-1440-1360-2017.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 9 მარტის განჩინება საქმეზე №ას-1243-1166-2015.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 07 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-483-457-2015.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-471-450-2015.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 1 აპრილის განჩინება საქმეზე №ბს-612-590(კ-13).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 10 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-1651-1548-2012.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 22 ივლისის განჩინება საქმეზე №ას-86-82-2013.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 25 მარტის განჩინება საქმეზე №ას-1350-1275-2012.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 22 ივნისის განჩინება საქმეზე №ას-750-704-2012.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 თებერვლის განჩინება საქმეზე №ას-1278-1298-2011.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 1 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას-941-979-2011.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 18 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-833-885-2011.

BARTAIA V. GEORGIA, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე ბართაია საქართველოს წინააღმდეგ, სტრასბურგი, 2018 წლის 26 ივლისი, საჩივარი N10978/06.

### ნორმატიული მასალა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 31/12/1997

საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს N1/175 გადაწყვეტილება, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა, ადმინისტრაციულ საქმეთა და სისხლის სამართლის საქმეთა პალატებში მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციის განსაზღვრის შესახებ.

გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, German Code of Civil Procedure - (ZPO) Zivilprozessordnung, <[https://www.gesetze-im-internet.de/englisch\\_zpo/englisch\\_zpo.html](https://www.gesetze-im-internet.de/englisch_zpo/englisch_zpo.html)>.

საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, Code de procédure civile/Legifrance,

<<https://www.legifrance.gouv.fr/affichCode.do?cidTexte=LEGITEXT000006070716>>

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი, French Civil Code, [http://www.napoleon-series.org/research/government/code/book1/c\\_title09.html](http://www.napoleon-series.org/research/government/code/book1/c_title09.html)

საქართველოს სამოსამართლო ეთიკის კოდექსი.

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები.

ბავშვის უფლებების საერთაშორისო კონვენცია.  
ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კონვენცია.

### სხვა წყაროები

<http://tcc.gov.ge/ka/Statistics>

<http://gil.mylaw.ge/ka/term/55185.html>

<http://gil.mylaw.ge/ka/term/54139.html>

<http://oldtcc.court.ge/index.php?m=534&newsid=179>

<https://legal-dictionary.thefreedictionary.com/summary+judgment>

დრეზდენის უმაღლესი სამხარეო სასამართლოს პრეზიდენტის, ულრიხ ჰაგენლოხის საჯარო ლექციის ტრანსკრიპტი თემაზე: მოსამართლის დამოუკიდებლობა, თბილისის სააპელაციო სასამართლო, 3 ივნისი, 2014 წ.

<<http://tbappeal.court.ge/?news=234&mc=2>>

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 24 მაისის ოფიციალური წერილი N2-04103/3007324.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ოფიციალური სტატისტიკა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 28 მაისის ოფიციალური წერილი N3-864-19.